თინა აბულაშვილი

Tina Abulashvili

ნარკვევები მუზეუმის დაარსების და განვითარების ისტორიის შესახებ საქართველოში

Sketches on the History of Founding and Developing Museum Activities in Georgia

თბილისი 2021 Tbilisi

UDC (უაკ) 069 (479.22) (09)

ა – 205

მონოგრაფიაში „ნარკვევები მუზეუმის დაარსების და განვითარების ისტორიის შესახებ საქართველოში“, შეეცადეთ აგვესახა საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის განვითარების ისტორია. არქეოლოგიური ექსპოზიციების მაგალითზე გვეჩვენებინა ის პერიოდები რომლებიც გაიარეს მუზეუმებმა დაარსებიდან დღემდე.

საქართველოში მუზეუმების დაარსების მიზანი სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული იყო, თუმცა საგანმანათლებლო საქმიანობა მათ იდეაშივე იყო ჩადებული. რუსეთის იმპერიულ მიზნებს ემსახურებოდა გეოგრაფიული საზოგადოების და კავკასიის მუზეუმები. ეროვნული იდენტობის გამომხატველი იყვნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი, საეკლესიო და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმები. საბჭოთა პერიოდში კულტურაში ისევე როგორც ყველა სფეროში მთავარი მიზანი მარქსისტული იდეოლოგიის დამკვიდრება გახდა, მაგრამ შემდგომში თანდათან ეს დამოკიდებულება შენელდა და მუზეუმებმა საქმიანობა კულტურულ-ისტორიულ მიმართულებით წარმართეს. 21-ე საუკუნეში თანამედროვე დასავლური მსოფლმხედველობის გათვალისწინებით ახლიდან შეფასდა მუზეუმების საგანმანათლებლო პოტენციალი. მნიშვ-

ნელოვანი გახდა მუზეუმის როლი და ფუნქცია ინდივიდის აღზრდის პროცესში. შესაბამისი გამოფენის დათვალიერებისას ექსპონატები უფრო ნათელს, გასაგებს და საინტერესოს ხდის ისტორიას, ხელოვნებას, ბუნებას, გეოგრაფიას. ასეთი მნიშვნელოვანი კომუნიკაცია სამყაროსადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას აყალიბებს, აღძრული ცნობისმოყვარეობა და ინტერესი კი დიდ როლს თამაშობს ინდივიდის ჩამოყალიბებასა და პიროვნულ განვითარებაში.

ნაშრომი განკუთვნილია არქეოლოგიით და ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

ISBN 978-9941-8-3271-0

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფ. დ. ახვლედიანი
Editor: Dr. D. Akhvlediani

რეცენზენტი: არქეოლოგიის დოქტორი რ. კვირკვაია
Reviewer: Dr. R. Kvirkvaia

შესავალი

ჩვენი ინტერესის სფეროს საქართველოში მუზეუმების დაარსების და განვითარების, მათი საექსპოზიციო საქმიანობის ისტორია წარმოადგენს. ნაშრომში შევეცადეთ რამოდენიმე მუზეუმის მაგალითზე წარმოგვეჩინა ყველა ის ქრონოლოგიური პერიოდები და ქვეეტაპები რომლებიც მათ დაარსებიდან დღემდე გაიარეს. შევეცადეთ კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა თუ რა დროიდან არსებობს საქართველოში მუზეუმები, რა იყო მათი დაარსების მიზანი, ვინ იყვნენ მათი დამმაარსებლები, რა დაბრკოლებების გადალახვა მოუხდათ მათ, როგორ ივსებოდა მათი კოლექციები, რა სახის ექსპოზიციები ეწყობოდა, რა დატვირთვა ჰქონდათ ამ ექსპოზიციებს, რომელი ექსპონატები ახდენდნენ ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას და სხვა. დროთა განმავლობაში საზოგადოების დამოკიდებულება წარსულისადმი იცვლებოდა, რაც დაკავშირებული იყო როგორც ექსპონატების რაოდენობის ზრდასთან

ასევე საზოგადოების მსოფლმხვედელობის ცვლილებასთანაც. ეს იდეოლოგიური ცვლილებები კარგად ისახებოდა ექსპოზიციებშიც. ჩვენ შევეცადეთ ამ ცვლილებების დემონსტრირება მოვახდინოთ იმ არქეოლოგიური ექსპოზიციების საშუალებით, რომლებიც მუზეუმების მიერ ამ პერიოდებში იქნა მოწყობილი.

საუკუნე ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებას არა ერთი სიძნელე და წარმატება ხვდა წილად. საექსპოზიციო საქმიანობა წლების მანძილზე ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. საზოგადოების სიძველეებისადმი ინტერესის ზრდის, გათხრითი არქეოლოგიის ჩამოყალიბების, მასალის მეცნიერული გააზრების ბაზაზე საქართველოში რამდენიმე მუზეუმი ჩამოყალიბდა, რომელთა დაარსება განსხვავებულმა მიზნებმა განაპირობა. „რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი“, „კავკასიის მუზეუმი“ და „სამხედრო დიდების ისტორიული მუზეუმი“ რუსული პოლი-

ტიკის და ფასეულობების გავრცელების მიზნით შეიქმნა. ისინი რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის და კულტურის გატარების ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენდნენ. მათ საპირწონედ ეროვნული იდენტობის, ეროვნული კულტურის და განძის გადასარჩენად ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა შექმნეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების", „საეკლესიო სიძველეთა" და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმები. ყველა ამ მუზეუმმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყნის მატერიალური და სულიერი კულტურის ნაშთთა მოძიების, შეკრების და პოპულარიზაციის საქმეში. მათი კოლექციების და ფონდების საფუძველზე შეიქმნა „საქართველოს მუზეუმი" რომელსაც შემდგომში აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ეწოდა და რომელიც გახდა ძირითადი საფუძველი საქართველოს ეროვნული მუზეუმისა. 2004 წლიდან ჩამოყალიბდა საქართველოს მუზეუმების

უდიდესი გაერთიანება საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელიც ერთ-ერთ მსხვილ სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მნიშვნელოვან ინსტიტუციას წარმოადგენს და რომლის ფონდებშიც არის დაცული მასში შემავალი მუზეუმების მრავალი ცნობილი კოლექცია. ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში გაერთიანდა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახ. მუზეუმი, გ. ჩიტაიას სახ. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფის სახ. მუზეუმი - მუზეუმი ღია ცის ქვეშ, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), სამცხე-ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო მუზეუმი, დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, ოთ. ლორთქიფანიძის სახ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ამ

მუზეუმებს შორის ყველაზე ძველი აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმია.

საქართველოში მუზეუმების წარმოშობაზე, წარსულზე, და განვითარებაზე არა ერთი სამეცნიერო სტატია თუ მონოგრაფია დაიწერა. ისინი საქართველოს მუზეუმების განვითარების სხვადასხვა პერიოდებს მოიცავდნენ. გ. ჩხაიძის ნაშრომი „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი" ეძღვნება მუზეუმის განვითარების გზას XIXს-ის II ნახევარიდან XXს-ის 30-იან წლებამდე. ლ. ჭილაშვილის ნაშრომში „საუკუნე ნახევრის გადმოსახედიდან" განხილულია სამუზეუმო საქმიანობის განვითარება XXIს-ის დასაწყისამდე. არქეოლოგიურ ექსპოზიციებს ეძღვნება ს. ბოლქვაძის სტატია „აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციები" და ალ. ჯავახიშვილის სტატია „XI-XIIIსს. საქართველოს მატერიალური კულტურა" და სხვა. ჩვენი მიზანია ზემოთ მოყვანილი ნაშრომების, სხვადასხვა პუბლიკაციების,

პირველწყაროების შესწავლის, საფუძველზე შეეცადოთ უწყვეტად წარმოვაჩინოთ საქართველოში მუზეუმების წარმოშობის და განვითარების ისტორიის ეტაპები და გამოვყოთ ქრონოლოგიური პერიოდები, რასაც ძირითადად აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და მის მიერ მოწყობილი არქეოლოგიური ექსპოზიციების მაგალითზე წარმოვაჩენთ.

საქართველოს სამუზეუმო ცხოვრებაში შესაძლებელია შემდეგი ქრონოლოგიური პერიოდების გამოყოფა.

XVII-XVIIIსს. - ეკლესია-მონასტრებში სიძველეთა საცავების შექმნა და მუზეუმების პირველი ჩანასახების წარმოშობა.

1852-1864წწ. - რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის ჩამოყალიბება - პირველი მუზეუმი საქართველოში

1865-1918წწ. - კავკასიის მუზეუმი. ამავე პერიოდში პარალელურად ჩამოყალიბებდა წერა-

კითხვის, საეკლესიო სიძველეთა და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმები, შეიქმნა კერძო კოლექციები.

1918-2003წწ. - სამუზეუმო საქმიანობა საბჭოთა და მის შემდგომ პერიოდში.

2004 წ. - დაარსდა საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

მუზეუმი ის ადგილია სადაც დაცულია წარსულისა და თანამედროვე მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი არტეფაქტები. მუზეუმის პირვანდელი სახე საზოგადოების განვითარების იმ დროის მონაკვეთში ჩნდება, როდესაც ესა თუ ის ნივთი კარგავს გამოყენებით დანიშნულებას და რელიკვიური პატივისცემის და კრძალვის ობიექტად იქცევა [ჭილაშვილი 2002ა: 29]. სამუზეუმო რელიკვიებად მიიჩნეოდა ეროვნული გმირების პირადი ნივთები, იარაღი, შეჭურვილობა, მტერზე გამარჯვების ამსახველი წარწერები, ბუნების იშვიათი მოვლენების დამადასტურებელი ნივთები და სხვა. ლათინურ სიტყვას „museum“ (ბერძნული

„mouseion“) საუკუნეების განმავლობაში მრავალი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კლასიკურ პერიოდში ის მუზეებისათვის განკუთვნილ ტაძარს აღნიშნავდა. ამ ეპოქის ყველაზე სახელგანთქმული მუზეუმი ალექსანდრიაში პტოლემაიოს ფილადელფოსმა დააარსა ძვ.წ. IIIს-ში. ეს იყო ლიტერატურის და ფილოსოფიის შესასწავლად განკუთვნილი ადგილი, რომელიც მხოლოდ სპეციალური გამოკვლევებისათვის მოწოდებული ინსტიტუტის მსგავს დაწესებულებას წარმოადგენდა. მასში ინახებოდა ნივთები, მოაზროვნეთა ქანდაკებები, ასტრონომიული და ქირურგიული ინსტრუმენტტები, სპილოს ეშვები, ცხოველთა ტყავები. აქ იყო ბოტანიკური და ზოოლოგიური პარკები. მუზეუმი და მისი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი ძვ.წ. 270წ. სამოქალაქო არეულობის დროს განადგურდა. ანტიკურ სამყაროში ექსპონატების სახელმწიფო კოლექციები ესთეტიკური, ისტორიული, რელიგიური და მაგიური მნიშვნელობით ფასდებოდა. ბერძნულ ტაძრებში ინახებოდა შემოწირულობების გზით

შემოსული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთები, ქანდაკებები, სტატუეტები, მხატვრობის ნიმუშები, ოქროს ზოდები. ზოგი ნივთი ხანდახან საზოგადოებისათვისაც გამოიფინებოდა. რომაელები მხატვრობის ნიმუშებს და ქანდაკებებს სახალხო ბაღებში, ტაძრებში, ფორუმებზე, თეატრებში და აბანოებში გამოფენდნენ ხოლმე. შუასაუკუნეებში საიუველირო ნაკეთობების, ქანდაკებების, ხელნაწერების და წმინდანთა წმინდა ნაწილების საცავებად ეკლესია-მონასტრები იქცნენ. XVს-ში ლორენცო მედიჩიმ ფლორენციის სასახლეში მოწყობილ სიძველეთა საცავს მუზეუმი შეარქვა. შემდეგ საუკუნეში მუზეუმის ცნების გამოხატვის მიზნით ორი ტერმინი შემოვიდა „გალერეა“ და კაბინეტი. გალერეა გრძელ, ცალი მხრიდან განათებულ დარბაზს წარმოადგენდა და ნახატებისა და ქანდაკებებისათვის იყო განკუთვნილი. კაბინეტი კვადრატული ფორმის ოთახი იყო ფლორისა და ფაუნის ნიმუშებით, ხელოვნების, მატერიალური კულტურის ძეგლე-

ბით და ანტიკვარული ნივთებით. ეს ორივე სივრცე დახურული იყო ფართო საზოგადოებისათვის და მხოლოდ გამოჩენილი მოგზაურები თუ ახერხებდნენ მათ მონახულებას. XVII-XVIIIსს-ში სიტყვა მუზეუმი უკვე კოლექციების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ამ პერიოდიდან კერძო კოლექციები თანდათან ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის, რის გამოც აუცილებელი გახადა ისეთი „საჯარო მუზეუმის" გახსნა, სადაც კოლექციების ნახვა ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეეძლებოდა. ასეთ პირველ მუზეუმად შესაძლოა ჩაითვალოს დიდ ბრიტანეში დაარსებული ეშმოლის მუზეუმი, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა და მცირე საფასურის გადახდის შემდეგ საზოგადოებას კოლექციების დასათვალიერებლად ეპატიჟებოდა. 1792 წელს საფრანგეთში მონარქიის დამხობის შემდეგ ლუვრი საჯარო დაწესებულებად იქცა, იქ თავმოყრილი სამეფო კოლექცია კი სახელმწიფო ქონებად გამოცხადდა. გაჩნდა საჯარო სივრცე მუზეუმის

სახით სადაც ყველას შეეძლო ხელოვნების ნიმუშების, კოლექციების, ნახატების დათვალიერება.

თანამედროვე მუზეუმების ჩამოყალიბების და დაფუძვნების ხანად XVIIIს-ის ბოლო და XIXს-ის პირველი ნახევარი შეიძლება ჩაითვალოს. ამ დროს მათ მეცნიერულად ორგანიზებული და სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სახე მიიღეს და სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებად იქცნენ [ჭილაშვილი 1984: 20]. XIXს-ის შუახანებში მუზეუმების სხვადასხვა ტიპი აღმოცენდა: კერძო კაბინეტები, საჯარო დაწესებულებები, საზოგადოებრივი მუზეუმები, გამოფენები, ნახევრად საჯარო და საჯარო კოლექციები. 1851 წელს, ლონდონში გაიმართა დიდი გამოფენა, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი ესტუმრა.

ძველი მუზეუმები ანუ მუზეუმები კლასიკური გაგებით უფრო არტეფაქტებზე იყო ორიენტირებული, ხაზი ესმეოდა მათ პრიორიტეტულობას და საგანმანათლებლო პოტენციალს. არსებობ-

და შეხედულებები, რომ მათი დანიშნულება კლასიკური განათლება, სამეცნიერო აღმოჩენები, ასევე ეროვნული, კულტურული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზნების შესრულება იყო. მთავრობები აღიარებდნენ მუზეუმების მნიშვნელობას. ყველა მუზეუმი თავიანთი დროის ნამდვილი შვილები იყვნენ, განიცდიდნენ იდეების და გარკვეულ იდეოლოგიურ ზეგავლენას, ასახავდნენ სხვადასხვა ინფორმაციას ანუ თითოეულს სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული მიზნები ამოძრავებდა.

ყველა მუზეუმის უპირველესი მიზანი თავიდანვე ექსპოზიციების მოწყობა იყო, რადგან ექსპოზიცია საზოგადოებასთან ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვანი კომუნიკაციის საშუალებაა, დამთვალიერებელი აქ ხვდება წარსულს, აწმყოს, აღიქვამს კულტურის და ხელოვნების ფასეულობებს, უჩნდება ახალი ინტერესები, განწყობა, ღებულობს ახალ შთაბეჭდილებებს. ექსპოზიციაში ნათლად აისახება საზოგადოების დამოკიდებულება თავისი ისტო-

რიული წარსულის მიმართ, ის მუზეუმის მიღ-
წევების სახე, მეცნიერული პროპაგანდის და
ცოდნის პოპულარიზაციის საუკეთესო საშუა-
ლებაა. მას დიდი კულტურულ-საგანმანათლებ-
ლო და სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნე-
ლობა აქვს. ექსპოზიცია ასახავს თანამედროვე
მეცნიერულ დონეს და ხასიათს რაც პირდაპირ
კავშირშია გაწეულ მეცნიერულ შრომასთან.
თუმცა გარკვეულ ეტაპზე მეცნიერების განვი-
თარების, ცოდნის, მასალის დაგროვების შე-
დეგად ხდებოდა არსებული ექსპოზიციების გა-
ნახლება, ამასთან განვითარების ყოველ ახალ
ეტაპზე ექსპოზიციის მოწყობისადმი მიდგომა
შინაარსის და მხატვრული გადაწყვეტის მხრივ
თანამედროვეობასთან იყო შესაბამისი.

ნებისმიერი მუზეუმის მიღწევები მისი კოლექ-
ციებით განისაზღვრება, ისინი პირველწყაროა
საზოგადოების განვითარების დონისა და ბუნე-
ბის მოვლენების შემეცნებისა. კოლექციები ორ-
ბვარია ბუნებიდან აღებული მასალები, რომ-
ლებსაც ადამიანის ზემოქმედების კვალი არ

ატყვია და ნივთები რომლებიც ადამიანის მიერაა შექმნილი და მის ნივთიერ და სულიერ კულტურას ასახავს. სწორედ ამ კოლექციების შექმნის, მათი გეგმაზომიერი დამუშავების და შესწავლის შედეგად ხორციელდება ექსპოზიციები. ექსპოზიციის მეშვეობით განსხვავებული გემოვნების, ცოდნის, ასაკის, და ეროვნების დამთვალიერებელი ეცნობა დიდმნიშვნელოვან მოვლენებს, ძვრებს და გარდაქმნებს ამიტომ ექსპოზიციის წარმატება დამთვალიერებლის მიერ საგნის თუ მოვლენის სრულად აღქმაზეა დამოკიდებული. ექსპოზიციის ხასიათის, მასშტაბის, ხანგძლივობის შერჩევა საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისად ხდება. ექსპოზიცია შეიძლება აიგოს ქრონოლოგიის პრინციპზე. მისი ცალკეული ნაწილებით შეიძლება ნაჩვენები იყოს ისტორიული პროცესი. ისტორიული წარსულის კვლევის პირველწყარო არქეოლოგიური მასალებია, ისინი საზოგადოების ხანგძლივი ისტორიის მრავალ მხარეს მოიცავენ და საექსპოზიციო მასალაც ძირითადად

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად არის მოძიებული. არქეოლოგიური გამოფენების მიზანი წარსულის წარმოჩენა და თანამედროვე საზოგადოების ამ წარსულისადმი დამოკიდებულების ასახვაა. მუზეუმის სახე მუდმივმოქმედი ექსპოზიციაა და ის მუზეუმისათვის პრიორიტეტად განიხილება.

სამუზეუმო დაწესებულებების პირველი ჩანასახები საქართველოში

საქართველოში მუზეუმის დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. აქ სამუზეუმო ცხოვრებამ ისეთივე განვითარების გზა გაიარა, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში. მუზეუმის როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსებობა საქართველოში უძველესი დროიდან შეიძლება ვივარაუდოთ, როცა გარკვეულ ნივთებს ინახავდნენ როგორც მემორიალურს, რელიკვიურს ან ესთეტიკურად მნიშვნელოვანს [ჭილაშვილი 1984: 16]. უძველესი რელიკვიური ნივთის საგანგებო დაცვასთან დაკავშირებით ყველაზე ძველ წერილო-

ბით საბუთს იძლევა ფლავიუს არიანე, რომელმაც შავი ზღვის გარშემო იმოგზაურა. ის ჯერ კიდევ ახ.წ. 131 წელს, თავის „პერიპლუსში“ აღნიშნავდა, რომ კოლხებმა თავიანთ დედაქალაქ ფაზისში გემ „არგოს“ ქვის ღუზის ნაწილები მაჩვენესო. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მნიშვნელოვან სიძველეთა საცავებად ეკლესია-მონასტრები იქცნენ. მათში ბევრ ისეთ ძვირფას რელიკვიურ ნივთებს, ეროვნულ ფასეულობებს, ხელნაწერ წიგნებს და ისტორიის ამსახველ დოკუმენტურ წყაროებს ინახავდნენ რომლებსაც სამუზეუმო კოლექციების დანიშნულება ენიჭებოდა. ასეთ კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ გელათი, ბაგრატი, ალავერდი, სვეტიცხოველი, ბედია, შუამთა, ხახული, ოშკი, სვანეთის ეკლესიები. თავისი უნიკალური და უმდიდრესი კოლექციებით ისინი კულტურულ-ისტორიულ ადგილებად ჩამოყალიბდნენ, ამიტომაც საქართველოში სწორედ ისინი შეიძლება მივიჩნიოთ მუზეუმების პირველ ჩანასახებად. ქართული წერილობითი წაყ-

როების გადმოცემით მანგლისსა და ერუშეთში შემონახული იყო ბიზანტიელი იმპერატორის კონსტანტინეს მიერ მირიან მეფისათვის ბოძებული ლურსმნები და იმ ჯვრის ნაწილები, რომელზეც იესო ქრისტე იყო ჯვარცმული. ასევე საგანგებოდ ინახებოდა ვახტანგ გორგასლის დროშა, აბჯარი და სამოსელი [ჭილაშვილი 2002ა: 29]. შემორჩენილი ცნობების მიხედვით, შემთხვევით აღმოჩენილ სამარხეულ ან მიწის სამუშაოების დროს ნაპოვნ საინტერესო ნივთებს, ბუნების, ისტორიის და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველ მნიშვნელოვან ექსპონატებს ინახავდნენ სამეფო სალაროებში და დიდებულების სასახლეებშიც. XVIIIს-ის დასაწყისში თბილისში სამეფო სასახლის სალაროში მოწყობილი იყო ძველი კოლექციების საცავი, მასში ძველი მონეტების კოლექცია და საჭურველი ინახებოდა. ეს საცავი ერეკლე მეორის დროსაც არსებობდა, მაგრამ სამწუხაროდ 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღების შედეგად ეს კოლექცია განადგურდა [ჭილაშვი-

ლი 1984: 34-35]. საქართველოში მუზეუმების და არქივების შექმნის იდეის დიდი ხნის მანძილზე არსებობას არაერთი წერილი თუ ცნობა ადასტურებს. 1799 წელს იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში „სჯულდება“ წერდა, რომ აუცილებელი იყო „ბიბლიოთეკა სახლის“ დაარსება, სადაც „ყოველი საერო და საეკლესიო წიგნი“, ასევე „სახეები და მაგალითები მხატვრობის, შენებულებათა და სხვათა ხელოვნებათა“ შეინახებოდა და „ვისაც ენებოს, მოვიდოდნენ თავისის ხარჯით იქ გადაიწერდნენ და გარდაიღებდნენ სახეთა, რომ გარე გატანით წიგნი არ დაიკარგოს“. ე.ი. იოანე ბატონიშვილი მუზეუმს და ბიბლიოთეკას საერთო სტრუქტურად მოიაზრებდა, მაგრამ წლების მანძილზე საქართველოში მძიმე პოლიტიკური სიძნელეების, შიდა აშლილობის, ხანგძლივი სახელმწიფოებრივი კრიზისის გამო ამ იდეის განხორციელება ვერ ხერხდებოდა. აქ სამუზეუმო საქმის განვითარებას სათანადო პირობები ვერ შეექმნა და ჩამორჩა მუზეუმების განვითარების ევროპულ

დონეს. თუმცა ეს გზა საბოლოოდ არ გამქრალა და საუკუნის შემდეგ მართლაც რეალობად იქცა.

XIXს-ის დასაწყისში ქართულ სიძველეთა მიმართ ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. შეიქმნა კერძო კოლექციები. საინტერესო სიძველეთა კერძო კოლექცია ჰქონდა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს. ამ კოლექციის მონახულების შემდეგ ცნობილი ქართველოლოგი მარი ბროსე წერდა „ამ ყოველმხრივ განათლებულმა თავადმა შეაგროვა რამდენიმე ასეული ბერძნული და რომაული მონეტა, რომელთა უმრავლესობა მან ნოქალაქევის, ლაზების აკროპოლისის აბანოების მახლობლად მოიპოვა. მე აღვწერე ამ ადგილის სამარხებიდან ამოღებული რამდენიმე ნივთი: მსხვილი ვერცხლის ბეჭედი, რომლის ერთი ნაწილი საავგაროზედ გამოიყენებოდა, ქვის ბასრი წვერი ქვის პატარა გაგრძელებით, რომელიც უეჭველად ხის ტარზე დასამაგრებლად იყო განკუთვნილი, დანის პირი ოქროს გარსაკრავის ნარჩენებით და ბოლოში რგო-

ლით, რომელიც ჩამოსაკიდად იყო გამოყენებული“ [Brosset 1849: 60-61]. ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, ქართული სიძველეები მრავლად იყო თავმოყრილი პეტერბურგის და მოსკოვის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში. რუსეთის მუზეუმებში დაცული ქართული სიძველეების მოძიებას და აღნუსხვას აწარმოებდნენ პეტერბურგში მოღვაწე ქართველები. საქართველოდან ჩამოტანილ არქეოლოგიურ ნივთებს აგროვებდა კოლექციონერი ა. სულაკაძე. უძველესი ქართული მონეტების კოლექციონერი იყო მ. ბარათაშვილი. რუსეთში მცხოვრებმა გ. ავალიშვილმა კი იერუსალიმიდან უნიკალური ქართული ხელნაწერები ჩამოიტანა [Горгидзе 1976: 190-195]. ასეთი სიძველეთა საცავების დაარსება იყო პირველი ცდა, პირველი ჩანასახი, შემდგომში დაარსებული მუზეუმებისა.

რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი

XIXს-ის მეორე ნახევარიდან მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მთავარმმართებლობის წლებში, ჩაისახა აზრი საქართველოში მუზეუმის დაარსების შესახებ. მუზეუმში თავი უნდა მოეყარა კავკასიის არა მხოლოდ ბუნების არაორგანულ და ორგანულ წარმონაქმნებს, არამედ ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ, ნუმიზმატიკურ და ისტორიულ ნიმუშებსაც. დაიწყო აქტიური სამუზეუმო საქმიანობა. 1848 წელს საგანგებოდ დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მიუნც-კაბინეტი, სადაც მწერალმა და მოგზაურმა გიორგი ტოკარევმა მონეტების და მედლების საერთო რეესტრი შეადგინა და 569 მონეტა აღწერა [ჭილაშვილი 2002: 30]. 1852 წელს რუსმა მწერალმა და ეთნოგრაფმა გრაფმა ვლადიმერ სოლოგუბმა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფი-

ლების კომიტეტის სხდომაზე, წარმოადგინა განყოფილებასთან მუზეუმის შექმნის პროექტი. მუზეუმის შექმნას აქტიურად უჭერდნენ მხარს ა. ბერჟე, ი. ბარტოლომეი, რ. ერისთავი, დ. ყიფიანი და სხვები. პროექტის მოწონების შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება და დადგენილება მუზეუმისათვის სათანადო შენობის დაქირავების შესახებ. 1852 წლის 10 მაისი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის დაარსების თარიღად უნდა ჩაითვალოს. ქართველი საზოგადოება ამ ფაქტს სიხარულით შეხვდა. თუმცა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა, რომლითაც გარეგნულად ადგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვის ილუზია იქმნებოდა, სინამდვილეში მთავარ ამოცანად მხარის ბუნების, ფლორის, ფაუნის, წიაღისეულის, ტრადიციების და ადათ-წესების შესწავლის საშუალებით მის კულტურულ და მორალურ დაპყრობას ისახავდა და არანაირად არ აინტერესებდა კავკასიის და

კერძოდ საქართველოს კულტურის და ისტორიის კვლევა.

თავდაპირველად გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის საქმიანობას კავკასიური განყოფილების გამგებელი კომიტეტი წარმართავდა მუზეუმის მდივნის (ზედამხედველის) მეშვეობით. ეს თანამდებობა 1852-1853წწ-ში გ. ტოკარევს ეკავა [ჩხაიძე 2002: 298]. 1853 წელს კავკასიური განყოფილების საერთო კრებაზე მუზეუმის პირველი დირექცია აირჩიეს სამი წევრის შემადგენლობით: დირექციის თავმჯდომარედ ე. ანდრეევსკი, თანადირექტორებად ვ. სოლოგუბი და კ. ჩერმაკი [Радде 1891: 34]. ე. ანდრეევსკის გათავისუფლების შემდეგ დირექციის თავმჯდომარედ მეფისნაცვლის საველე კანცელარიის დირექტორი ბარონი ა. ნიკოლაი იქნა არჩეული, რომელიც შემდეგ ადოლფ ბერჟემ შეცვალა. მუზეუმმა თავდაპირველად ბინა ალ. ჭავჭავაძისა და საკომენდანტო (ალ. გრიბოედოვის) ქუჩების კვეთაზე მდგარ სახლში დაიდო, რომელიც თბი-

ლისის საარტილერიო გარნიზონის მეთაურს პოლკოვნიკ პ. ლაპინსკის ეკუთვნოდა. მუზეუმი, კანცელარია და ბიბლიოთეკა მეორე სართულზე შვიდ ოთახში განთავსდა [ჟორდანია 1951: 17]. ეს იყო პირველი მუზეუმი მაშინდელ კავკასიაში და წარმოადგენდა პირველ ოფიციალურ სამეცნიერო უჯრედს, რომლის მფარველად და ხელმძღვანელად მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი ითვლებოდა [გამყრელიძე 1996: 6-7]. მუზეუმის საქმიანობის მიზანს თავიდანვე კავკასიის მხარის გეოგრაფიული, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სტატისტიკური შესწავლა, მისი ფლორის და ფაუნის სისტემური კვლევა წარმოადგენდა. ფონდების დაკომპლექტების და ექსპოზიციის მომზადებისათვის საჭირო იყო ნივთიერი კულტურის, ყოფის და ბუნების ამსახველი მასალების შეგროვება. მუზეუმში ექსპონატები შემოწირულობების და შესყიდვის გზით მთელი კავკასიიდან შემოდიოდა, თუმცა სახსრების ნაკლებობის გამო სამუზეუმო კოლექციები უმთავრესად მაინც შემოწირულობა-

თა გზით ივსებოდა. პირველ შემომწირველებს შორის იყვნენ ვ. სოლოგუბი, მ. ეორონცოვი, ა. ივანიცკი, რ. ერისთავი, მ. თუმანიშვილი, ლ. ჩოლოყაშვილი, პ. იოსელიანი. შემოწირულობის სახით მუზეუმმა 105 ნივთი მიიღო, მათ შორის ტანსაცმელი, იარაღი, სამკაული, მინერალური კოლექცია, ნუმიზმატიკური და ეთნოგრაფიული მასალები, ავეჯი, ჭურჭელი, მუსიკალური საკრავები, მემორიალური ნივთები და სხვა. ამის გარდა ნატურალისტ ფრიდრიხ ბაიერნისაგან შეიძინეს კავკასიაში მოპოვებული საბუნებისმეტყველო მასალათა კოლექცია. ამ მცირე კოლექციებმა დაუდეს საფუძველი ახლად ჩამოყალიბებულ მუზეუმის ფონდებს [Кавказ 1853]. საფუძველი ჩაეყარა არქეოლოგიას, ნუმიზმატიკას, ეთნოგრაფიას. 1855 წლის 14 სექტემბერს, შემოწირულობების გზით დაგროვილი ნივთების საშუალებით, ფართო საზოგადოებისათვის მუზეუმმა გახსნა პირველი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ბოტანიკური, ზოოლოგიური, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური

დაქსაქსული მასალები [ჩხაიძე 2003: 28]. დამთვალიერებელთა ყურადღებას იქცევდა კავკასიური საბრძოლო იარაღი, ქალის ძვირფასი სამკაული, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნივთები, ძველებური მონეტები, შაჰ-აბასის ვერცხლით გაწყობილი ყალიონი, ორდენები რითაც შამილი აჯილდოვებდა თავის მებრძოლებს, კავკასიის ფლორისა და ფაუნის ამსახველი მასალები [ЗКОИРГО: 292]. დიდი ინტერესი გამოიწვია 1857 წელს კოსმოსიდან სტავროპოლთან ახლოს ჩამოვარდნილმა უნიკალურმა მეტეორიტმა. 1859 წელს მუზეუმში საბუნებისმეტყველო კაბინეტის კონსერვატორად ფ. ბაიერნი მიიწვიეს. ბაიერნმა მასალების შესაკრებად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაიწყო ექსპედიციების მოწყობა, რის შედეგადაც მუზეუმის ფონდებს 28600 ექსპონატი შეემატა. ფართის სივიწროვის გამო ბაიერნის კოლექციების დიდი ნაწილი მის ბინაზე ინახებოდა. 1863 წელს მუზეუმმა მიიღო თუშეთიდან ჩამოტანილი ვერძის და თხის თავის ბრინჯაოს უძველე-

სი ფიგურები. მიუხედავად იმისა, რომ თავდა-
პირველი ჩანაფიქრით მუზეუმი ეთნოგრაფიული
ხასიათის უნდა ყოფილიყო, იგი მრავალმხრივი
კომპლექსური ხასიათის გამოვიდა და სამი განყოფილებისგან შედგებოდა: საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიული და ისტორიული [ОИРГО 1857: 105]. მუზეუმი არქეოლოგიურ სამუშაოებს
არ აწარმოებდა, რადგან გეოგრაფიული საზოგადოების დებულებით კავკასიის განყოფილების საქმიანობის სფეროში არქეოლოგიური
კვლევა არ შედიოდა. რუსეთის კოლონიური
მიზნებიდან გამომდინარე მუზეუმში სამუშაოდ
ქართველებს არ იწვევდნენ, ერთადერთი ქართველი სპეციალისტი, რომელიც მარი ბროსეს
რჩევით მუზეუმში სპეციალურად მიიწვიეს, იყო
ცნობილი ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და ეთნოგრაფი რაფიელ ერისთავი. მან
დიდი ამაგი დასდო მუზეუმს ეთნოგრაფიული
ექსპონატების ადგილობრივი ტერმინოლოგიის
დადგენის, დაზუსტების და მოწესრიგების საქმეში. პირველმა დააყენა საკითხი სამუზეუმო

კოლექციების კატალოგიზაციის შესახებ და შეიმუშავა მეთოდური ინსტრუქცია. 1856 წელს რაფიელ ერისთავმა შეადგინა მუზეუმის პირველი კატალოგი. მანვე ფონდებში დაცული მასალების შეჯერების შედეგად წარადგინა მუზეუმის რეესტრიდან ამოსარიცხი იმ ნივთების სია, რომლებიც არ ასახავდნენ მხარეს არც ეთნოგრაფიულად და არც ისტორიულად [ჩხაიძე 2003: 21-22]. რაფიელ ერისთავის აზრით საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა, მაგრამ მუზეუმის დირექცია ამ აზრს ეწინააღმდეგებოდა, რადგან მათ მიზანს არა ქართული კულტურის შესწავლა, არამედ რუსეთის და ევროპის მუზეუმების ფონდების ექსპონატებით შევსება და რუსეთისა და დასავლეთის მეცნიერთათვის კავკასიის გაცნობაში ხელშეწყობა წარმოადგენდა. ამ მიზნის მთავარი გამომხატველი იყო სამეცნიერო წრეებში ცნობილი ნუმიზმატი, გენერალ-ლეიტენანტი ივანე ბარტოლომეი, რომელიც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკა-

სიის განყოფილების მიერ მუზეუმის დირექციის გაუქების და სოლოგუბის მუზეუმიდან წასვლის შემდეგ არსებითად მუზეუმის ხელმძღვანელად დაინიშნა. თანამშრომელთა უმეტესობა სწორედ ბარტოლომეის უჭერდა მხარს და საბოლოოდ სწორედ მან გაიმარჯვა.

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმს ფართო ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული პეტერბურგის საიმპერატორო ერმიტაჟთან, დრეზდენის სამეფო ბიბლიოთეკასა და ეთნოგრაფიულ მუზეუმთან, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკასთან და საიმპერატორო ბოტანიკურ ბაღთან [ჩხაიძე 2003: 29]. იზრდებოდა მუზეუმის ბიბლიოთეკის წიგნების ფონდიც, რომელიც ასევე ძირითადად რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების თანამშრომლებს ემსახურებოდა. ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებამ და ამით გამოწვეულმა სიძნელეებმა ხელისუფლების ინტერესი მუზეუმისადმი სამწუხაროდ გაანელა. ცვლილებები მოხდა მუ-

ზეუმის დანიშნულებასა და მიმართულებაშიც. კავკასიის განყოფილებამ და მუზეუმის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ მუზეუმის შენახვა ძვირი ჯდებოდა და ამიტომ უმჯობესი იქნებოდა განყოფილებას მხოლოდ თავისი პირდაპირი დანიშნულება, ანუ კავკასიის მხარის შესწავლა, მისი მეცნიერული კვლევა-ძიება ეწარმოებინა და ბეჭდვითი გამოცემებით გაეცნო იგი მსოფლიოსთვის. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების თავმჯდომარის მ. კარცევის და მუზეუმის დირექტორის ი. ბარტოლომეის აზრით სამუზეუმო კოლექციები ევროპის მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში უნდა გაგზავნილიყო, ხოლო ადგილზე საკმარისი იქნებოდა მათი ფოტოსურათების სახით დატოვება [ЗКОИРГО: 10]. ასეთი მიდგომის გამო მუზეუმი უკვე ჯეროვანი ყურადღებით აღარც ახალი ექსპონატების შეძენას ეკიდებოდა. მათ 1857 წელს უარი თქვეს მიხეილ ბარათაშვილის ნუმიზმატიკური კოლექციის შეძენაზე. უსახსრობის გამო მუზეუმმა ორჯერ გამოიცვალა ბინა.

1858 წელს გადავიდა იქვე ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე მრეწველ ივანე ზუბალაშვილის სახლში, ხოლო 1862 წელს გოლოვინის (რუსთაველის) გამზირზე ვაჭარ გამაზოვის ბინაში [Кавказский календарь 1865: 100]. საბოლოოდ 1864 წელს მუზეუმი დაიხურა. მისი კოლექციების ნაწილი ბედის ანაბარად მიტოვებული განადგურდა ან დატაცებული იქნა, ნაწილი კი გადარჩა და საკანცელარიო მასალასთან ერთად გადატანილ იქნა გეოგრაფიული საზოგადოების მდივნის დ. კოვალენსკის ბინაში. ეს ფონდები შემდგომში კავკასიის მუზეუმს გადაეცა, მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკა კი კავკასიის სამხარეო ოლქის შტაბს.

თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის აღორძინება-განვითარებაში. ის ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო-სამუზეუმო დაწესებულება იყო მთელ კავკასია-

ში, რომელთანაც თანამშრომლობდა ბევრი ცნობილი მეცნიერი და აკადემიკოსი: აბიხი, რუპრეხტი, რეგელი, კლემი. დოქტორები: არწ-რუნი, შნაიდერი, ლედერი, სივერსი, ბრანდტი. მის დაარსებაში უცხოელ მოღვაწეებთან ერ-თად აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველე-ბიც. შემოწირულობების საშუალებით მისი ფონდები შეივსო ეთნოგრაფიული, ისტორიული და საბუნებისმეტყველო კოლექციებით, დაიწყო მათი მეცნიერული დამუშავება, რის საფუძველ-ზეც მუზეუმმა შეძლო გამოფენის გახსნა. შემდგომში ყირიმის ომის გამო, შესუსტებული ზრუნვისა და დახმარების პირობებში მუზეუმის მიმართ არაკეთილგანწყობილი პოზიცია გაჩნდა და მუზეუმმა შეწყვიტა არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მუზეუმი რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას ემორჩილებოდა და არც ისე დიდ-ხანს ფუნქციონირებდა იმ დროისათვის ის იყო მეცნიერების და კულტურის ერთ-ერთი კერა ამიერკავკასიაში და სწორედ ამ მუზეუმით

დაიწყო პროფესიულ საქმიანობათა დაწესებულებების ქსელის შექმნა საქართველოში.

ფრიდრიხ ბაიერნის კოლექცია

სამუზეუმო საქმიანობას საქართველოში მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ავსტრიელმა ნატურალისტმა და არქეოლოგმა ფრიდრიხ ბაიერნმა. აქტიური საველე-მოძიებითი სამუშაოების შედეგად მან იმდენი მასალა დააგროვა, რომ აღარ კმაროდა თბილისში იმ დროს არსებული მუზეუმების საექსპოზიციო დარბაზები და ფონდები, ამიტომ კოლექციათა დიდი ნაწილი სახლში ჰქონდა დალაგებული. სამწუხაროდ ეს მასალები იქ სათანადოდ არ იყო დაცული რის გამოც 1855 წლის გაზაფხულზე მის ბინაში შევარდნილმა ადიდებულმა მტკვარმა დიდი ზიანი მიაყენა ამ კოლექციებს [ჩხაიძე 2003: 39]. 1856 წელს თავისი მდიდარი კოლექციების გამოსაფენად ფ. ბაიერნმა დიდუბეში გახსნა საბუნებისმეტყველო პროფილის მცირე მუზეუმი, რომელსაც შემდგომში „ნატურალისტ

ბაიერნის კაბინეტად“ მოიხსენიებდნენ. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო კავკასიაში მის მიერ სხვადასხვა დროს მოპოვებული გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური მასალები. 1859 წელს კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის ნებართვით ფ. ბაიერნი მიწვეულ იქნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმში კონსერვატორის თანამდებობაზე. განყოფილების დავალებით, ხშირად კი საკუთარი ინიციატივითაც მან შემოიარა ერევნის, ეჩმიაძინის, დაღესტნის, ახალციხის, ბორჩალოს, რაჭის, ფშავ-ხევსურეთის, შიდა ქართლის მიდამოები. მის მიერ შეგროვებული ნიმუშების კოლექციები შეიცავდნენ პალეონტოლოგიურ (წარსულ გეოლოგიურ დროთა განმარხებული ორგანიზმების ნაშთები), კონქილიოლოგიურ (უძველესი გაქვავებული ნიუარები), დენდროლოგიურ (მცენარეული), ენტომოლოგიურ (მწერების ნაშთები) ექსპონატებს. ბაიერნის მიერ აღმოჩენილი ბევრი მცენარე პირველად იქნა შეტანილი საბუნებისმეტყველ-

ლო მეცნიერების მიმოქცევაში და მისი სახელი ეწოდა [ჩხაიძე 2003: 39]. შემდგომში ბაიერნის კოლექციები თბილისის იმდროინდელი მუზეუმების გეოლოგიურ, ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ფონდებს დაედო საფუძვლად.

ფრიდრიხ ბაიერნი ძალიან იყო დაინტერესებული არქეოლოგიური კვლევებით და სიცოცხლის ბოლომდე არქეოლოგიით იყო დაკავებული. მან შეისწავლა არარატის მთასთან, იგდირთან აღმოჩენილი ურარტული ლურსმნული წარწერები. არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ყაზბეგში, ურბნისში, ნიჩბისში, სართიჭალასა და დუშეთთან. აფხაზეთში აღმოაჩინა დოლმენები, გათხარა ადრეშუასაუკუნეების სამარხები შავი ზღვის პირას, გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი დილიჟანის ხეობაში. 1872 წლიდან არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა სამთავროს სამაროვანზე, სადაც გამოავლინა გვიანბრინჯაოს, ადრერკინის, ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანის სამარხები, ასევე მინის საწარმოს ნაშთი. სამწუხაროდ ბაიერნი გათხრებს წესიე-

რად არ აწარმოებდა, არც მოპოვებული მასალის გააზრება ხდებოდა ჯეროვნად და ხშირად დაუსაბუთებელ დასკვნებს აკეთებდა, რისთვისაც მას სამართლიანად აკრიტიკებდნენ იმ დროის სამეცნიერო წრეების და ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი დამწვარი ძვლების ნაკლულობის გამო ბაიერნმა ზერელედ დაასკვნა, რომ საქართველოში კანიბალიზმი (კაციჭამიობა) იყო გავრცელებული, ამ აზრს ზოგი მიმდევარიც გამოუჩნდა. ამ თეორიას კრიტიკული წერილების მთელი სერია მიეძღვნა. სამთავროს სამარხებში აღმოჩენილი მასალა მეცნიერულად პირველმა დიმიტრი ბაქრაძემ ახსნა. მან მოახდინა მასალის კლასიფიკაცია და მიუთითა, რომ სამარხებში აღმოჩენილი ნივთების სიმრავლე და მრავალფეროვნება, მათი დამუშავების ტექნიკა, ქართველ ტომთა ბარბაროსობაზე კი არა, არამედ მოცემულ ეტაპზე მათ დაწინაურებულ ყოფაზე მიუთითებდა [ბაქრაძე 1889: 72-73]. ბარონმა ტიზენჰაუზენმა

და გრაფმა უვაროვმა, რომელმაც თვითონ ნახა და შეისწავლა სამთაეროს სამაროვანი, დაამტკიცეს, რომ ეს კოლექტიური სამარხები იყო და ამით ნათელი გახადეს ფ. ბაიერნის მოსაზრების უსაფუძვლობა. ცნობილი მეცნიერების მოსაზრებებზე დაყრდნობით მწვავედ გააკრიტიკა და უარყო ბაიერნის ეს თეორია ილია ჭავჭავაძემ. ყველაფრის მიუხედავად ფრიდრიხ ბაიერნის ღვაწლი კავკასიაში მაინც დიდია. მართალია, მიუხედავად ბევრი წლის განმავლობაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევებისა ის მაინც ვერ გაცდა პრაქტიკულ ნატურალისტობას, მაგრამ მის მიერ წარმოებული გათხრებით ფაქტიურად საფუძველი ჩაეყარა გათხრით არქეოლოგიას საქართველოში. მისი ანგარიშებით, რომლებსაც რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე აქვეყნებდა მსოფლიო მეცნიერებამ გაიცნო საქართველოს სიძველეები [გაგოშიძე 1977: 154]. მისი დამსახურებაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასალათა შეკრება, მდიდარი კოლექციების მოძიება და ექსპონირება. ეს

კოლექციები XIXს-ის 60-იანი წლების ბოლოს კავკასიის მუზეუმს გადაეცა.

კავკასიის მუზეუმი

რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის დახურვის შემდეგ 1865 წელს გაიხსნა კავკასიის მუზეუმი, რომელსაც 39 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა გერმანელი ბუნებისმეტყველი, დოქტორი გუსტავ რადე. გუსტავ რადე იყო ქალაქ დანციგიდან, თბილისში 1863 წელს პეტერბურგიდან ჩამოვიდა და გერმანულ კლუბში კავკასიის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარეს ადოლფ ბერჟეს დაუმეგობრდა. ბერჟეს რჩევით მან კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართებელს ბარონ ნიკოლაის კავკასიის ბიოლოგიურ-გეოლოგიური კვლევის გეგმა წარუდგინა, რომელიც მხარის კომპლექსურ შესწავლას, მისი ფლორის, ფაუნის, ისტორიის და ეთნოგრაფის საკითხებზე მუშაობას ითვალისწინებდა. გეგმა მოიწონეს და გ. რადეს ნება

დართეს მოეწყო ექსპედიციები კავკასიის მასსტაბით, შეეგროვებინა სამუზეუმო მასალა და გაეშალა სამეცნიერო სამუშაოები [სსმ არქივი 1885; ჩხაიძე 2003: 52]. გ. რადემ მოიარა ენგურის და რიონის სათავეები, ლეჩხუმი, სვანეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, აფხაზეთი. შეაგროვა მდიდარი ბოტანიკური, ზოოლოგიური, გეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალა. ფირზე აღბეჭდა საქართველოს კუთხეების პეიზაჟები და ეთნოგრაფიული შინაარსის სურათები. შეგროვილი მასალის დაცვის, სისტემატიზაციის და მეცნიერული კლასიფიკაციისათვის რადეს აზრით აუცილებელი იყო მუზეუმის შექმნა. ამ აზრს იზიარებდა მისი მეგობარი ა. ბერჟე და გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი პლატონ იოსელიანი. ამ პერიოდში მუზეუმის გახსნა რეალურად გამოიყურებოდა, რადგან გარდა რადეს მიერ შეეგროვებული საინტერესო მასალისა დაცვას მოითხოვდა გაუქმებული გეოგრაფიული სა-

ზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის ექსპონატებიც.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯები მუზეუმისათვის ბინის დასაქირავებლად გადაიდგა. სერგეევის (მაჩაბლის) ქუჩაზე სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე დაიქირავეს სამი ოთახი, სადაც განთავსდა მუზეუმის პირველი კოლექციები. ეს იყო კომპლექსური პროფილის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი და შეიცავდა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ განყოფილებებს, სულ ოთხ განყოფილებას: ეთნოგრაფიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის და გეოლოგიის. შემდეგ დაემატა მეხუთე ორნამენტებისა და სიძველეთა (მოგვიანებით არქეოლოგიის). ახლად გახსნილი კავკასიის მუზეუმის დირექტორად გ. რადე დაინიშნა. მუზეუმის მიზნები და ამოცანები მეფისნაცვლის მიერ დამტკიცებულ დებულებაში იყო ჩამოყალიბებული: „მუზეუმის მიზანია კავკასიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მასალის შეგროვებით, მათი ფონდებში მოთავსებით, გამოფენით და შესწავლით ნათე-

ლი წარმოდგენა შექმნას ცოდნის ამ დარგზე და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს კავკასიის ბუნების შესწავლას“ [სსმ არქივი 1864]. მუზეუმში თავი უნდა მოეყარა ყველა იმ საგანს, რომელიც ასახავდა კავკასიის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, ამიტომ უპირველეს ამოცანას მოძიებითი სამუშაოების წარმოება და მოპოვებული ნივთების მუზეუმში წარმოდგენა წარმოადგენდა, ამისთვის კი უნდა მოწყობილიყო სამეცნიერო მოგზაურობები და ექსპედიციები [ჩხაიძე 2002: 301]. პირველი კოლექციები რომელთა საფუძველზეც შემდეგ შეიქმნა მუზეუმის ფონდები იყო გ. რადეს მიერ 1864-1866წწ-ში ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიული მასალები, ასევე სხვადასხვა პირების და ორგანიზაციების შემოწირულობები. შეიძინეს სხვადასხვა ნივთები: შვეიცარიელი ბოტანიკოს-კოლექციონერის მისიონერ რუდოლფ ჰოგენაკერისაგან დიდი ჰერბარიუმი, რომელიც კავკასიის მცენარეთა 2800 ეგზემპლიარისაგან შედგებო-

და, ბუნებისმეტყველ სტევების ქართული მუხე-
ბის კოლექცია, მცხეთის მახლობლად ნაპოვნი
თლილი ქვა რომის იმპერატორის ვესპასიანეს
წარწერით, ხევსურული აღჭურვილობა, აფხა-
ზური ტანსაცმელი, სპარსული ეთნოგრაფიული
ნივთები, ნოხები, ფარდაგები, ხალიჩები, ცხოვე-
ლების და ფრინველების ფიტულები, ტყავები,
რქები და სხვა [ჩხაიძე 2003: 58]. 1865-1866წწ-ში
მუზეუმს გადაეცა გეოგრაფიული საზოგადოე-
ბის კავკასიის განყოფილების მუზეუმის და ე.წ.
„ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტის“ კოლექციე-
ბი (173 ისტორიულ-ეთნოგრაფიული და 3000-
მდე გეოლოგიური და მინერალური ექსპონატი),
ასევე მეფისნაცვლის ბრძანებით მუზეუმს გა-
დაეცა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხ-
თა ეთნოგრაფიული მასალა, ტამანის ყურესთან
აღმოჩენილი ანტიკური ხანის მარმარილოს ფი-
ლა ძველი ბერძნული წარწერით, ბიჭვინთის
ტაძრის საკურთხეველში შემთხვევით აღმოჩენი-
ლი XIIIს-ის ვერცხლის 9 მონეტა, ყუბანის
ოლქში აღმოჩენილი დიდი ზომის ქალის ქანდა-

კება, სტავროპოლის გუბერნიაში ნაპოვნი ქალის ძვირფასი სამკაულის და 100-ზე მეტი ოქროსა და ვერცხლის მონეტისგან შემდგარი განძი [სსმ არქივი 1864ა]. რუსეთის ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ გადასცა ეთნოგრაფიულ ტანსაცმელში გამოწყობილი 288 ცალი მანეკენი და მოზდოკთან ნაპოვნი მამონტის გაქვავებული ნაშთები.

1867 წლის 2 იანვარს სერგიევის ქუჩაზე მოხსენიებული სახლის სამ ოთახში, მუზეუმმა გახსნა გამოფენა, რითაც მუზეუმი დამთვალიერებლისთვის ოფიციალურად გაიხსნა [ბოლქვაძე 1974: 154]. საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ კავკასიის მეფისნაცვალი და თბილისის საზოგადოების წარმომადგენლები. ნაჩვენები იყო გეოლოგიური, ბოტანიკური, ზოოლოგიური და ეთნოგრაფიული ფონდების მასალები. პირველი დარბაზი დათმობილი ჰქონდა ეთნოგრაფიული და ისტორიული შინაარსის ექსპონატებს. აქ იყო ჩრდილოეთ კავკასიაში შეძენილი და შემთხვევით ნაპოვნი ნივთები: ქვის ჩაქუჩები და

ხელსაფქვავები, ოსეთში და ყუბანში მოპოვებული ბრინჯაოს პატარა ფიგურები, რკინის ისრისპირები და სხვა. ექსპონატების დიდი ნაწილი ეკუთვნოდა გაუქმებული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის ფონდებს. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა ყუბანის და ტამანის ნახევარკუნძულებზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის ნივთები, ქერჩში მოპოვებული ანტიკური ხანის თიხის ჭურჭელი და ქალის მდიდრული ძველებური სამკაული [Кавказ 1867: 191]. ვრცლად იყო წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ექსპონატები: კავკასიის ხეობებში მოსახლე მთიელთა საოჯახო და სამეურნეო ნივთები, მუსიკალური საკრავები, სამკაული, იარაღი [Кавказский календарь 1867: 275]. მეორე დარბაზი ეთმობოდა ზოოლოგიურ ექსპონატებს, მესამე კი ბოტანიკურ და გეოლოგიურ მასალებს. გამოფენილი იყო კავკასიაში გავრცელებული თითქმის ყველა სახეობის ცხოველის, ფრინველის, მწერის, ხის თუ ბუჩქის ამსახველი მასალები, ასევე ნიჟარები,

იხტიოლოგიური კოლექციები და მთის ქანების ნიმუშები [ჩხაიძე 2003: 62-63]. ეს იყო კავკასიის მუზეუმის პირველი გამოფენა, რომელიც როგორც ავღნიშნეთ უფრო საფონდო მასალების ჩვენება იყო და არა სამუზეუმო ექსპოზიცია. გამოფენამ წელიწადნახევარი იმუშავა და 4300 კაცმა დაათვალიერა. ამავე წელს მუზეუმს გადაეცა სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის მასალები.

ექსპოზიციამ აჩვენა რომ მუზეუმის შენობა ვერ იტევდა ექსპონატებს. საგამოფენო სამი ოთახი საექსპოზიციო მასალით მეტად იყო გადატვირთული. რადგან მუზეუმის შენობას ზოგადად დიდი მნიშვნელობა აქვს მუზეუმის საერთო წინსვლისათვის და კერძოდ საექსპოზიციო სამუშაოთა გაშლისათვის, აქტუალური გახდა მუზეუმისათვის ახალი შენობის გამოყოფის საკითხი. შესაფერისი შენობის აგების დამაჩქარებელ მიზეზად ასევე იქცა ცნობა იმპერატორ ალექსანდრე II-ის და სამეფო ოჯახის თბილისში ჩამოსვლის შესახებ. ადგილობრივ

ხელისუფლებას აუცილებლობად მიაჩნდა იმპერატორისათვის მუზეუმი დაეთვალიერებინა, ამიტომ გადაწყდა მომზადებულიყო მუზეუმის ახალი შენობის პროექტი. 1868 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა დაამტკიცა არქიტექტორ ალბერტ ზალცმანის მიერ მომზადებული პროექტი [Радде 1891: 38]. მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობა მეფისნაცვლის სასახლის პირდაპირ თავისუფალ ტერიტორიაზე, სასახლის მოედნის კუთხეში, არაგვის ერისთავებისა და თავადაზნაურთა საკრებულოს შენობის გვერდით დაიწყო და 1869 წლის აგვისტოში დასრულდა [Кавказский календар 1869: 391]. ახალ შენობაში გადაიტანეს სამუზეუმო მასალები, დაიწყო ფონდების გამდიდრება, მოხდა სტრუქტურული ცვლილებებიც, რომლის მიხედვით მუზეუმის დირექტორს დაექვემდებარა საჯარო ბიბლიოთეკა და ორივე დაწესებულება კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის გამგებლობაში შევიდა. მეფისნაცვალი და ხელისუფლება მეტად კეთილგანწყობილი იყო მუზეუმისადმი, ისინი

დიდად უწყობდნენ ხელს სამუზეუმო კოლექ-
ციების შესყიდვას. სხვადასხვა სახის ექსპონა-
ტების თუ ჰერბარიუმების გარდა შეძენილ იქნა
თბილისელი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის
ფოტოალბომი. თანადგომას იჩენდნენ კერძო
პირებიც [ჩხაიძე 2003: 75]. გ. რადე აღნიშნავდა
„მთავრობა ყოველთვის ხელს უწყობდა მუზეუ-
მის კოლექციების გამდიდრებას და საინტერე-
სო ნივთების შესაძენად მნიშვნელოვან თანხებს
ხარჯავდა. მეორეს მხრივ, კერძო პირები თა-
ვიანთი შემოწირულობებით დიდად ეხმარებოდ-
ნენ მუზეუმსო“ [Краткий путеводитель 1875: 3].
შემომწირველთა შორის იყვნენ ქართველი თა-
ვადები: ი. აბხაზი, ა. წულუკიძე, გ. ნაკაშიძე, დ.
ჩოლოყაშვილი, ი. მამაცაშვილი, ნ. წილოსანი,
ი. ზუბალაშვილი, დ. ბაქრაძე. ამ უკანასკნელმა
მუზეუმს გადასცა ეტრატზე შესრულებული
ბაგრატ IV-ის კუთვნილი 1032 წლით დათარი-
ღებული სახარება და ოსეთში აღმოჩენილი
ბრინჯაოს ნივთები [Краткий путеводитель 1875:
13]. მუზეუმს დახმარებას უწევდა მსოფლიოს

სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრი და დაწესებულება: ლონდონის ალპური კლუბი, ბერლინის, ჰამბურგის და კალკუტის მუზეუმები, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემია, ერმიტაჟი, პეტერბურგის ბოტანიკური ბაღი. 1870 წელს მუზეუმს გადაეცა ერიწოვის მიერ ლორეს ხეობაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. ქალაქ შუშაში შეიძინეს ქსოვილები, ხალიჩები, ფარდაგები, ჯეჯიმი და სხვა. ექსპონატებით გამდიდრებული ფონდები საშუალებას იძლეოდა დაწყებულიყო მზადება ახალი გამოფენის მოსაწყობად.

1870 წელს, 13 სექტემბერს კავკასიის მუზეუმის შენობაში გოლოვინის პროსპექტისა და ნიკოლოზის ქუჩის (ნატო ვაჩნაძის ქუჩა) კუთხეში მოეწყო სტაციონალური გამოფენა, რომლის მიზანი იყო იმ დროინდელი სამუზეუმო ხერხებით აესახა კავკასიის ფლორა, ფაუნა და ეთნოგრაფია [ჩხაიძე 2003: 77]. ექსპოზიცია ხუთი განყოფილებისგან შედგებოდა. რვა დარბაზში 49 ვიტრინასა და 46 კარადაში წარმოდგენილი

იყო ექსპონატები, ფიგურები, ფერწერული ტილოები, ფოტოები, მულაჟები, მანეკენები. ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ექსპონატებს ოთხი დარბაზი ჰქონდა დათმობილი. პირველ დარბაზში გამოფენილი იყო ტანსაცმელი, საბრძოლო იარაღი, მუსიკალური საკრავები, სამკაული, სხვადასხვა ძვირფასეულობა და ეტრატზე შესრულებული XIს-ის ქართული ხელნაწერი. მეორე დარბაზი ეთმობოდა ეთნოგრაფიულ საოჯახო და სამეურნეო ნივთებს. მესამე დარბაზის კარადებში გამოფენილი იყო 2000-მდე შემოწირული თუ შეძენილი მონეტა. მარცხენა კედელთან სპეციალურ სადგარზე იდგა მცხეთიდან ჩამოტანილი ქვა ლათინური წარწერით. კედელზე ეკიდა გოგჩის (სევანის) ტბის მიდამოებში აღმოჩენილი ლურსმნული წარწერიანი ქვის ფილები. მეოთხე დარბაზში წარმოდგენილი იყო ყუბანის ოლქის ქ. ეკატერინოდარის ახლოს გათხრილ სამაროვანზე მოპოვებული ოქროს და ვერცხლის ნივთები, სატევრები, დერბენდში აღმოჩენილი მოჭიქული დოქი არამეული წარ-

წერით და ორნამენტებით, ქაშანური თასი ქართული წარწერით, ქალის სამკაული, კოლხური კერამიკული ჭურჭელი, ძველებური კრამიტები თელავიდან, ძველი ჭურჭლის კოლექცია და სპილენძის სამკაული ლორეს მაზრიდან, ასევე ანტიკური ხანის ნივთები ქერჩიდან და ტამანის ნახევარკუნძულებიდან, ფ. ბაიერნის მიერ შეკრებილი სამკაული, ჭურჭელი, სამშენებლო მასალები, დ. ბაქრაძის შემოწირული ბრინჯაოს ნივთები, ხარის თავის გამოსახულებანი ვერცხლის ფირფიტა. ახალციხიდან, შემახიიდან და ნუხიდან ჩამოტანილი ნაქარგი ქსოვილები [Краткий путеводитель 1875: 13-26]. გამოფენილი იყო კავკასიის რელიეფური რუკა, რომელიც 1867 წელს ექსპონირებული იყო პარიზში საერთაშორისო გამოფენაზე [ჩხაიძე 2003: 80]. დანარჩენი ოთხი დარბაზი ზოოლოგიურ, ბოტანიკურ და გეოლოგიურ მასალებს ეკავათ. ეს იყო კომპლექსური ხასიათის გამოფენა, რომელშიც წარმოდგენილი იყო კავკასიის ფლორა, ფაუნა და ეთნოგრაფია. ექსპოზიციაში სიახლე იყო

ის, რომ ზოოლოგიურ ჯგუფში იგრძნობოდა მისწრაფება ცხოველთა ბიოჯგუფებად გაერთიანებისა, ე.ი. მისი წარმოდგენა ცხოველებისათვის დამახასიათებელ გარემოში. მიუხედავად ამისა ეს გამოფენა დიდად არ განსხვავდებოდა წინა ექსპოზიციისაგან, თუმცა მნიშვნელოვნად იყო გამდიდრებული. გამოფენა პოპულარული იყო როგორც თბილისის საზოგადოებაში ისე სტუმართა შორის. 1871 წელს ის დაათვალიერა თბილისში სტუმრად მყოფმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ და მისმა ოჯახმა, 1878 წელს სპარსეთის შაჰმა ნასერ-ალ-დინმა [Кавказ 1871]. გამოფენამ მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე 1878 წლამდე იარსება.

უხვად შემოსული მასალის და გამდიდრებული ფონდების გამო რამოდენიმე წელში მუზეუმი უკვე ისევ სივიწროვეს განიცდიდა. 1881 წლის შემოდგომაზე თბილისში უნდა გამართულიყო V საერთაშორისო არქეოლოგური ყრილობა, სადაც თავი უნდა მოეყარა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბევრ გამოჩენილ მეცნიერს.

ყრილობის ერთ-ერთი მასპინძელი კავკასიის მუზეუმი უნდა ყოფილიყო, ამასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გაფართოებულიყო მუზეუმის შენობა და განახლებულიყო მისი გამოფენები. ყრილობის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარედ გ. რადე აირჩიეს. კომისიამ არქიტექტორ ა. ზალცმანს დაავალა უმოკლეს ვადებში წარმოედგინა მუზეუმის შენობის გაფართოების გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ მალევე რადეს დაჟინებული მოთხოვნით ზალცმანი არქიტექტორმა ლ. ბილფელდმა შეცვალა [ჩხაიძე 2002: 303]. სამშენებლო სამუშაოების გამო მუზეუმი დაიხურა, ექსპოზიციები კი ხელუხლებელი დარჩა. ცხრათვიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად მუზეუმის შენობაზე ერთი სართული დააშენეს. სამუშაოების დასრულების შემდეგ მუზეუმის შენობა წარმოადგენდა რენესანსის კლასიკური სტილის კაპიტალურ ნაგებობას, რომლის შუა ნაწილი ოდნავ წინ იყო გამოწეული და ბერძნული სამკუთხა ფრონტონით და ექვსი კორინ-

თული სვეტით იყო დამშვენებული [Кеппен 1896: 5]. ფრონტონის ქვეშ ეპისტოლზე რუსული დიდი ასოებით იყო წარწერა „მუზეუმი“. მუზეუმის მთავარი შესასვლელის ვესტიბიულის კედლები ავსტრიელმა მხატვარმა ფრანც ქსავერ ზიმმა და მისმა მეუღლემ მოხატეს. მათზე კავკასიასთან დაკავშირებული მითოლოგიური სიუჟეტები, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ფრესკის პირები იყო მოცემული. ახალი საგამოფენო ფართი შენობის ორ სართულს და ანტრესოლს მოიცავდა, სადაც 17–მდე დარბაზი იყო განთავსებული. დაიწყო მზადება ახალი ექსპოზიციის მოსაწყობად. მოხდა ორგანიზაციებში გაბნეული სამუზეუმო მასალების თავმოეყრა, განახლებული ექსპოზიცია შეივსო ახალი კოლექციებით, მათ შორის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების და კავკასიის სამთო სამმართველოს კუთვნილი მასალებით.

1881 წლის 8 სექტემბერს 11 საათზე თბილისში მეფისნაცვლის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა V საერთაშორისო ყრილობა [V Арх.

съезд 1881: 1]. ყრილობის საზეიმო ოფიციალური გახსნის შემდეგ გ. რადემ დამსწრე საზოგადოება კავკასიის მუზეუმის დასავალიერებლად მიიპატიჟა. დღის ორ საათზე მუზეუმის ახალი შენობა და ახალი ექსპოზიცია საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ექსპონატები 17 დარბაზში იყო განთავსებული. მუზეუმმა და გამოფენამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. კავკასიის ხედებით მოხატული კედლები ფონს უქმნიდა გამოფენილ ექსპონატებს. ჭერი ორნამენტებით იყო მოხატული, იატაკი კავკასიური ხალიჩებით, ფარდაგებით და ჯეჯიმით იყო დაფარული. მიუხედავად გამოფენაზე წარმოდგენილი ახალი კოლექციებისა ექსპოზიციის მოწყობის მხრივ ცვლილებები არ შეინიშნებოდა, რადგან ექსპოზიციები და ფონდის საცავები ერთმანეთისაგან არ იყო გამოყოფილი. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო გეოლოგიის და ბოტანიკის განყოფილებაში. გეოლოგიურ განყოფილებაში მასალები წინანდებურად რაიონების, ზოგ შემთხვევაში კი სტრატიგრაფიის მიხედვით იყო

განლაგებული. ბოტანიკის განყოფილებაში კი მცენარეულობა სარტყელების მიხედვით იყო წარმოდგენილი, ზოგ შემთხვევაში გამოყენებული იყო ჯერ კიდევ დაუხვეწავი ბუნებრივი სისტემა. ორივეგან ჭარბად იყო დამხმარე მასალა: რუკები, ჭრილები, კატალოგები, სურათები, ტაბულები და სხვა [ბოლქვაძე 1974: 157]. შედარებით გაუმჯობესებულად გამოიყურებოდა ზოოლოგიის და ეთნოგრაფიის განყოფილება. პირველად იყო წარმოდგენილი ცხოველთა ენდემური სახეები. საექსპოზიციო ფართის ეკონომიის მიზნით ბუტაფორულ კიბეზე ცხოველთა ფიტულები თავიანთ ბიოჯგუფებში ვერტიკალურად იყო განლაგებული. ეთნოგრაფიული განყოფილება რომლის ფონდების შევსება უმეტესად შემოწირულობების გზით ხდებოდა ექსპოზიციაში ძირითადად დაქსაქსული კოლექციებით იყო წარმოდგენილი. კავკასიის ხალხების საჩვენებლად გამოტანილი იყო ანთროპოლოგიური ტიპები დედან კოსტიუმებში ჩაცმული მანიკენების სახით, რომელთა ჯგუფები

გამოხატავდნენ ყოფის დამახასიათებელ სხვადასხვა სცენებს [ბოლქვაძე 1974: 157]. თუმცა აქ გამოფენილი ექსპონატები მხოლოდ კავკასიის ხალხების კუთვნილებას არ წარმოადგენდა, ერთმანეთის გვერდით დანიშნულების მიხედვით იყო განლაგებული ქართული, სპარსული, თურქული, ქურთული, დონის კაზაკების და სხვათა კუთვნილი საგნები: მუსიკალური ინსტრუმენტები, იარაღი, ქალის სამკაული, ჭურჭელი და სხვა. საექსპოზიციო ფართის ეკონომიის მიზნით აქაც ნივთები პირამიდულად იყო განლაგებული, რაც ძლიერ ტვირთავდა ექსპოზიციას.

ორნამენტებისა და სიძველეთა განყოფილების მასალები ზედა ნახევარსართულზე იყო გამოფენილი და ნუმიზმატიკით იწყებოდა. გამოტანილი იყო ასევე წარწერების დედნები და პირები, ორნამენტები, ეკლესიის ფოტოები, საფლავის ქვები და სხვა. არქეოლოგია ოთხ დარბაზში იყო წარმოდგენილი. გამოიფინა 1871-1881წწ-ში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები. ექსპო-

ნატები გეოგრაფიული პრინციპით, ოთხი მდინარის ყუბანის, თერგის, რიონისა და მტკვრის აუზების მიხედვით იყო დალაგებული, მის შიგნით კი მასალები შემომწირველთა ან აღმოჩენის ადგილის მიხედვით იყო ნაჩვენები. გამოფენილი იყო ვანში, ახტალაში, ვორნაკში და სხვა ადგილებში აღმოჩენილი არტეფაქტები. მასალების ქრონოლოგიური რიგით წარმოდგენა გ. რადეს თქმით შეუძლებელი იყო, რადგან მუზეუმს არ პყავდა არქეოლოგი [ჩხაიძე 2003: 107; ბოლქვაძე 1974: 157-159]. პირველ დარბაზში წარმოდგენილი იყო არქეოლოგიური მასალები მტკვარ-არაქსის აუზიდან. კარადებში ელაგა ფ. ბაიერნის მიერ მცხეთაში, სამთავროში მოპოვებული მასალები, მათ შორის I-IIსს. სამკაული; ხევსურეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ლომი [Колекции 1912: 117]. სპეციალურ ვიტრინებში ელაგა ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონებში აღმოჩენილი მასალები: ერიწოვის მიერ შეკრებილი ძველი ბრინჯაოს და რკინის ნივთები, ძველი ქაშანური თასი, ქრისტიანული ჯვრები, ქვის

ჩაქუჩები და იარაღები, ასურული სამი ქანდაკება, მოზაიკა კილიკიიდან, ებრაულენოვანი საფლავის ქვა, 1867 წელს ბაგინეთში აღმოჩენილი იმპერატორ ვესპასიანეს ცნობილი სტელა. სადგარზე მოთავსებული იყო არაგვის ხეობიდან ჩამოტანილი გამომწვარი თიხის ორი სარკოფაგი [Путеводитель 1881: 55].

მეორე დარბაზში გამოფენილი იყო კაუისა და ობსიდიანის ნივთები: დანები ხერხები, საფხეკები, ბრინჯაოს სამკაული, რელიეფური ფილები, შორაპანში აღმოჩენილი თასი, ძველი ნივთები აჯამეთიდან. მესამე დარბაზი ეთმობოდა სიძველეებს ყუბანიდან, ხოლო მეოთხე დარბაზი ნივთებს თერგის ოლქიდან. წარმოდგენილი იყო მასალა დაღესტნიდან, დიგორიდან, ხევსურეთიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული სამარხების მოდელები [ჩხაიძე 2003: 104-105]. ექსპოზიციაში განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო 1880 წელს ვანის ნაქალაქარში „ახვლედიანების“ გორაზე აღმოჩენილი

მდიდრული სამარხის ინვენტარი, ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას მდინარეების ქცია-ხრამის შენაკადის დებედის ხეობაში სოფ. ვორნაკთან 1871 წელს ალექსანდრე ერისთოვისა და ნიკო მარის მიერ გათხრილი სამაროვნიდან აკრეფილი ნივთები, ფრანგი სამთო ინჟინრის და არქეოლოგის ჟაკ დე-მორგანის ახტალა-ალავერდის მიდამოებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები და სხვა [ჩხაიძე 2003: 106-107]. ეს მასალები ყრილობის მუშაობის დასრულების შემდეგ კავკასიის მუზეუმში დარჩა.

მთავარი რაც ახალ გამოფენას წინა ექსპოზიციებისაგან განასხვავებდა იყო ის, რომ საგამოფენო ფართის გაზრდასთან ერთად, მოხერხდა ექსპონატების სისტემური წესით და სახეობების მიხედვით უფრო ვრცლად წარმოდგენა. დარბაზები გადატვირთული იყო პიველხარისხოვანი დედანი ექსპონატებით. ვიტრინების ვერტიკალური სიბრტყეები დაფარული იყო ქსოვილებით და ქარგულობით. ექსპოზიციაში შეიმჩნეოდა დიზაინის ხშირი ცვლა (ექსპონატ-

თა ვერტიკალური ან პირამიდული განლაგება, მანეკენების შემოტანა წარმოდგენის უკეთ აღსაქმელად და სხვა), რაც თავისთავად ტვირთავდა ექსპოზიციას, მაგრამ კომპოზიციის ეს მეთოდები უფრო საექსპოზიციო ფართობის ეკონომიის მიზნით იყო ნაკარნახევი. როგორც გზამკვლევიდან ჩანს ექსპოზიციის გაფორმებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თვალსაჩინოებას, ექსპონატების მხატვრული ხერხებით წარმოჩენას, ემოციური სააქცენტო მომენტების შექმნას [ჩხაიძე 2003: 98]. სისტემურ-სამეცნიერო კოლექციებზე უფრო მეტად აქ სანახაობითი მხარე იყო წინ წამოწეული, ეს იგრძნობოდა დაწყებული მუზეუმის გარეგნულ მხარედან, კედლებით და კოლექციებით დამთავრებული [ჩხაიძე 2003: 98]. კიბის კედლები მოხატული იყო ფრესკებით ბერძნული მითოლოგიიდან - პრომეთეოსის დატირება ოკიანიდების მიერ, არგონავტების მოსვლა კოლხეთში, იაზონი და მედეა ეკატეს ტაძარში და სხვა. რადეს აზრით დეკორატიულ გაფორმებას ყოველთვის მიმზიდ-

ველი ძალა უნდა ჰქონოდა, რადგან „მუზეუმი არა მარტო სწაელულებისათვის იყო შექმნილი, არამედ უბრალო ხალხისათვისაც“ [ჩხაიძე 2003: 98-99]. ამ გამოფენასთან დაკავშირებით პრესაში ორი. წერილი დაიბეჭდა, ერთი მოსკოვში და ერთი თბილისში. ავტორები გ. რადეს აკრიტიკებდნენ საჩვენებელი კოლექციებით ზედმეტად გატაცებაში სისტემური ჩვენების საზიანოდ. ამის სანაცვლოდ რადე წერდა, რომ სამეცნიერო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ ... ინტერესის გაღვივებისათვის შესაბამისი მხატვრობით სიამოვნებით მორთავდა ყველა თავისუფალ ადგილს.

მიუხედავადა აზრთა სხვადასხვაობისა გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. „საზოგადოებამ დაათვალიერა მუზეუმი და დარწმუნდა, რომ ამდენი შრომა და ხარჯი უბრალოდ არ ყოფილა თურმე გაწეული, რომ ესეთი მუზეუმი, როგორც აქვს ეხლა ჩვენს ქალაქს, ბევრ ევროპის ქალაქს დაამშვენებდა ... მართლა საუცხოოდ მორთული და მდიდარი მუზეუმი აქვს

ჩვენს ქალაქს“ წერდა გაზეთ დროებაში ი. მეუ-ნარგია [დროება 1881]. გამოფენა 28 წელი მოქ-მედებდა ცვლილებების გარეშე, სტუმრებს დახმარებას უწევდა ერცელი გზამკვლევი, რო-მელიც ამ დროის მანძილზე შვიდჯერ გამოიცა.

ამის შემდეგ მუზეუმის განყოფილებები მუდ-მივად ივსებოდა სხვადასხვა გზით შემოსული ექსპონატებით და სრულყოფილებამდე მიდიო-და. მუზეუმში სამუშაოდ და ფონდების გასაც-ნობად ბევრი ცნობილი მეცნიერი ჩამოდიოდა: შტაპფი, კეპენი, შიფნერი, ფოსტერი, ლეეიე, ფოკი. მათ თავიანთი მონოგრაფიებისთვის მუ-ზეუმის საბუნებისმეტყველო ფონდები გამოიყე-ნეს. 1882 წლიდან კავკასიის მუზეუმი კავკასია-ში სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართებლის კანცელარიის მთავარ სამმართველოს, ხოლო 1884 წლიდან განათლების სამინისტროს უწყე-ბაში გადავიდა. ეს ამ დაწესებულების მიერ მხარის მმართველობის უწყებაში მოპოვებული სხვადასხვა პრივილეგიების დაკარგვას ნიშნავ-და, მაგრამ მიუხედავად ამისა მუზეუმს დამთვა-

ლიერებელი არ აკლდა და მისი არსებობის მანძილზე ის 100000-ზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა [Радде 1891: 64]. 1888 წელს კავკასიის მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა გაერთიანდა. 1889 წელს კავკასიის მუზეუმმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლის დიდი გამოფენის მოწყობაში. აქ გამოფენილი მრავალი ექსპონატი ბოლოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას გადაეცა [Радде 1891: 5]. 80-იან წლებში მუზეუმში შეტანილი იქნა ვახტანგ VI-ის და ვახუშტი ბატონიშვილის ნაქონი ძალიან საინტერესო ასტროლაბი - გრძედის და განედის განმსაზღვრელი ასტრონომიული უძველესი ხელსაწყო. ეს ხელსაწყო წარმოადგენდა გრადუსულ დანაყოფიან ბრინჯაოს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სარტყელებს, რომელსაც დაყენებული ჰქონდა ჭოგრი, ხოლო ობიექტივის წინ მოთავსებული იყო ვერცხლისწყლიანი ხელოვნური ჰორიზონტი [ჩხაიძე 2003: 117]. 1890 წელს მუზეუმს გადასცეს დიმიტრი ბაქრა-

ძის და ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით გათხრილი ბაგინეთის „კოშკის“ ნანგრევებში აღმოჩენილი ნივთები: მინისა და თიხის ჭურჭელი, მარმარილოს ნატეხები, ვერცხლის მონეტები, ჩუქურთმიანი ქვა, სპილენძის ცული, ქალის სამკაული [ჩხაიძე 2003: 120]. 1902 წელს მუზეუმში შევიდა მნიშვნელოვანი ნივთები: მცხეთიდან ოქროს საყურეები, შორაპნიდან ბიჭის ბრინჯაოს ქანდაკება, ეგვიპტური პასტისაგან გაკეთებული ხოჭოს ფიგურა, დარიალის ხეობიდან ორი ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ჭაღი ცხვრის ფიგურით, თიხის შანდლები, რამოდენიმე ბრინჯაოს ქანდაკება, ბაქოს გუბერნიაში შემთხვევით ნაპოვნი ოქროს და ვერცხლის ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები, გულსაბნევები, ოთხი ვერცხლის მონეტა [სსმ არქივი 1904: 197]. XIXს-ის ბოლოს მუზეუმი შედგებოდა ზოოლოგიური, გეოლოგიური, ბოტანიკური, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური განყოფილებებისაგან, მაგრამ 1903 წელს გარდაიცვალა გუსტავ რადე, რამაც მუზეუმის მუ-

შაობაზე გარკვეულწილად არასასურველი ზემოქმედება იქონია. მის დირექტორად სამხედრო პირი, ბუნებისმეტყველი პოლკოვნიკი ალექსანდრე კაზნაკოვი დაინიშნა, ხოლო სამეცნიერო სამუშაოთა ხაზით კავკასიის მუზეუმი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში გადავიდა.

შემოსული ნივთების და ფონდების ზრდის გამო მუზეუმის შენობა უკვე ველარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს. საფონდო ოთახები ველარ იტევდა სამუზეუმო კოლექციებს, გადაიტვირთა ექსპოზიციებიც. თუ 1881 წელს მუზეუმის ფონდებში 28000 ექსპონატი ირიცხებოდა, უკვე 1908 წელს ეს რიცხვი 180000-მდე გაიზარდა [Джавахишвили 1950: 111]. ამის გამო კავკასიის მუზეუმმა დროებით შეწყვიტა აქტიური საექსპოზციო საქმიანობა და დახურა თავისი გამოფენები, თუმცა ისინი ამ დაწესებულების ისტორიის დარჩენილ მონაკვეთში უკვე აღარც გახსნილა. რადგან მუზეუმი აღარ აწყობდა გამოფენებს, მთელი ყურადღება მოძიებით სამუ-

შაოებს ეთმობოდა. ყოველწლიურად ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები, მივლინებები და ექსკურსები. კავკასიის მუზეუმის თანამშრომლები კვლევებს აწარმოებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონსა და შუა აზიაში. 1905-1913წწ-ში ექსპედიციები მოეწყო ერევანში, შავიზღვისპირეთში, ყარაჩაიში, ყუბანში, ართვინის ოლქში, ახალქალაქის მიდამოებში, ყარსის ოლქში, ჩრდილო ირანში, ყარაბაღში, ბაქოს გუბერნიაში, დაღესტანში, კახეთში, დუშეთში. ფონდები ექსპონატებით მდიდრდებოდა შემოწირულობების, შესყიდვის და გაცვლის გზითაც. საინტერესოა 1905 წელს ე. ლალაიანცის მიერ, გოგჩის (სევანის) ტბის მიდამოებში და ნორბაიაზეთის მაზრაში, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი და ქამრის ბალთები, რკინის და ქვის ნივთები, ძვლის, ნიჟარის და კაჟის გულსაკიდები, სამკაულები, კერამიკული ჭურჭელი და სხვა [ჩხაიძე 2003: 137-139]. 1908-1909წწ-ში კავკასიის მუზეუმმა შეიძინა უნიკა-

ლური ექსპონატები, რომლებიც „ახალგორის განძის“ სახელითაა ცნობილი. ადრეანტიკური ხანის ეს კოლექცია ქსნის ხეობაში, ახალგორთან ახლოს, სოფ. საძეგურში ქალის მდიდრულ სამარხში შემთხვევით იპოვეს ადგილობრივმა გლეხებმა. განძის უდიდესი ნაწილი ექ. თაყაიშვილის ძალისხმევით გაყიდვას გადაურჩა და კავკასიის მუზეუმმა შეიძინა. ძვ.წ. V-IVსს. დათარიღებულ კოლექცია შედგებოდა ოქროს საყურეების, საკისრე რგოლების, სარტყელის, მდიდრულად შეკაზმული ცხენების გამოსახულებიანი სასაფეთქლეების, ფასკუნჯიანი ბალთების, საკიდების, გომბეშოების გამოსახულებიანი ყელსაბამის, ვერცხლის ჯამების, სურისა და სხვა ძვირფასი ნივთებისაგან, რომელთა უმრავლესობა შემკული იყო გავარსით [ჩხაიძე 2003: 142]. 1910 წლიდან კვლევები მიმდინარეობდა ირანში შუასაუკუნეების ძეგლებზე: რეა, სულტანაბადი, ჰამადანი, ჯულფა და სხვა [ჭილაშვილი 2002: 34]. მუზეუმის ლაბორატორიაში ხდებოდა გამოვლენილი არქეოლოგიური მასა-

ლების, უპირატესად კერამიკის კამერალური დამუშავება. მუზეუმში შემოდიოდა შემთხვევით აღმოჩენილი განძებიც მათ შორის ერევნის გუბერნიაში სოფ. იგდირთან მიწაში ჩამარხულ ყუთში აღმოჩენილი სამი ბრინჯაოს სამაჯური, შუბის პირები, ვერცხლის მონეტა წარწერით ალექსანდრე, რკინის დანა, თიხის ჭურჭელი, მძივები და სხვა [სსმ არქივი 1914: 98]. იმ პერიოდში მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი მუზეუმის შესახებ იმპერატორ ნიკოლოზ II-ს წერდა: „მსგავსი დაწესებულება არ მოგვეპოვება რუსეთშიო“, მაგრამ სამწუხაროდ მუზეუმის შენობის მდგომარეობა გააუარესა მუზეუმის ეზოში არსებული სტამბის აფეთქებამ და ხანძარმა. ცუდ მდგომარეობაში იყო შენობის ფასადიც, რომლის დიდი ნაწილი 1904 წელს ნიკოლოზის ქუჩის მხარეს ჩამოიშალა და საფრთხე შეუქმნა დამთვალიერებელს [სსმ არქივი 1904]. 1905 და 1908 წლებში მომხდარმა მიწისძვრამ კი მდგომარეობა საშიში გახადა. შენობას მიმდინარე შეკეთებებმა ვერაფერი უშველა. მდგომარეობის

შესწავლის შედეგად, ხელისუფლების გადაწყვეტილებით გადაწყდა დაეშალათ მუზეუმის ძველი შენობა და მის ადგილზე აეგოთ ახალი. 1910 წელს დაიწყო შენობის რეკონსტრუქცია. კოლექციები გადაიტანეს დღევანდელ გუდიაშვილის ქუჩაზე. ახალი შენობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა არქიტექტორმა კონსტანტინე ტატიშჩევმა შეიმუშავა. მუზეუმის ახალი შენობა უნდა აგებულიყო მეფისნაცვლის სასახლის პირდაპირ გოლოვინის პროსპექტის გაყოლებაზე ნიკოლოზის და ბარონის ქუჩებს შორის. 1912 წელს არქიტექტორი ტატიშჩევი შეცვალა არქიტექტორმა ალექსანდრე როგოისკიმ, მაგრამ სამწუხაროდ ის იმავე წელს გარდაიცვალა და მშენებლად მოწვეულ იქნა მიხეილ ნეპრინცევი, რომელიც რამდენიმე თვით პარიზში მიავლინეს მშენებლობის მოწინავე მეთოდების გასაცნობად. 1913 წელს ძველი შენობის დაშლა დასრულდა და დაიწყო მშენებლობა. პირველ რიგში გადაწყდა მავრიტანულ სტილში გადაწყვეტილი ცენტრალური ფასადი აღმოსავლურ,

სპარსულ სტილში გადაეკეთებინათ. მაისში მოხდა მუზეუმის შენობის საძირკველის ჩაყრის ცერემონიალი. საძირკველში ჩაყარეს ოქროს მონეტები და მოათავსეს მარმარილოს ფილა ბრინჯაოს დაფით, რომელზეც ამოტვიფრული იყო თარიღი და მშენებელთა გვარები [Непринцев 1974: 201]. 1913 წლიდან მუზეუმი ოფიციალურად გახდა რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრი და პირველ მსოფლიო ომამდე მშვიდად ფუნქციონირებდა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ მშენებლობა შეაფერხა, შემცირდა დაფინანსება, რის გამოც სამუშაოები რამოდენიმე წელი გაიწელა. მუზეუმის დირექტორი ალ. კაზნაკოვი სამხედრო საქმეს დაუბრუნდა და მუზეუმი თითქმის უპატრონოდ დარჩა. ქვეყანაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ (რევოლუციური მოძრაობა, პირველი მსოფლიო ომი, ხელისუფლების სადამსჯელო ღონისძიებები, პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, არეულობა) მუზეუმის მუშაობაზე არასასურველი ზემოქმედება იქონია, 1915-1917წწ-ში დირექ-

ტორის მოვალეობას იური ვორონოვი ასრულებდა [ჭილაშვილი 2002: 34]. მართალია ომის პერიოდში კავკასიის მუზეუმმა ბევრი სამუშაო შეწყვიტა, მაგრამ მოძიებით სამუშაოებს და ნივთების მიღებას მაინც აწარმოებდა. 1916 წელს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო „საომარი მოქმედებების რაიონებში სიძველეების და მატერიალური კულტურის ძეგლთა ნიმუშების შეგროვება", ამისათვის ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებში საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად მიავლინეს აკად. ნიკო მარი [ჩხაიძე 2003: 142-143]. 1917 წელს კავკასიის მუზეუმმა შეიძინა დ. ერმაკოვის ცნობილი კოლექცია. ამ პერიოდში, ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მუზეუმს კრიზისის ხანა დაუდგა. ხელისუფლების ყურადღება მისადმი მკვთრად შესუსტდა და სათანადო დახმარებასაც აღარ უწევდა. მუზეუმს საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. უსახსრობა, შტატების სიმცირე, არა-

დამაკმაყოფილებელი საბინაო პირობები მძიმე დაბრკოლებებს უქმნიდა. სხვადასხვა მიზეზებით გაჭიანურებული ახალი შენობის აგებამდე მუზეუმი შენობის უქონლობას განიცდიდა, ამის გამო ექსპონატები და წიგნები წლების მანძილზე ყუთებში იყო ჩალაგებული და უკეთესი თავშესაფრის ძებნაში ერთი ადგილიდან მეორეში გადაჰქონდათ. 1917 წლისათვის სამშენებლო სამუშაოები შეწყვეტილი იყო მუზეუმის შენობა კი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი.

თავისი არსებობის მანძილზე კავკასიის მუზეუმმა არაერთი გამოფენა მოაწყო რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. მან თავისი ევროპული დონის კოლექციებით ფართო საზოგადოებას კავკასიის მხარე გააცნო.. 1867 წელს კავკასიის მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, 1872 წლის მაისში კი მოსკოვში გამართულ დიდ საერთაშორისო პოლიტიკურ გამოფენაში, რომელიც პეტრე პირველის დაბადებიდან 200 წლისთავის იუბილეს ეძღვნებოდა [ჩხაიძე 2003: 84]. ამ გამოფე-

ნისათვის ექსპონატების მოსაძიებლად და შესაძენად გ. რადემ იმოგზაურა ახალციხეში, ერევანში, შუშაში, შემახიაში, ნუხაში და კავკასიის სხვა მხარეებში. გამოფენა კრემლის ტერიტორიაზე მოეწყო, სადაც კავკასიის მხარე ცალკე პავილიონად იყო წარმოდგენილი. გამოფენილი იყო როგორც საბუნებისმეტყველო ისე ისტორიულ-ეთნოლოგიური მასალები: ხალიჩები, თექები, ნაქარგები, კავკასიური იარაღი, სამკაული, ზოოლოგიური, ბოტანიკური და გეოლოგიური ექსპონატები. გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. კავკასიიდან წარმოდგენილი 1136 ექსპონატიდან ჯილდო 188 ექსპონატმა მიიღო. გამოფენა იმავე წლის სექტემბერში დაიხურა და ექსპონირებული ნივთების დიდი ნაწილი კავკასიის მუზეუმს გადაეცა მუდმივ მფლობელობაში. 1873 წლის ნოემბერში ვენის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როგორც კავკასიის მუზეუმის ექსპონატები, ისე გ. რადეს მიერ შერჩეული და სპეციალურად გამოფენისათვის ნაყიდი კავკასიის მხარის ამსახ-

ველი საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიული ნივთები [სსმ არქივი, 1873]. 1879 წელს მოსკოვის ანთროპოლოგიური და არქეოლოგიური კონგრესის პარალელურად მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა, სადაც გ. ფილიმონოვის მიერ წარმოდგენილი იყო აფხაზეთის დოლმენები და შავი ზღვის სანაპიროს განათხარი მასალა, ასევე გამოფენილი იყო ყობანის, ყაზბეგის (სტეფანწმინდა) და სამთავროს აღმოჩენები. არქეოლოგიურმა მასალამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველებზე. ა. უვაროვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „კავკასიის ხალხთა კულტურა რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებდა დანარჩენი ევროპის კულტურას“ [Доманский 1984: 6-7]. განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია გამოფენის სანახაობითმა მხარემ. ექსპოზიცია იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ კონგრესის რამდენიმე მონაწილე სესიის დამთავრებისთანავე საქართველოში გამოემგზავრა. 1901 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე კავკასიის მუსეუმმა კავკასიის მხარე წარმოადგინა. გამოფენამ

დიდი მოწონება დაიმსახურა და მუზეუმის 60 ექსპონატმა მაღალი ჯილდო დაიმსახურა, ხოლო მუზეუმს და მის დირექტორს ოქროს მედალი მიენიჭა [Коллекции 1912: 168].

კავკასიის მუზეუმი კავკასიაში ჩამოსული საპატიო სტუმრების მასპინძელი და თბილისის საზოგადოების თავშეყრის ადგილიც იყო. მუზეუმის ვესტიბიულში თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოფენილი დათვალიერებლების მიერ დატოვებული ავტოგრაფები. მათ შორის რუსეთის იმპერატორების ალექსანდრე II-ის და ალექსანდრე III-ის, სპარსეთის შაჰის, რუსეთის სამეფო ოჯახის წევრების, დიდი მთავრების და თბილისის საერთაშორისო V არქეოლოგიური ყრილობის სტუმრების ავტოგრაფები. მუზეუმი დიდ ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო გამოცემებსაც. 1897-1919წწ-ში მუზეუმმა გამოსცა „Известия Кавказского Музея“ 12 ტომი. 1915-1919წწ-ში კი გამოვიდა „Записки Кавказского Музея“ 7 ტომი. 1899 წლიდან ქვეყნდებოდა მუზეუმის კოლექციები სერიით „Museum Caucusicum“ რომ-

ლის მეხუთე ტომში პრასკოვია უვაროვას რედაქციით გამოქვეყნდა არქეოლოგიური კოლექციების აღწერილობა. მუზეუმი რუსეთის და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამომცემლობებთან იყო დაკავშირებული და აწარმოებდა თავისი მეცნიერული პროდუქციის გაცვლას [სსმ არქივი 1904]. შეიქმნა საცნობარო-საინფორმაციო განყოფილება ე.წ. „მუზეუმის საბიბლიოთეკო ცნობარი", რომელიც საერაშორისო ბიბლიოგრაფიულ საძიებელში იყო ჩართული [სსმ არქივი 1912: 12]. მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში მრავალი უნიკალური ნივთი და ნუმიზმატიკური მასალა იყო თავმოყრილი, რომელთა რიცხვი 20000-ს აღემატებოდა [სსმ არქივი 1884ა]. ის მსხვილ მრავალპროფილიან სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენდა მთელი კავკასიის მასშტაბით, რომელთანაც ბევრი რუსი თუ უცხოელი მეცნიერი თანამშრომლობდა, თუმცა მაშინ არსებული პოლიტიკის და მოქმედი წესის თანახმად მუსეუმში არ იღებდნენ ადგილობივ ეროვნულ კვალი-

ფიციურ კადრებს. მუზეუმის არსებობის მანძილზე იქ არც ერთ ქართველს არ უმუშავია. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში სამეცნიერო ასპარეზზე, განსაკუთრებით კი ჰუმანიტარულ დისციპლინებში ბევრი ქართველი მეცნიერი იყო გამოსული მათთვის მუზეუმის კარი დახშული იყო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქართული ეროვნული კულტურის წარმოჩენა არ შედიოდა რუსეთის იმპერიულ-კოლონიური პოლიტიკის მიზნებში. წლების მანძილზე მუზეუმის დირექტორიც და ერთადერთი მეცნიერ თანამშრომელიც გ. რადე იყო, მას კი თანაშემწეებად მხოლოდ უცხოელები ჰყავდა. იგი საუკეთესო კავკასიური კოლექციებით ამარაგებდა ევროპულ მუზეუმებს ჰამბურგში, ლაიფციგში, ბერლინში [Читая 1948: 177]. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა „ძველ საქართველოზე მრავალგზის თავდამტყდარმა უბედურებამ ქართული მატერიალრი კულტურის მრავალი ძეგლი იმსხვერპლა, რაც გადარჩა ბევრი რამ რომანოვების ხანაში მთავრობის მოხელეთა

უკულტურო ბატონობისა და ჩვენ წარსულ თაობათა შეუგნებლობა-დაუდევრობის გამო გაჩანაგდა და გაუბედურდა. ამიტომ გასაკვირველიც არაფერია თუ ჩვენ XI-XIIIსს. საქართველოს მატერიალური კულტურისა და ყოფაცხოვრების ნივთიერი ნაშთთაგან ძალიან ცოტაღა გვაქვს გადარჩენილი. ამ გადარჩენილთაგანაც არაერთი უძვირფასესი ძეგლი საქართველოდან უცხოეთშია გატანილი. ზოგი იქაურ მუზეუმებშია დაცული" [ჯავახიშვილი 1937]. კავკასიის მუზეუმის დაარსების მთავარი მიზანი, ისევე როგორც რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის შემთხვევაში, მთლიანად უკავშირდებოდა იმპერიის ზრახვას შეესწავლა და გამოეკვლია კავკასიის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, მისი რესურსები, რეზერვები და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამ ამოცანის შესასრულებლად ეწყობოდა სამეცნიერო მოგზაურობები და ექსპედიციები, მუზეუმში თავს იყრიდა კავკასიის ბუნებისა და

ისტორიის ამსახველი უნიკალური ექსპონატები, მდიდრდებოდა ფონდები, ეწყობოდა გამოფენები [სსმ არქივი 1864]. კავკასიის მუზეუმის დირექტორი გ. რადე ამ მხარეში კოლონიური მიზნების გამტარებელი იყო და ფაქტიურად ამუხრუჭებდა ეროვნული კულტურის გამოვლინებებს. მას ნაკლებად აინტერესებდა ადგილობრივი ინტერესები. ამის მკაფიო მაგალითია მის მიერ თბილისში არქეოლოგთა მეხუთე ყრილობის მოწყობის სამუშაოებისათვის მზადების დროს გამოთქმული აზრი. იგი წერდა „თბილისში არქეოლოგთა კონგრესზე ჩამოვლენ მეცნიერები, რომლებიც ადგილზე უნდა დარწმუნდნენ, რამდენად მოხერხდა მხარის მეცნიერული დაპყრობა. მათი განაჩენი ეცნობება არა მარტო რუსეთს, არამედ მთელ მსოფლიოსაც. ამ საქმის გადარჩენას შევძლებთ, თუ ყველა შეკრებილ მასალას სისტემურად განვალაგებთ მუსეუმშიო“ [სსმ არქივი 1879: 23]. გ. რადეს საქმიანობის შეფასებისას იმთავითვე სხვადასხვა აზრი გამოითქმებოდა. ზოგი აქებდა, ზოგი კი საპი-

რისპიროს ამტკიცებდა. არსებობდა აზრი, რომ მუზეუმის არაქართველი ხელმძღვანელობა თავისი ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაზე უფრო ფიქრობდა ვიდრე მუზეუმის ექსპონატებით გამდიდრებაზე. ამის შესახებ გაზეთი დროება წერდა „ჩვენი კავკასიის მუზეუმი, რომელსაც დიდი საშუალება ეძლევა ხაზინიდამ, ამ მხრივ თითქმის არაფერს არ არიგებს; ამ მუზეუმის დირექტორი, უფ. რადდე, უფრო თავისი სადგომის მდიდრულად მოწყობისათვის ცდილობს, ვინემ მუზეუმის ექსპონატებით გამდიდრებისთვის [„დროება“ 1878: 1-2]. მიუხედავად ამისა გ. რადეს მცდელობამ და მრავალმხრივმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ დიდად განაპირობა საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის განვითარება, ადგილობრივი საზოგადოების პატივისცემა და საერთაშორისო აღიარება მოიტანა. ის იყო კავკასიის მუზეუმის ჩამოყალიბების ინიციატორი, პრაქტიკულად დამაარსებელი და სიცოცხლის ბოლომდე შეუცვლელი დირექტორი. კავკასიის მუზეუმის დაარსე-

ბის ფაქტი მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს და მთლიანად კავკასიის ისტორიის, მატერიალური კულტურის და ბუნების შესწავლის საქმეში.

ამრიგად, XIXს-ის 60-იან წლებში, კავკასიის კოლონიზაციის პროცესში, ამ მხარის მეცნიერული შესწავლის საჭიროების გამო, მეფის მთავრობამ შექმნა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება - მუზეუმი. ამ მიზნის განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი იმ სამუზეუმო ტრადიციებმა, რომლებიც უკვე არსებობდა საქართველოში. კავკასიის მუზეუმი ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მეცნიერის გუსტავ რადეს ენთუზიაზმის, იმდროინდელი სამეცნიერო საზოგადოების და ხელისუფლების ძალისხმევით. ამაში გარკვეული როლი გეგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების გაუქმებულმა მუზეუმმაც ითამაშა თავის ფონდებში თავმოყრილი მრავალრიცხოვანი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული პროფილის ექსპონატებით. კავკასიის მუზეუმის უმთავრეს მიზანს კავკა-

სიის მეცნიერული შესწავლისათვის ხელისშეწ-
ყობა შეადგენდა, რისთვისაც საჭირო იყო შეეგ-
როვებინა, შეედგინა, სისტემაში მოეყვანა და
შეექმნა კავკასიის საბუნებისმეტყველო, ეთნოგ-
რაფიული და არქეოლოგიური სამეცნიერო კო-
ლექციები. მუზეუმთან უნდა ყოფილიყო ბიბლი-
ოთეკაც სადაც იქნებოდა ლიტერატურა კავკა-
სიის და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ.
სამუზეუმო მასალათა სისტემატიზაციასა და
მეცნიერულ შესწავლაში კავკასის მუზეუმს
ბევრი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ეხმარე-
ბოდა, მათ შორის არქეოლოგიური მასალის
დამუშავებაში - ბროსე, გრიმი, ტიზენჰაუზენი,
ივერსენი, ბართოლომეი, ბერჟე, მორგანი, ვირ-
ხოვი და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ მუზე-
უმს კავკასიის მხარის კოლონიური ათვისების
მიზნებისათვის იყენებდნენ, მან მაინც დიდი
როლი შეასრულა სამუზეუმო საქმის მაღალ
პროფესიონალურ დონეზე აყვანაში, ამ მხარის
მატრიალური და სულიერი კულტურის ნიმუშე-
ბის მოძიება-შეგოვებაში, რეგიონის ფლორისა

და ფაუნის შესწავლაში. დიდად შეუწყო ხელი კავკასიაში საბუნებისმეტყველო და სხვა დარგების შექმნასა და განვითარებას, მაგრამ როგორც მეფის რუსეთის მიერ დაარსებული ყველა დაწესებულება ისიც უპირველეს ყოვლისა მეტროპოლიის კოლონიურ ინტერესებს ემსახურებოდა და მისი იმპერიული ზრახვების მყარი დასაყრდენი იყო კავკასიაში. კავკასიის მუზეუმის დაარსება და მისი ფუნქციონირების პერიოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის ისტორიაში.

სამხედრო ისტორიული მუზეუმი - დიდების ტაძარი

სამხედრო ისტორიული მუზეუმის „დიდების ტაძრის" დაარსების იდეა ასევე გუსტავ რადეს ეკუთვნის. 1883 წელს მან გამოიჩინა ინიციატივა და მთავარმმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს წარუდგინა პროექტი კავკასიის მუზეუმში სამხედრო განყოფილების შექმნის შესახებ, სადაც

მოხდებოდა რუსეთის სამხედრო ძალების ძლიერების ჩვენება და პროპაგანდა. ამ იდეამ განვითარება ჰპოვა და გადაწყდა შექმნილიყო „დიდების ტაძრი.“ გოლოვინის გამზირზე, ალექსანდრეს ბაღში აშენდა „სახალხო დიდების ტაძარი“ (დღეს ამ შენობაში “ცისფერი გალერეა” ფუნქციონირებს), რომლის დირექტორად სამხედრო ისტორიკოსი, პოლკოვნიკი ი. პოტო დაინიშნა [სსმ არქივი 1883]. რუსეთის იმპერიის მიზნების განსახორციელებლად, გუსტავ რადეს კონცეფციით დიდების ტაძარში უნდა მოწყობილიყო ექსპოზიცია, რომელშიც ასახული იქნებოდა რუსეთის მიერ წარმოებული ბრძოლები კავკასიაში, გამარჯვებების ძირითადი მომენტები, წარმოჩინდებოდა რუსული იარაღი. 1888 წელს დიდების მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო რუსეთის ჯარების საბრძოლო იარაღი, მათ შორის 38 ზარბაზანი [ჩხაიძე 2003: 118]. ექსპოზიცია იწყებოდა პეტრე დიდის 1722 წლის დერბენდის ლაშქრობით და მთავრდებოდა 1864 წელს კავკასიის სრული

დაპყრობით. ექსპოზიციის გასაფორმებლად და რუსი მეომრების გამარჯვებების ბატალური მხატვრული ტილოების შესაქმნელად მოწვეულ იყვნენ იმპერიაში ცნობილი მხატვრები: ფრანც რუბო, მაქს ტილკე, ივანე აივაზოვსკი. XIXს-ის 90-იან წლებში „დიდების ტაძარი“ დამოუკიდებელი მუზეუმის სახით ჩამოყალიბდა და კულტურული ცხოვრების ეპიცენტრში აღმოჩნდა. მის დარბაზებში ეწყობოდა სხვადასხვა ექსპოზიციები, მათ შორის გამოიფინა ქართველი მხატვრების: გიგო გაბაშვილის, ალექსანდრე მრევლიშვილის, მოსე თოიძის, იაკობ ნიკოლაძის და სხვათა ნამუშევრები. მსგავსი ღონისძიებების გამო შემდგომში დიდების ტაძარს ხალხი არა რუსული იმპერიის სამხედრო ტრიუმფის ილუსტრაციად არამედ უფრო სახვითი ხელოვნებისათვის განკუთვნილ ადგილად აღიქვამდა. პირველი მსოფლიო ომის წლებში, ფრონტის ხაზის მოახლოების გამო მისი სამუზეუმო ექსპონატები ჩრდილოეთ კავკასიაში გახიზ-

ნეს. 1916 წლიდან „დიდების ტაძრის“ კარი დაიხურა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მუზეუმმა დიდად განაპირობა საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის განვითარება და ხელი შეუწყო მეცნიერების ბევრი დარგის განვითარებას მასში ქართველი საზოგადოება ვერ პოულობდა თავისი ეროვნული ინტერესების გამოხატულებას. ამ დაწესებულებასთან გაძნელებული იყო მათი თანამშრომლობა. მუზეუმი ფაქტიურად გარიყული იყო ადგილობრივი მოსახლეობისაგან რადგან აქ მხოლოდ რუსი და უცხოელი სპეციალისტები იყვნენ დასაქმებულნი. ამას თან ერთოდა მეფის რუსეთის ყოველგვარი „ქართულის“ - ენის, რწმენის, განათლებისა და კულტურის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. კავკასიის მუზეუმი უფრო ეგზოტიკით იყო გატაცებული. მიუხედავად იმისა, რომ თავის კოლექ-

ციებს ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოძიებული საინტერესო და უნიკალური მასალებით აკომპლექტებდა, ის მართლაც უფრო კავკასიის იყო და არა საქართველოსი. ეროვნული ინტერესების მატარებელი მუზეუმის შექმნით რუსეთის ადმინისტრაცია არ იყო დაინტერესებული და ასეთი სურვილის ჩახშობასაც კი ცდილობდა. ამ დამოკიდებულებას ქართულმა საზოგადოებამ განათლების, კულტურის და თვითშეგნების ამაღლებით უპასუხა. გაძლიერდა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის კულტურული და სამეცნიერო საქმიანობა. რუსული კოლონიური პოლიტიკის საპირისპიროდ ქართული ეროვნული ძალების ინიციატივით დაარსდა ქართული სამეცნიერო დაწესებულებები რომელთა წიაღში შეიქმნა მუზეუმები.

XIXს-ის მეორე ნახევარში ქართული სიძველეებისადმი ინტერესი უფრო მეტად გაძლიერდა. ჩამოსვლა იწყეს უცხოელმა მეცნიერებმა და კოლექციონერებმა. ისინი იძენდნენ უძველეს

ნივთებს და გაჰქონდათ საზღვარგარეთ, ხოლო საქართველოში დარჩენილი ბევრი მასალები გაბნეული იყო სხვადასხვა ადგილას და მიუწვდომელი იყო მეცნიერული შესწავლისათვის. ყოველივე ამის გამო 70-იან წლებში დაისვა საკითხი ისეთი ეროვნული სამუზეუმო დაწესებულების შექმნის შესახებ, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ეროვნული მნიშვნელობის მქონე ნივთთა მოძიებას, შეგროვებას, ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლას მიაქცევდა. ქართველ ინტელიგენტთა შორის გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც გამოთქვამდნენ სურვილს დაარსებულიყო მუზეუმი სადაც მოთავსდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სიძველეები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ძვირფას მონაპოვარს დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა [მუმლაძე 2000: 101]. სერგეი მესხი ეხებოდა რა შიომღვიმის მონასტრიდან ძველი ხელნაწერების დაკარგვის საშიშროებას თავის სტატიაში „ხალხის სახსოვრის დაცვა“ წერდა „ჩვენი წინაპართა სახსოვარი

შეიძლება ხვალ ვეღარ გადარჩეს. ამის გამო ძალიან კარგი იქნება, ჩვენმა საზოგადოებამ მოიგონოს ისეთი რამ საშუალება, რომ მუდამ ამ ეჭვებში და შიშში არ იყოს. ამისთანა საშუალება, ჩვენი აზრით, იქნება არხეოლოგიური მუზეუმის დაარსება. ამ არხეოლოგიურ მუსეუმში, რომლის გამგებლად და წევრებად, რასაკვირველია მხოლოდ ისეთი პირები იქნებიან, რომელთაც ნამდვილად შესტკივათ გული საქართველოს ისტორიისა და ხალხისათვის, შეიძლება შეინახოს და დაიცვას კაცმა ყველაფერი, რაც შენახვისა და დაცვის ღირსი რამ დაუტოვებიათ" [დროება 1879]. იყო ქართული მუზეუმის საკუთარი ძალებით დაარსების ცდებიც, ფიქრობდნენ შეეგროვებინათ არქეოლოგიური და ისტორიული მასალა, სისტემაში მოეყვანათ და ახლად შექმნილ მუზეუმში დაებინავებინათ. 80-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაძლიერდა კულტურული და სამეცნიერო საქმიანობა. 1885 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომ-

ლის დაარსების სათავეებთან იდგნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვები, ითავა ეროვნულ ნიადაგზე მდგარი ახალი, „საარხეოლოგო“ მუზეუმის“ შექმნა. საზოგადოების წესდებით საყოველთაო სარგებლობისათვის უნდა დაარსებულიყო მუზეუმი და ბიბლიოთეკა [ქ.შ.წ.კ.წესდება 1907: 5]. ამ მუზეუმს წიგნსაცავ-მუზეუმადაც მოიხსენიებდნენ. მუზეუმმა საქმიანობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ძველი ხელნაწერების, წიგნების და ნივთების შეგროვებით დაიწყო. გაზეთ ივერიის ცნობით მუზეუმში ბევრი მასალა შესულა „რომელთა რიცხვში ბევრი ძვირფასი არქეოლოგიური და საისტორიო განძი ერია“ [ივერია 1883]. აქ იყო ერეკლე მეფის ნაქონი თოფი, თამარის დროინდელი მონეტები, მინის სურა და სხვა. მუზეუმს შემოწირულობების სახით დიდ დახმარებას უწევდა მოსახლეობაც, ისინი გადასცემდნენ ხელნაწერებს, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ნუმიზმატიკურ მასალებს.

მუზეუმის ფონდების გამდიდრებისათვის უფრო მეტ ჩართულობაზე მოუწოდებდა თავის მკითხველებს ქართული პრესაც. ქებას ასხამდა შემომწირველებს და ცდილობდა სხვებიც წაექეზებინა. გაზეთი დროიება წერდა „მუზეუმის პატარა ვიტრინებში, რომლებიც საესეა სხვადასხვა შესანიშნავის და იშვიათის ხელნაწერებით, ძველი ისტორიულისა და არხეოლოგიური მნიშვნელობის ნივთებიც იკრიფება და გროვდება. ამ დღეებში მუზეუმს მოსელია ერთი ვერცხლის სურის გვარი მინის ჭურჭელი, რომელიც ოქროს ვარაყით არის შემკული. ვარაყი წარმოადგენს ვაზის ფოთლებს და ერთ ალაგს სურას ვარაყით აწერია - მეფის-ძე იულონი" [დროება 1884]. 1880-1891წწ-ში მუზეუმს მნიშვნელოვანი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალა შესწირა ი. ბარტოლომეიმ და ალავერდის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ. გრიგოლ გურიელმა მუზეუმს გადასცა შვიდი ვერცხლის მონეტა, ათი ფეტონი, რამოდენიმე ბრინჯაოს ცული, ისრის პირი, თიხის ჭურჭელი, ძველებური კრიალოსა-

ნი, რკინის შუბი, რომელიც გადმოცემით მურ-
ვან ყრუს ეკუთვნოდა. შემომწირველთა შორის
ასევე იყვნენ: რ. ერისთავი, პლ. იოსელიანი,
ანტ. ფურცელაძე, ნ. ორბელიანი, ლ. რაზიკაშ-
ვილი, ალ. ყაზბეგი, ალ. დოდაშვილი, ვ. ბარნო-
ვი, თ. რაზიკაშვილი, ა. თარხან-მოურავი და
სხვანი. საბოლოოდ მუზეუმში იმდენი მონეტა
დაგროვდა, რომ დაისვა საკითხი ნუმიზმატიკუ-
რი კაბინეტის ცალკე უჯრედად გამოყოფის შე-
სახებ [ჩხაიძე 2003: 168-170]. 1898 წელს ცნობი-
ლი ფოტოგრაფის ალ. როინაშვილის გარდაცვა-
ლების შემდეგ, მისი არქეოლოგიური და ნუმი-
ზმატიკური კოლექციის სახით მუზეუმმა დიდი
შევსება მიიღო. 1903 წელს შეიძინეს დ. ბაქრა-
ძის ბიბლიოთეკა, 1907 წელს კი ილია ჭავჭავა-
ძის ანდერძის თანახმად საზოგადოების მუზე-
უმს გადაეცა მისი პირადი ნივთები და უმდიდ-
რესი ბიბლიოთეკა. საფონდო და საექსპოზიციო
ფართის უქონლობის გამო წერა-კითხვის გამა-
ერცელებელი საზოგადოების მუზეუმის ბევრი
მასალა სხვადასხვა პირებთან თუ ორგანიზაცი-

ებში ინახებოდა, რის გამოც რამდენიმე ძვირ-ფასი ექსპონატი დაიკარგა კიდეც [ჩხაიძე 2003: 174-175]. 1910 წლიდან ექსპონატების დიდი ნაწი-ლი სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის (დღე-ვანდელი თბილისის სახ. უნივერსიტეტი) მეორე სართულზე დააბინავეს. საზოგადოება ხშირად აყენებდა მუზეუმის სათანადო შენობით უზ-რუნველყოფის საკითხს, მაგრამ ამაოდ. სხვადა-სხვა მიზეზით მუზეუმის შენობის მშენებლობა რამდენჯერმე გადაიდო. საკითხის აქტუალობის გამო გამოითქვა მოსაზრება წიგნსაცავ-მუზეუ-მის საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ, რა-მაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. დიდი კა-მათის შემდეგ გადაწყდა, რომ წიგნსაცავ-მუ-ზეუმი ისევ წერა-კითხვის საზოგადოებას დარ-ჩებოდა, რადგან საისტორიო საზოგადოებას არ შესწევდა ძალა იმ დროისათვის უკეთესად ეპა-ტრონა მისთვის [ქ.შ.წ.კ. ანგ. 1911: 62]. XXს-ის დასაწყისის არეულმა მოვლენებმა და ბოლოს პირველმა მსოფლიო ომმა მუზეუმისათვის შე-

ნობის აგების განზრახვა საბოლოოდ დაასამარა. უბინაობის მიუხედავად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ფონდები მაინც იზრდებოდა და გარკვეული სამუშაოებიც მიმდინარეობდა. ხდებოდა სამუზეუმო ნივთების და ხელნაწერების დაცვა, კონსერვაცია, საფონდო და საგამომცემლო საქმიანობა. შეკეთდა კარადები და ვიტრინები, ქრონოლოგიურ რიგზე დალაგდა სიგელ-გუჯრები. 1914 წელს მუზეუმი წიგნსაცავიდან განცალკევდა და სამუზეუმო ნივთები ცალკე დარბაზში განლაგდა. მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო ლაიფციგის საერთაორისო გამოფენაზე სადაც გაიგზავნა საუკეთესო ექსპონატები [ჩხაიძე 2003: 180]. სამწუხაროდ პირველი მსოფლიო ომის გამო მუზეუმში ექსპონატების მიღება ჯერ შემცირდა, ხოლო შემდეგ საერთოდ შეწყდა, 1919 წლიდან კი დაიწყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა ლიკვიდაცია და მათი ქონება და ფუნქციები ერობებსა და ქალაქების ადგილობრივ

თვითმმართველობებს გადაეცა. ნიკო ცხვედაძის თაოსნობით საზოგადოების უდიდესმა სამუზეუმო კოლექციებმა ბინა სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში დაიდო. 1920 წლისათვის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ფუნქციონირება თითქმის შეწყვიტა, 1925 წლის ბოლოს კი განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით მისი მუზეუმი, ბიბლიოთეკა და არქივი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა.

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ის ეძიებდა, კრებდა, ინახავდა და ამზეურებდა ქართველი საზოგადოების სულიერების უძვირფასეს განძს: ხელნაწერებს, წიგნებს, დოკუმენტებს, სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ ნივთებს. აღვივებდა ინტერესს წარსული კულტრის ნაშთებისადმი, დაკარგვას გადაარჩინა და შემოინახა ბევრი ძვირფასი ნივთი. მის მიერ მოძიებულმა და დაცულმა ბევრმა ექსპო-

ნატმა შემდგომში საქართველოს მუზეუმის ფონდები გაამდიდრა.

საეკლესიო სიძველეთა მუზეუმი

XIXს-ის 80-იან წლებში ქართული კულტურის წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან მეტად გაძლიერებულმა საქმიანობამ საფრთხე ქართულ საეკლესიო ქონებასაც შეუქმნა. 1811 წელს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ყურადღების მიღმა დარჩენილ ქართულ საეკლესიო საგანძურს სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები და ავაზაკები იტაცებდნენ და ძარცვავდნენ [ჩხაიძე 2003: 203]. ქართული ეკლესია-მონასტრების მთელი ქონება რომელსაც რუსი ბერები განაგებდნენ, გულგრილობის და უყურადღებობის გამო თანდათან იძარცვებოდა და ნადგურდებოდა. რუსმა ეგზარქოსებმა ბათქაშით დაფარეს და გადაათეთრეს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებული მონასტრების უძველესი ფრესკები, მათ შორის ბიჭვინთის, ხობის,

შემოქმედის, კუმურდოს, გელათის, მეტეხის, სიონის. ტაძრებიდან დაიტაცეს ხატები და სამკაული, ხელნაწერები და სხვადასხვა ნივთები. შემდგომ წლებში კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება და ეკლესიების რბევას სისტემატური ხასიათი მიეცა. ადგილობრივი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები და ქართული ეკლესია ტრადიციულად დაუპირისპირდა კოლონიურ პოლიტიკას და დაიწყო ბრძოლა ქართული ენის, სარწმუნოების და კულტურის დაცვა-გადარჩენისათვის. XIXს-ის ბოლოს დღის წესრიგში დადგა საეკლესიო განძეულის გადარჩენის, მათი პატრონობის და შესწავლის აუცილებლობა. სასულიერო ისტორიულ ნაშთთა და ეკლესია-მონასტრებში დაცული ნივთების დაცვა-გადარჩენის საჭიროებამ, მათი მეცნიერული შესწავლისადმი ყურადღების გამახვილებამ აუცილებელი გახადა სპეციალური განძთსაცავის მუზეუმის შექმნა. დღის წესრიგში დადგა საეკლესიო სიძველეთა მოძიება, ერთ ადგილას მოგროვება, შესწავლა, დაცვა და პროპაგანდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ძველი ხელნაწერები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ქრისტიანული სამყაროს ისტორიისა და კულტურის კვლევისათვის. საეკლესიო სიძველეთა მუზეუმის შექმნის საკითხს მწვავედ სვამდა დიმიტრი ბაქრაძე. იგი დაჟინებით მოითხოვდა მომხდარიყო ქართულ სიძველეთა შეკრება და მეცნიერული შესწავლა. მოუწოდებდა ყველა ქართველს მონაწილეობა მიეღო თბილისში მუზეუმის დაარსებაში. ფიქრობდა, რომ მუზეუმის გარეშე ისტორიის შექმნა შეუძლებელი იყო, რომ მხოლოდ ამის საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი ქართული მართლმადიდებლური ექსპონატების დაცვა და გადარჩენა. იგი წერდა: „მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია იქონიოს საკუთარი, ნამდვილი ისტორია, რომელთაც თავისის მუზეუმი აქვს კარღია ყველა ისტორიულის მასალების შემუშავების მოსურნეთათვის. უამისოდ შეუძლებელი საქმეა ხალხმა ისტორია იქონიოს“ [ივერია 1877: 1]. მისი აზრით მუზეუმში თავი უნდა მოეყარა რო-

გორც ეკლესიაში არსებულ ძველ ხელნაწერებს, წიგნებს, გუჯარებს, საეკლესიო ნივთებს ისე ისტორიულ და არქეოლოგიურ მასალას. მან რამოდენიმეჯერ მიმართა თხოვნით საქართველოს ეგზარქოსს მუზეუმის დაარსების თაობაზე. ცდილობდა თავისი მოთხოვნა ისე დაესაბუთებინა, რომ ინტერესი აღეძრა მეფის მოხელეთა შორისაც. ის კავკასიის მთავარმმართებელს, დონდუკოვ-კორსაკოვს და საქართველოს ეგზარქოს პაელეს წერდა „თქვენს ხელშია არა მარტო ბოლო მოეღოს ქართულ სიძველეთა ძარცვას და გადაარჩინოს რისი ხსნაც კიდევ შეიძლება, არამედ ისიც, რომ იგი ხელმისაწვდომი გახადოს მეცნიერებისათვის. ამის გამო, ვფიქრობ საჭიროა სასულიერო მმართველობასთან შეიქმნას განსაკუთრებული მუზეუმი, რომელსაც დაერქმევა „საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი“ [Бакрадзе 1876: 37]. საეკლესიო მუზეუმის დაარსების საკითხს აქტიურად ეხმაურებოდა ქართული პრესაც. ჟურნალ მწყემსში გამოქვეყნდა ცნობა „მცირე ხან-

ში შესრულდება დიდი ხნის სურვილი - საეკ-
ლესიო, არქეოლოგიური და ისტორიული მუზე-
უმის თბილისში დაარსებისა: ეს მუზეუმი იქ-
ნება იმ მუზეუმების მსგავსი, როგორებიც არი-
ან პეტერბურღისა და კიევის სასულიერო აკა-
დემიებთან. ამ მუზეუმისათვის საგანგებოდ შე-
ნობა იქნება აგებული“ [მწყემსი 1884: 12]. სამ-
წუხაროდ არსებობდნენ ამ საქმის მოწინააღმ-
დეგენიც, დეკანოზი ღამბაშიძე საეკლესიო ნივ-
თების ერთად თავმოყრის წინააღმდეგი იყო. მი-
სი აზრით ეკლესიას თვითონ უნდა შეენახა და
დაეცვა თავისი საკუთრება [მუმლაძე 2007: 84].
დ. ბაქრაძის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად
მეტად სერიოზულად და მწვავედ დაისვა სათა-
ნადო მუზეუმის შექმნის საკითხი. ეგზარქოსმა
როგორც ჩანს, ამ მოთხოვნაში საკუთარი ინტე-
რესებიც დაინახა და ამ წამოწყებას დაეთანხმა
[მუმლაძე 2000: 102]. 1889 წელს 24 იანვარს ეგ-
ზარქოსმა დაამტკიცა დ. ბაქრაძის მიერ შემუ-
შავებული სიძველეთსაცავის წესდება, რომლის
მიხედვითაც სხვადასხვა ეპარქიებში გაბნეული

საეკლესიო-საარხეოლოგიო ნაშთები ერთ საცავში უნდა მოგროვებულიყო და იკრძალებოდა მათი მუზეუმს გარეთ გაცემა. საცავი „არსდება იმ აზრით, რომ დაცული იქნას ძველი საეკლესიო ნაშთები, რომელნიც საქართველოს საეგზარხოსოში მოიპოვებიან“ [წესდება 1889: 3]. დ. ბაქრაძის ამ დიდი ძალისხმევის შედეგად თბილისში, 1888 წლის 15 ივლისს, სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში, საზეიმო ვითარებაში საფუძველი ჩაეყარა საეკლესიო სიძველეთსაცავს - მუზეუმს, რომელსაც ოფიციალურად „საქართველოს საეგზარქოსოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძმათა საეკლესიო ძველ ნაშთთა საცავი ეწოდა [ჩხაიძე 2003: 206]. თბილისში საეკლესიო არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობის შესახებ ჟურნალ მწყემსში გამოქვეყნდა ცნობა „თბილისში სიონის სობოროსთან დაწყებული შენობა საქართველოს ექსარქოსის არქიეპისკოპოსის თაოსნობით, სასულიერო ძველ შესანიშნავ საეკლესიო და საარხეოლოგიო ნივთთა შესანახად თითქმის დამთავრებულია. შე-

ნობა ისე კარგად არის მოწყობილი, რომ ცეცხ-
ლის შიში არც შიგნიდამ, არც გარედამ, არა-
სოდეს არ უნდა ჰქონდეს კაცს. მუზეუმს გარ-
და, შენობასთან არის გამართული სიონის კრე-
ბულისათვის ერთი ზალა წიგნების საკითხავად
და მეორე საზოგადოებისათვის [მწყემსი 1886:
11]. მუზეუმის მშენებლობა აქტიურად მიმდინა-
რეობდა და 1889 წელს საეკლესიო მუზეუმი
გაიხსნა. პრესაში დიდი მადლიერება გამოითქ-
მებოდა მუზეუმის დამაარსებლების მიმართ.
„მადლობის გრძნობით უნდა განვიმსჭვალოთ
მუზეუმის დამაარსებლების მიმართ, ვინც ეს
ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრუ-
ლებამდე მიიყვანეს“ [მუმლაძე 2000: 103]. მუ-
ზეუმის გახსნისთანავე მოიხაზა მისი უახლოე-
სი პერიოდის საქმიანობის ძირითადი მიმართუ-
ლებები. მისი მართვა მუზეუმთან ჩამოყალიბე-
ბულ საეკლესიო და საარხეოლოგიო განყოფი-
ლების საბჭოს დაევალა, რომლის თავმჯდომა-
რედ და სიძველეთა საცავის გამგედ დ. ბაქრაძე
დაინიშნა. მუზეუმის უპირველეს ამოცანას ფონ-

დების შევსება წარმოადგენდა, რისთვისაც თავიდანვე ინტენსიური მუშაობა წარიმართა. ფონდებში ჩაირიცხა სინოდალური კანტორის კუთვნილი საეკლესიო ნივთების ის ნაწილი, რომელიც აღწერილი იყო 1852 წლის კატალოგში [ჩხაიძე 2003: 209]. ეგზარქოსის მიერ დამტკიცებული საბჭოს გადაწყვეტილება ითვალისწინებდა საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტერში დაცული საეკლესიო ნივთების და ხელნაწერების შემოწმება-აღწერის მიზნით ზაფხულობით მოწყობილიყო ექსპედიციები. ისტორიული ღირებულების თითოეული ექსპონატი დაწვრილებით უნდა აღეწერათ და შეედგინათ ოფიციალური კატალოგი [ჩხაიძე 2003: 210]. დ. ბაქრაძე აღნიშნავდა „არქეოლოგია საზოგადოდ და საქართველოსი განსაკუთრებით, ძალიან ძნელი საქმეა, ვინაითგან ძველ ნაშთებზე ქართული წარწერების შესწავლა, მათი ისტორიულად და ფილოლოგიურად გარჩევა ხანგძლივ მომზადებასა და შრომას ითხოვენ. ამიტომ განყოფილება საჭიროდ რაცხს ეს ძველნაშთთა საცავი

თავდაპირველად აქციოს თავის მოსამზადებელ სკოლად. შემდეგ, რასაკვირველია აღძრულ იქ-ნება კითხვა ძველნაშთთა საცავში მოგროვე-ბულ ნივთების მეცნიერულ გარჩევაზე და სპე-ციალურ გამოცემაზე, რომელმანც უნდა შეატ-ყობინოს განათლებულ საზოგადოებას ის ნივ-თები, რომელნიც საცავში იქნებიან" [მწყემსი 1888: 16]. მუზეუმის შექმნას გამოეხმაურა გაზე-თი ივერია „მუზეუმში მოგროვდა პირველად რამოდენიმე ძველისძველი ისტორიული ნივთი და საქართველოს მეფეების დროის მოჭრილი ფული. შემდეგ ნელ-ნელა ემატებოდა ამ მუზე-უმს ნივთები ... სანუმიზმატიკო განყოფილება მუზეუმისა გამდიდრდა ამ ბოლო დროს უხვი შეწირულობით. მუზეუმს შესძინეს დიდძალი ძველი ფული, ნაპოვნი ივანე ბარტლომეისგან სოფელ დიღომში. რიცხვი იმ ფულებისა, არის სულ 474. ამ ფულში 67 არის მეფე გიორგის (ალბათ გიორგი III-ის. თ. ა.) დროისა, 207 - თა-მარ მეფისა, 170 - გიორგი ლაშასი და 33 ადერ-ბაიჯანის სხვადასხვა მაჰმადიან მფლობელთა

დროისა. ბარტლომეის აზრით ნაპოვნი ფულები ჩაუფლავთ მიწაში 1212 წელს და 1215 წელსა. ესე იგი ან იმ დროს, როცა გარდაიცვალა თამარ მეფე და ან გიორგი ლაშას მეფობის პირველ ხანებში [ივერია 1887: 2]. მუზეუმის მუშაობის პირველ ეტაპზე უმეტესად მოძიებით-შემგროვებლობით საქმიანობაზე კეთდებოდა აქცენტი, შემდგომში კი უპირატესად ყურადღება მუზეუმის ფონდებში დაცულ მასალათა მეცნიერულ შესწავლას დაეთმო. სამუშაოების დაწყების პირველსავე წლებში მუზეუმში თავი მოუყარეს მცხეთის, დავით-გარეჯის, სოხუმის, გელათის, სამთავროს და სხვა მასალებს. დ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა ექსპედიციები მცხეთაში და დავით-გარეჯში. მუზეუმში დაცულ საეკლესიო ნივთებს შორის დიდ ყურადღებას იპყრობდა ჯვრები და ხატები, თამარ მეფის და რუსუდანის დროინდელი მონეტები, მრავალი საეკლესიო ნივთი: ბარძიმი, თასი, საზედაშე, ოდიკი და მირონის ჭურჭელი. ასევე ტანსაცმელი: ფილონი, ენქერი, ოლარი, სარტყე-

ლი, მიტრა [ჩხაიძე 2003: 215]. შედგენილი კატა-ლოგის მიხედვით მუზეუმის მუშაობის ერთი წლის შემდეგ აქ ინახებოდა ხელნაწერი ერთეული 484, სიგელ-გუჯარები 944, სხვადასხვა ნივთი 102 ცალი [Джанашвили 1899: 15]. სამწუხაროდ დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალება უარყოფითად დაეტყო მუზეუმის საქმიანობას, მოუწესრიგებელი დარჩა ეკლესიებიდან წამოღებული ნივთების მიღება-ჩაბარების აქტები და დოკუმენტაცია, სათანადო დონეზე არ იყო ჩატარებული ექსპონატების ინვენტარიზაცია. 1898 წლიდან სიძველეთსაცავის გამგის მოვალეობის შესრულებას მოსე ჯანაშვილი შეუდგა და მუზეუმის მუშაობა უფრო წარმატებულად წარიმართა. მას უდიდესი დამსახუება მიუძღვის საეკლესიო მუზეუმის გაფართოების და ექსპონატებით მომარაგების საქმეში. ფონდების შევსების მიზნით ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა მოძიება-შემგროვებლობით საქმიანობაზე. უნდა შემოევლოთ მთელი საქართველოს ეკლესია-მონასტრები და შეერჩიათ სამუზეუმო

მასალა, შეედგინათ მათზე სათანადო ცნობები. შედგა სამი კომისია და სამუშაოების დაწყება აღმოსავლეთ საქართველოდან გადაწყდა. პირველ კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ექ. თაყაიშვილი, უნდა შეეკრიბა სამუზეუმო მასალა თბილისის ტაძრებიდან. მეორე კომისიას დაევალა ექსპონატების შერჩევა კახეთის ეკლესიებიდან, მესამე კომისიას კი ქართლის ეკლესიებიდან [ჩხაიძე 2003: 212]. 1899 წელს ექ. თაყაიშვილის თაოსნობით თელავის სამეფო კარის ეკლესიებიდან სიძველეთსაცავში გადმოიტანეს შესანიშნავი ისტორიულ-არქეოლოგიური ნივთები და დოკუმენტები, ასევე თედო ჟორდანიას ძალისხმევით მუზეუმმა მიიღო ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერები. პარალელურად მუზეუმის ფონდები შემოწირული საეკლესიო ნივთებითაც მდიდრდებოდა. მნიშვნელოვანი იყო მუზეუმში შემოსული ნივთების და ხელნაწერების მეცნიერულად შესწავლა და გამოქვეყნება, რადგან ამ ექსპონატებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საქართველოს ასევე მსოფ-

ლიო ეკლესიების ისტორიის კვლევისათვის. იმ-დროინდელი პრესის ცნობით „ბატონ როინაშ-ვილს აღუთქვამს იმავე საცავს უნდა გადავცე ყველა ჩემგან მოგროვილი საეკლესიო-არქეო-ლოგიური ნივთებიო“ [ცნობის ფურცელი 1897]. საეკლესიო მუზეუმის დაფუძვნებას დიდი სიხა-რულით შეხვდა ქართველი საზოგადოება. სხვა-დასხვა დროს სიძველეთსაცავის კომიტეტის წევრები იყვნენ: ექ. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, ი. ხახუტაიშვილი, გ წერეთელი, ბ. ფურცელაძე. მათ ღრმად სწამდათ მუზეუმის მომავლის და დიდი ენთუზიაზმით იყვნენ ჩაბმული მუ-შაობაში. ექ. თაყაიშვილი წერდა „სიძველეთსა-ცავი საქართველოს ისტორიის მკვლევარსაც და მოყვარულსაც გაუწევს დაუფასებელ სამსა-ხურს, რაც მოკლე დროში გამოჩნდება. მოვა დრო, რომ ტფილისის საეკლესიო სიძველეთსა-ცავის არსებობა ეცოდინება ყველას, ვინც კი იკვლევს წარსულს და მადლობით მოიხსენიებს [ივერია 1899]. მუზეუმის ფონდების ზრდა სა-ფუძველს აძლევდა იმდროინდელ პრესას განე-

ცხადებინა „საეკლესიო მუზეუმი თანდათან იზრდება და წარმატებაში მოდის. მალე მოვესწრებით იმ დროს, როცა ჩვენი თავმოსაწონებელი მუზეუმი თითით საჩვენებელი შეიქმნება განათლებულის კაცობრიობისთვის [ივერია 1900]. მუზეუმის ფონდებში დაცულ მასალებს აქტიურად სწავლობდნენ იმდროინდელი საქართველოს თითქმის ყველა ჰუმანიტარული დარგის თვალსაჩინო მეცნიერები, ასევე საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან ჩამოსული სწავლულები და სტუდენტები. მუზეუმში სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ თ. ჟორდანია, ვ. ვარძელაშვილი, ი. აბულაძე და სხვები. მათ შეადგინეს სამუზეუმო ნივთების ქრონოლოგიური, სისტემური და ანბანური კატალოგი. მუზეუმის ექსპონატებს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება პერიოდული ორგანოს „საქართველოს ეგზარქატის მაცნეს“ და კატალოგების მეშვეობით ეცნობოდა. 1916 წელს მ. ჯანაშვილმა გამოსცა „საქართველოს ეპარქიის საეკლესიო სიძველეთსაცავის“ კატალოგები და „საეკლესიო მუ-

ზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის“ სამი წიგ-
ნი [ჩხაიძე 2003: 217]. მიუხედავად იმისა, რომ
მუზეუმის ფონდებში თავმოყრილი ხელნაწერე-
ბის გამოცემათა უმრავლესობა რუსულ ენაზე
ქვეყნდებოდა მათ საფუძველზე გამოცემული
არა ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი ნათლად
ადასტურებდა, რომ ქართული ხელნაწერების
გარეშე შეუძლებელი იყო როგორც საეკლესიო
ქართველოლოგიის სფეროში სამეცნიერო მუ-
შაობა ისე ბიზანტიური პერიოდის ბერძნულ-აღ-
მოსავლური ეკლესიის ისტორიის ბევრი საკით-
ხის კვლევა [ჩხაიძე 2003: 217-218]. მუზეუმის
გამოფენები და აქ დაცული ექსპონატები დიდ
ინტერესს იწვევდნენ საზოგადოებაში. მათ ათ-
ვალიერებდნენ თბილისელები, საქართველოს
სხვადასხვა ქალაქების მაცხოვრებლები, სტუმ-
რები ევროპიდან, აზიიდან, ამერიკიდან და რუ-
სეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებიდან. ეწ-
ყობოდა კოლექტიური ექსკურსიები. დამთვალი-
ერებელთა შორის იყვნენ ქვეყნის უმაღლესი
პირები: საიმპერატორო ოჯახის წევრები, დიდი

მთავრები, მინისტრები, სახელმწიფო წარმომადგენლები და სხვა. მუზეუმმა მასპინძლობა გაუწია 1881 წელს თბილისში ჩატარებულ არქეოლოგთა V საერთაშორისო ყრილობასაც. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მუზეუმში მოსულ დამთვალიერებელზე სიონის ტაძარში დასვენებული წმინდა ნინოს ჯვარი და სიონის ღვთისმშობლის ხატი [ჩხაიძე 2003: 222]. მართალია მუზეუმს ჰქონდა პერიოდები, როცა უსახსრობის პირობებში გაძნელებული იყო ექსპედიციების მოწყობა, ჭირდა ექსპონატების შეძენაც, მაგრამ ხშირად ამ მდგომარეობას ამსუბუქებდა სხვადასხვა პირებისა საზოგადოებებისაგან მიღებული დახმარება. თავად მუზეუმი საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. ის სასულიერო წიგნებით ამარაგებდა თბილისის სხვადასხვა სასწავლებელს, ხოლო საზოგადოებას შეეძლო უფასოდ ესარგებლა მუზეუმის ბიბლიოთეკით. აქ დაცულ მასალებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ა. ამირეჯიბი, ნ. ლასხიშვი-

ლი, პ. ინგოროყვა, ი. კობახიძე, ფრანგი მეცნიერი აიპარი და სხვები.

XXს-ის დასაწყისში ცხადი გახდა, რომ სიონის საკათედრო ტაძრის ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში მდგარი საეკლესიო მუზეუმის ორსართულიანი შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა მუზეუმის მოთხოვნებს და ახალი, შესაფერისი შენობის აგების საკითხი დაისვა. გადაწყდა, რომ მუზეუმი ქალაქგარეთ, ვერაზე არსებული სასულიერო სემინარიის შენობაში გადასულიყო. ამან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ სიშორის გამო დამთვალიერებელი იქ მისვლას ვერ შესძლებდა. ამ და კიდევ სხვადასხვა მიზეზების გამო მუზეუმმა გაფართოება ვერ შეძლო.

XIXს-ის მეორე ნახევარსა და XXს-ის დასაწყისში საეკლესიო მუზეუმმა დიდი ეროვნული მისია იკისრა. მან დიდი და მნიშვნელოვანი საამუშაოები შეასრულა, სათავეში ჩაუდგა ქართველი ერის სულიერ და მატერიალური კულტურის ძველ ნაშთთა შეკრების, შესწავლისა და

გადარჩენის საქმეს. კავკასიის მუზეუმის შემდეგ იგი ყველაზე დიდ და ღირსეულ კოლექციებს ფლობდა. თავისი არსებობის მანძილზე ის მნიშვნელოვანი განძსაცავი იყო საეკლესიო ხელნაწერების, წიგნების და სხვადასხვა ნივთების, რომლებიც დიდად აინტერესებდა სამეცნიერო სამყაროს. მისი მეშვეობით მსოფლიოს საზოგადოებამ ახლოს გაიცნო ქართველი ერის მდიდარი სულიერი და მატერიალური კულტურის ნაშთები. დაკარგული თუ განადგურების საშიშროების წინაშე მყოფი ქართული უნიკალური საგანძურის გადარჩენა და ამისათვის სპეციალური სამუშაოების ჩატარება საეკლესიო მუზეუმის მთავარი დამსახურება იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ეკლესიაზე ტოტალური შეტევის პერიოდში, სამწუხაროდ საეკლესიო მუზეუმმა ფუნქციონირება შეწყვიტა. მის ფონდებში დაცული ექსპონატები 1921 წელს გადაეცა თბილისის სახ. უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს, ხელნაწერები კი მოგვიანებით შეუერთდა სა-

ქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებს და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა ხელნაწერთა განყოფილება, სადაც საეკლესიო მუზეუმის კოლექციებმა საკუთარი სახელები შეინარჩუნეს და მათ ფონდებს მიეცათ ცალკე ლიტერი, იგი აღირიცხებოდა პირობითი ნიშნით - A [ჩხაიძე 2003: 223]. საეკლესიო მუზეუმის დაარსებას განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ეროვნული მუზეუმი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს სიძველეთა დაცვის საქმეში.

ალექსანდრე როინაშვილის მოძრავი კავკასიის მუზეუმი

ამ პერიოდში საქართველოში სიძველეთა შეგროვებას და მოვლა-პატრონობას ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები და უცხოელი მოგზაურები თუ მკვლევარებიც აწარმოებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა დილეტანტი მოყვარულები იყვნენ, მათ მაინც გარკვეული ღვაწლი დასდეს კავკასიის

და კერძოდ საქართველოს სიძველეთა მოვლა-პატრონობას. ისინი აგროვებდნენ მასალებს, მოკლე ცნობებს აქვეყნებდნენ აღმოჩენების შესახებ, ზოგჯერ თხრიდნენ კიდეც ძეგლებს, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში კოლექციების არადამაკმაყოფილებელი დოკუმენტაციის გამო მათი მეცნიერული ღირებულება არასრულყოფილი იყო.

ქართული სიძველეების დიდი მოყვარული იყო ცნობილი ქართველი კოლექციონერი და ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული სიძველეების შეკრება-დაცვის საქმეში. მან მიზნად ქართული უძველესი ნივთების შეგროვება-პოპულარიზაცია დაისახა, და ამ საქმეს მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა. ალ. როინაშვილმა 1865 წლიდან დაიწყო სიძველეების შეგროვება. მოიარა კავკასია, დიდი შრომითა და მეცადინეობით შეკრიბა ძვირფასი საისტორიო და საარქეოლოგიო კოლექცია, გადაიღო საქართველოს ყველა კუთხის ისტორიული ძეგლები.

მუდმივად აგროვებდა, ყიდულობდა, ცვლიდა, ზოგჯერ გათხრებსაც აწარმოებდა და ასე მოიპოვებდა უძველეს უნიკალურ ნივთებს. 1885 წელს დაღესტანში გაემგზავრა და სწორედ იქ გაუჩნდა აზრი გაეხსნა მუზეუმი. „რუსეთის იმპერიაში თითქმის არც ერთი ერი არ მოიპოვება, რომ საკუთარი სახლი, ანუ მუზეუმი არ ჰქონდეს. ჩვენ კი, რომელთაც უპირატესობა გვაქვს წარსულის დიდებითა, ხელოვნებითა, მწიგნობრობითა, აზრადაც არ მოგვდის რომ დავაარსოთ ამგვარი ეროვნული სახლი, რათა დაინახოს მომავალმა თაობამ თავისი წარსული, თავისი დიდება“ წერდა ალ. როინაშვილი გაზეთ „ივერიაში“. თითქმის ოცი წლის განმავლობაში შეაგროვა ქართული, კავკასიური, აზიური და ევროპული არქეოლოგიური და ანტიკვარული სამუზეუმო ნივთები, რომელთა შორის იყო საომარ-სამხედრო აღჭურვილობა, სპილენძის, ვერცხლის, კერამიკის, ფაიფურის და ფაიანსის ჭურჭელი, ნუმიზმატიკური მასალა, მარმარილოს რელიეფები, ქანდაკებები, სპარსული

ხალიჩები, თითბირისა და ბრინჯაოს დოქები, ქართული ლეჩაქები, ვერხლის ქამრები, კავკასიური სუფრები და ნაქარდობა. მისი კოლექცია ძირითადად VI-XIXსს-ით თარიღდებოდა. მან გამოიკვლია ამ ნივთების წარმომავლობა და შექმნა კავკასიის მოძრავი მუზეუმი, რომელიც ქართული კულტურის დაცვასა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას ემსახურებოდა. თავისი კოლექციის ფართო საზოგადოებისათვის ჩვენებისათვის იგი ქალაქიდან ქალაქში დაატარებდა „კავკასიურ მოძრავ მუზეუმს“. ზუსტად უცნობია როგორი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილდებოდა ალ. როინაშვილი, მაგრამ დაახლოებით ეს უნდა ყოფილიყო დიდი ფურგუნიანი ეტლი. თავის მუზეუმში დაცული უნიკალური ნივთები მან ჯერ კავკასიაში გააცნო მოსახლეობას, შემდეგ კი რუსეთში გადავიდა. 1887 წელს ასტრახანში მოაწყო გამოფენა, რომელიც რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა: საარქეოლოგო, საეთნოგრაფიო, საგეოგრაფიო და სანუმიზმატიკო. ნივთე-

ბი მინით მოწყობილ ყუთებში იყო განლაგებუ-
ლი. ზოგი ნივთი - საომარი იარაღი, ფარები,
ჩაჩქნები, მშვილდ-ისარნი კედელზე ეკიდა. კედ-
ლებზე ეკიდა ასევე ტილოზე დახატული კავკა-
სიის ბუნების ამსახველი, მცხეთის, წმინდა ნი-
ნოს მონასტრის, ყაზბეგის მთის, არარატის, გუ-
ნიბის შამხალის სასახლის და სხვა სურათები.
ალ. როინაშვილის გამოფენას პრესა მუდმივად
ეხმაურებოდა. გაზეთ ივერიაში გამოქვეყნდა
სტატია სათაურით „კავკასიის არხეოლოგიური
და ისტორიული მუზეუმი ა. როინაშვილისა ას-
ტრახანში“. გაზეთი დიდ შეფასებას აძლევდა
ალ. როინაშვილის მოღვაწეობას და გაკვირვე-
ბას გამოხატავდა იმაზე, თუ როგორ შეძლო
ერთმა კაცმა საკუთარი ხარჯით და ჯაფით
ასეთი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება [ივერია
1887ა: 2-3]. გამოფენას ასტრახანის ერთ-ერთი
გაზეთიც გამოეხმაურა და მოსახლეობას ამ გა-
მოფენის ნახვას ურჩევდა. გაზეთში აღწერილი
იყო გამოფენაზე წარმოდგენილი ნივთები, მათ
შორის სპილენძის ქვაბები, მარმარილოს ქვები

ლურსმული წარწერებით, საომარი იარაღი, ფული, ბრინჯაოს უძველესი ხანის ნივთები. „არ იქნება ურიგო, რომ ა. როინაშვილის კოლექცია სხვადასხვა სასწავლებლის შეგირდებმა გასინჯონ და საკუთარი თვალით ნახონ დამამტკიცებელი საბუთები კაცობრიობის ძველისძველი კულტურისაო“ წერდა გაზეთი [მუმლაძე 2007: 90]. გამოფენას ასტრახანის საზოგადოებაში დიდი ცნობისმოყვარეობა გამოუწვევია და ალ. როინაშვილისათვის ურჩევიათ კიდეც ამ გამოფენის დასავლეთ ევროპაში გამართვა. ერთ ასტრახანელ მდიდარ გერმანელს მისთვის ბერლინში წაყოლა შეუთავაზებია და ამისთვის 6000 მანეთიც უძლევია, მაგრამ ალ. როინაშვილი არ დათანხმებია, რადგან იმედი ჰქონდა თუ მუზეუმის საქმე კარგად წავიდოდა სხვის დაუხმარებლად მიეღწია ბერლინამდეც [მუმლაძე 2007: 91]. ასტრახანიდან ალ. როინაშვილმა მოძრავი გამოფენა მოსკოვში გადაიტანა. ცუდი ამინდის გამო გამოფენაზე დიდი ხალხმრაველობა არ ყოფილა, თუმცა მნახველი მაინც ჰყო-

ლია „უფრო სწავლულნი მოდიან: პროფესორები, სტუდენტები და სხვები, რომელთაც ჩემი კოლექცია შესანიშნავად სცნესო“ [ტაბიძე 1962: 53]. გამოფენა პ. უვაროვასაც დაუთვალიერებია და ზოგი ნივთი ძალიან მოწონებია. მოსკოვის შემდეგ გამოფენა პეტერბურგში სასტუმრო „ბელ-ვიუში“ მოეწყო, რის შესახებ ჟურნალი „Новое время“ წერდა „ბ-ნი როინოვი მსურველებს უჩვენებს მის მიერ ოცი წლის განმავლობაში შეგროვილ სიძველეებსა და იშვიათობებს. კოლექცია ბრინჯაოს ხანიდან იწყება. აქვეა, ორი საინტერესო ჯამი. ერთი ადამისა და ევას გამოსახულებით, 1426 წელს რომიდან საქართველოში ჩამოტანილი კათოლიკე მისიონერის მიერ ქართველი მეფისწულისათვის; მეორე - ებრაული ნამუშევარი წვრილი, ნატიფი ამონაჭრებით მოჭედილი. სპილენძის ცილინდრისმაგვარი მაღალი სასაკმეველეები, 400-ზე მეტი ძველი მონეტა ოქროსი, ვერცხლისა, სპილენძისა, ბერძნული, სპარსული, ქართული და სხვა“. პეტერბურგში ისე მოიხიბლნენ ამ ნივთებით, რომ

როინაშვილი პეტერბურგის არქეოლოგიური საზოგადოების წევრადაც კი მიიწვიეს. ასეთი მუზეუმის დაარსებით ალ. როინაშვილმა მოახერხა ამ პერიოდის საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ სფეროში სიახლის დამკვიდრება. მან შეძლო ძველის შენარჩუნება, შენახვა და საჯაროდ გამოტანა. იგი იყო ქართული კულტურით დაინტერესებული მკვლევარი, კოლექციონერი, რომელმაც მოიძია ქართულ-კავკასიური სიძველეთა უნიკალური კოლექცია და შექმნა სამუზეუმო კატალოგი. "ბ-ნი როინაშვილი პირველი შემგროვებელია კავკასიის სიძველეებისა, რომელიც შეიცავს მრავალ საინტერესოს არქეოლოგიის ყველა დარგისათვის, მომავალი მეცნიერებისა და სპეციალისტ-მკვლევარებისათვის" [ტაბიძე 1962: 54]. ის იყო პირველი კერძო მუზეუმის მფლობელი საქართველოში, მან სრულფასოვნად გაიაზრა მუზეუმის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებაში. შემდგომში ალ. როინაშვილმა თავისი მუსეუმში დაცული 800-მდე ნიეთი წერა-კითხვის გა-

მავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა. მის მიერ შეგროვილი მრავალფეროვანი ექსპონატების ნაწილი ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

ბარონი ამურ ოგიუსტ დე ბაის კოლექცია

ქართული სიძველეების შესახებ ცნობები მოიპოვება ბევრი იმ მოგზაურის თუ მეცნიერის აღწერილობებსა და ჩანახატებში, რომლებიც XIXს-ის მეორე ნახევარში მოგზაურობდნენ საქართველოში. ერთ-ერთი ასეთი იყო ფრანგი არქეოლოგი ბარონი ამურ ოგიუსტ დე ბაი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ძველი ქართული ნივთების პოპულარიზაციის საქმეში. საქართველოში მოგზაურობისას მან მოსახლეობისაგან შეიძინა მრავალი ძველი ნივთი, რომლებიც შემდეგ პარიზში წაიღო და ძველი ნივთების გამოფენა მოაწყო. გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ფრანგებში. მის შესახებ გაზეთ ცნობის ფურცელში დაიწერა თედო სახოკიას კორესპონდენცია, რომელიც აღწერდა დე

ბაის მიერ მოწყობილ გამოფენას „ცნობილმა მოგზაურმა ბარონმა დე ბაიმ თავისი უკანასკ-ნელი მოგზაურობის დროს საქართველოში შეკ-რებილი ნივთები 28 მაისს გამოჰფინა გიმეს მუ-ზეუმის ერთ-ერთ დარბაზში. გამოფენილ ნივ-თებს შორის საყურადღებოა ძველებური თოფ-დამბაჩები საუცხოო ხელოვნებისა, ვერცხლის ქინძისთავები, თვალ-მარგალიტით შემკული ჯვრები და ხარაგაულის ჭურჭლეულობა. საყუ-რადღებოა, აგრეთვე ერთი ძველებური კოკა, რომელზედაც აქეთ-იქით ფრინველებია გამოყ-ვანილი, რასაც იშვიათად შეხვდება კაცი თანა-მედროვე ჩვენებურ ჭურჭელზე და ყელს გარშე-მო მხედრული ასოებით შემდეგი წარწერა აქვს „მეჭურჭლე გიორგას გაკეთებული“ [ცნობის ფურცელი 1902: 3]. ბარონ დე ბაის მოწყობილ გამოფენაზე ძველ ნივთებთან ერთად წარმოდ-გენილი იყო საქართველოში გადაღებული ფო-ტოები. დამთვალიერებელს მეგზურობას თვი-თონ ბარონი დე ბაი უწევდა და უხსნიდა თი-თოეული ნივთის დანიშნულებას და ღირსებას

[მუმლაძე 2007: 95]. გამოფენამ თავისი როლი შეასრულა და გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა ფრანგებს ქართულ კულტურაზე. გამოფენის დახურვის შემდეგ ფრანგ კოლექციონერს განზრახული ჰქონდა ნივთების ნაწილი (ფოტოები, იარაღი, სამკაული) პარიზის ახლადგახსნილი მუზეუმისათვის გადაეცა, რომელიც რუსეთიდან და მათ შორის საქართველოდან შემოტანილი ნივთების მოსათავსებლად იყო გათვალისწინებული. ჭურჭელი კი უნდოდა ფაიფურის წარმოებით განთქმულ სევრის მუზეუმისათვის გადაეცა [მუმლაძე 1999: 95].

ალ. როინაშვილის და ბარონ დე ბაის მიერ მოწყობილმა გამოფენებმა დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის და კერძოდ საქართველოს სიძველეთა მოვლა-პატრონობის და უცხოეთში საქართველოს კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. მათ გარკვეული როლი შეასრულეს იმდროინდელი ევროპის საზოგადოების დადებითი წარმოდგენის შექმნაზე საქართველოს შესახებ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის ქართული სიძველეების შეგროვება-დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდებოდა მოწინავე ქართული საზოგადოება თვლიდა, რომ ეროვნული საგანძურის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმისათვის ეს საკმარისი არ იყო. ამიტომ მკვეთრად დაისვა საკითხი ქართული მუზეუმის „საერო სახლის“ დაარსების შესახებ. ამ პრობლემის გადაუჭრელობას მეტად მტკივნეულად განიცდიდნენ, რადგან მათი აზრით ასეთი სამუზეუმო ტიპის ეროვნული სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება კიდევ ერთ მნიშვნელოვან ქართულ სამეცნიერო კერას ჩაუყრიდა საფუძველს. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ისტორიკოსი და რუსთველოლოგი დავით კარიჭაშვილი წერდა „მუზეუმის აშენება სხვა საჭიროებაზედ მაღლა სდგას, ეს უბრალო შენობა იქნება ძეგლი მთელი ქართველობისა, იგი იქნება

საკუთრება არა ერთის რომელიმე საზოგადოებისა, არამედ საზოგადოდ მთელის ერისა და კერძოდ თითოეულის ქართველისა [ივერია 1898]. ამ საკითხს აქტიურად ეხმიანებოდა ქართული პრესა. გაზეთი ივერია წერდა „დიდად სასურველია, რომ ამ XXს-ის დამდეგში მაინც მოიფიქროს ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ, რომ საერო სახლის, მუზეუმის აგება საჭირო არის და მით გაუჩინონ ბინა მას, რაც კიდევ დარჩენილა ჩვენს ქვეყანაში ძველი ნივთნი და ნაშთნი და ყველა ერთად მოეწყოს ჩვენ წინაპართა სასახელოდ და სადიდებლად“ [ივერია 1895]. ასევე ჟურნალ კვალში დაიბეჭდა ა. ხანაშვილის წერილი „მომავალი საერო სახლი ანუ მუზეუმი თბილისში“ სადაც ავტორი წერდა „დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებაში ტრიალებს სურვილი ისეთი სახლის შექმნისა, სადაც მოთავსდება წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმი და ალ. როინაშვილის მიერ შეკრებილი კოლექცია ძველი ნივთების და სურათებისა“ [კვალი 1895: 2]. XXს-ის დასაწყისში, თბილისში, ექ.

თაყაიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა „საქართველოს ისტორიის და მწერლობის მოყვარულთა წრე“, რომლის წევრებმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (სსს) დააარსეს. საზოგადოების წესდების მიხედვით უნდა დაარსებულიყო წიგნსაცავი და მუზეუმი, სადაც დაიცავდნენ, გამოამზეურებდნენ და დამთვალიერებელს გააცნობდნენ მოძიებულ ისტორიულ სიძველეებს, ერის წარსულს. ამისათვის აუცილებელი იყო გამონახულიყო სახსრები მუზეუმის შენობის ასაგებად, მოწყობილიყო ექსკურსიები, ექსპედიციები, გამოფენები. ასევე უნდა გაშლილიყო ფართო საგამომცემლო საქმიანობაც [სსს-ს წესდება 1910: 2]. საზოგადოების მუზეუმის დაარსების შესახებ ნებართვა ოფიციალურად 1912 წლის 24 იანვარს გაიცა. მუზეუმი სადეპუტატო საკრებულოსთან დაარსებულ საადგილმამულო კომისიის ოთახის ერთ-ერთ კუთხეში განთავსდა [ჩხაიძე 2003: 190]. საზოგადოების მიერ უკვე დაგროვილი საკმაო რაოდენობის სამუზეუმო

ექსპონატების გარდა მუზეუმში ნივთები შემოდიოდა შემოწირულობების და შესყიდვის გზითაც. ექ. თაყაიშვილმა მუზეუმს გადასცა ვახტანგ VI-ის კანონები და სამართალი, მ. ჯანაშვილმა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ნივთები, გ. ერისთავმა ძველებური ბეჭდები და არაბული მონეტა [მეტრეველი 1982: 68]. მნიშვნელოვანი შემოწირულობები მიიღო მუზეუმმა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან: ა. ქვლივიძის, დ. ყიფიანის, ზ. მაღალაშვილის, ვ. მაყაშვილის, მ.ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისაგან. ძველი ნივთები უსახსოერეს მუზეუმს ე. გულისაშვილმა, ნ. ჯავახიშვილმა, ქ. ჯანდიერმა. ი. ჩიტაძემ მუზეუმს გადასცა ალექსანდრე ბატონიშვილის თოფი, ორი დამბაჩა, ხანჯალი, ქართული და ბიზანტიური მონეტები. გენერალმა ს. ანდრონიკაშვილმა ორი სპილენძის ძველებური ჯვარი, ქათიბის 24 ოქროს ღილი. ალ. ფხალაძემ რუსუდან მეფის დროს მოჭრილი მონეტა, ხოლო ვ. კანდელაკმა კოლხური თეთრი. გ. საყვარელიძის მემკვიდრეებისაგან მუზეუმს

გადაეცა ვახტანგ VI-ის დროინდელი სიგელ-გუჯრები, ხელნაწერები, 31 ვერცხლის და 29 სპილენძის მონეტა. შესაბამისი საგამოფენო და საფონდო ფართის უქონლობის გამო, ექ. თაყაიშვილის ძალისხმევით თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის (თბილისის სახ. უნივერსიტეტის I კორპუსი) მეორე სართულის ვრცელ დარბაზში, მოგვიანებით კი მესამე სართულის მარცხენა ნაწილშიც მუზეუმისთვის გამოიყო ვრცელი ფართი (შემდგომში აქ როგორც უკვე ავღნიშნეთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი გადმოვიდა). ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული ნივთების და ფოლკლორული მასალების მოძიების და შეკრების მიზნით მუზეუმი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართო საექსპედიციო სამუშაოებს აწარმოებდა. მოეწყო ორმოცზე მეტი ექსპედიცია. ექსპედიციებში მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ საგანგებოდ მოწვეული მეცნიერები, მხატვრები, ფოტოგრაფები და სხვა სპეციალობების მქონე

პირები. ბევრი მატერიალური კულტურის ძეგ-
ლი შეისწავლეს ქართლში, კახეთში, იმერეთში,
გურიაში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, სამც-
ხე-ჯავახეთში, ქიზიყში და სხვა ადგილებში.
შეკრიბეს მრავალი ისტორიული ღირებულების
მქონე ნივთი, ხალხური ზეპირსიტყვეობის ნიმუ-
ში, ძველი ხელნაწერი და სიგელ-გუჯარი. ად-
გენდნენ გეგმებს, ნახაზებს, იღებდნენ ფრესკე-
ბის ასლებს. ამ სამუშაოებმა ახალ საფეხურზე
აიყვანა ქართული კულტურის ძეგლთა შესწავ-
ლის მეცნიერული დონე [ჩხაიძე 2003: 191-193].
დროთა განმავლობაში ბევრი დანგრეული ძეგ-
ლი, დაკარგული მრავალი ისტორიული ნივთი,
განადგურებული ფრესკა მხოლოდ ამ სამუშაო-
ების შედეგად თუ შემორჩა, ამიტომ ამ ექსპე-
დიციებს ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.
განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი მსოფ-
ლიო ომის მიწურულს, სამხრეთ-დასავლეთ სა-
ქართველოში ექ. თაყაიშვილის მონაწილეობით
მოწყობილი ტაო-თორთუმ-ისპირის ექსპედიცია.

ექსპედიციებიდან მიღებული მასალის საფუძველზე მუზეუმმა ორჯერ მოაწყო გამოფენა თავადაზნაურთა გიმნაზიის შენობაში. 1914 წელს მოეწყო ფოტოგამოფენა, რომელიც სამეგრელოსა და გურიაში არსებულ მატერიალური კულტურის ძეგლებს და მხარის ეთნოგრაფიულ ყოფას ასახავდა, 1917 წელს კი გამოიფინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე ეკლესია-მონასტრებიდან აღებული ფრესკის პირები. გამოფენებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. თავისი ორიგინალობით განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა მეორე გამოფენა. 1917 წლისათვის საზოგადოების მუზეუმში დაცული იყო 2432 არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული მნიშვნელობის ნივთი, 556 ნაქსოვ-ნაკერი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ნაწარმოები და ისტორიულ პირთა პორტრეტები, 73 ძველი ფრესკის პირები და მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექცია. მონეტების ფონდი 3883 ერთეულს ითვლიდა, აქედან 1081 ვერცხლის, 2794 სპილენძის და 4 ბრინჯაოს მონეტა

იყო [თაყაიშვილი 1966: 193-194]. მუზეუმი ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობასაც. მიღებული მეცნიერული შედეგების და დასკვნების გასაცნობად ეწყობოდა კრებები და ლექცია-მოხსენებები. სამეცნიერო სამუშაოების შედეგები ქვეყნდებოდა საზოგადოების გამოცემებში „ძველი საქართველო“ (გამოვიდა 4 ტომი), „საქართველოს სიძველენი“ (გამოვიდა 3 ტომი).

მუზეუმისათვის მატერიალური დახმარების გაწევაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა. დავით სარაჯიშვილმა 100000 მანეთი გაიღო მუზეუმის ბინის ასაშენებლად, პეტრე თუმანიშვილმა დ. ერმაკოვს დაამზადებინა საქართველოს ეკლესია-მონასტრების და სიძველეთა ფოტო-ალბომი და საჩუქრად გადასცა მუზეუმს. მუზეუმს დახმარება გაუწიეს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ, აკად. ნიკო მარმა, პროფ. ალ. ცაგარელმა, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა. დარია და ივანე ჭავჭავაძეებმა მუზეუმს შესწირეს ერეკლე მეფის საწერ-

კალამი, ვერცხლის კოლოფი, მხატვრული ტი-
ლო, მ. ტატიშვილმა ერეკლე ბატონიშვილის
კუთვნილი მინის ჭურჭელი, ი. ციციშვილმა
ერეკლე მეფის ასულის მარიამის სამზითვო
ნივთები - ფაიფურის, ფაიანსის და მინის ჭურ-
ჭელი, რ. ერისთავმა აჩუქა 6 ბეჭედი, არაბული
ფული, საკალატოზო შვეული მინანქრიანი, მ.ვ.
ჯამბაკურ-ორბელიანისამ ვერცხლით მოჭედილი
კეხი, ოქროთი დაფერილი ხატი, ქალის ოქრომ-
კერდით ნაკერი პირსაბური, სტიქარი, ქამარი,
ოლარი, მარგალიტით შემკული საბუხრეები. ამ
მასალებით მეტად იყო გადატვირთული საფონ-
დო ოთახები. რადგან მუზეუმს არ ჰქონდა შე-
ნობა, თავდაპირველად მის ასაშენებლად დ. სა-
რაჯიშვილმა წყნეთისა და ოლღას ქუჩებს შო-
რის მდებარე მიწის ნაკვეთი იყიდა, მაგრამ 1911
წელს მისი გარდაცვალების გამო ეს საქმე შე-
ფერხდა და მიუხედავად შემდეგში ბევრი ცდე-
ბისა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგა-
დოების მუზეუმის შენობის აგება მაინც ვერ
მოგვარდა. მიუხედავად უბინაობის და საერთო

გაჭირვებისა მუზეუმი განაგრძობდა ფუნქციონირებას. ექსპედიცია მოეწყო რაჭაში, შემოწირულობებით მიიღეს ნუმიზმატიკური კოლექცია. ნუმიზმატუკური მასალა იყიდეს ასევე ი. მედვედევისაგან. ეს ორივე კოლექცია საფუძვლად დაედო ნუმიზმატიკურ განყოფილებას. 1920 წელს მუზეუმმა მოაწყო ექსპოზიცია, გამოიფინა ქართული ხუროთმოძღვრული ნიმუშები, რომლებიც ძირითადად ექ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედიციების შედეგად იყო მოპოვებული. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ქართული ხუროთმოძღვრების განვითარება VIს-დან-XVIIს-მდე. მოცემული იყო მატერიალური კულტურის ძეგლების გეგმები, ფოტოსურათები, ჩამოსხმული იყო ქანდაკებების ნიმუშები [მეტრეველი 1982: 115]. XXს-ის 20-იან წლებში სისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჯერ კიდევ ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. ექ. თაყაიშვილის საქართველოს სამუზეუმო განძეულობის საპატრონებლად და გადასარჩე-

ნად ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, 1922 წლიდან საისტორიო საზოგადოებას სათავეში ივ. ჯავახიშვილი ჩაუდგა. ამ პერიოდში მუზეუმი ფონდების გამდიდრებას კიდევ ახერხებდა, მაგრამ შემდგომში ხელისუფლებამ სამუზეუმო და სამეცნიერო სამუშაოთა აქცენტები სხვა მიმართულებით გადაიტანა და რადგან საისტორიო საზოგადოება საქველმოქმედო ორგანიზაცია იყო ფინანსური სიძნელეების გამო ძალიან გაუჭირდა მუზეუმის შენახვა. 1927 წელს მუზეუმმა არსებობა შეწყვიტა. სამუზეუმო ექსპონატები ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებს გადაეცა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი ეროვნულ დაწესებულებას წარმოადგენდა, ის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის არსებობის პერიოდშივე მის გვერდით ჩამოყალიბდა და თავისი არსებობის მანძილზე დიდ და მნიშვნელოვან სამუშაოებს ასრულებდა. მან

იტვირთა ქართული მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიება, შეგროვება, შესწავლა, გადარჩენა და შენახვა. ატარებდა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ამდიდრებდა ქართულ ისტორიოგრაფიას და წყაროთმცოდნეობას. იმ დროისათვის, რუსეთის მხრიდან არახელსაყრელი პირობების არსებობის დროს, მუზეუმის შექმნა დიდ ორგანიზაციულ მუშაობას და ძალისხმევას მოითხოვდა. მუზეუმის შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის და კულტურის ასახვა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. საბედნიეროდ ეს საქმე ადგილობრივი ძალების შემწეობის და მონდომების შედეგად მაინც მოხერხდა. ექ. თაყაიშვილმა ნივთიერი და ფულადი შემოწირულობების გზით დაიწყო ამ მუზეუმის დაარსება, სადაც თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა ექსპონატებმა, ფართო მეცნიერული ხასიათი ჰქონდა ექსკურსია-ექსპედიციებს. კვლევების და შემოწირულობების გზით მუზეუმი და წიგნსაცავი მუდმივად

ახალი კოლექციებით მდიდრდებოდა. თუკი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი მუზეუმი ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით იყო დაკავებული, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის მუშაობის მთავარ მიმართულებას სამეცნიერო საქმიანობა წარმოადგენდა [ჩხაიძე 2003: 184]. მუზეუმში იყო ისტორიის, ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკის და ნუმიზმატიკის განყოფილებები. მასში მოღვაწეობდა მთელი იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია, გამოყენებული იყო მთელი სამეცნიერო პოტენციალი. მუზეუმმა მოაწყო სხვადასხვა სახის გამოფენები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ძველი ქართველი ხუროთმოძღვართა ნიმუშების გამოფენა.

როგორც ვხედავთ, XIXს-ის მეორე ნახევარში და XXს-ის დასაწყისში ჩამოყალიბებულმა ყველა ამ მუზეუმმა ბევრი მატერიალური კულტურის ძეგლი შეისწავლა, შეკრიბა მრავალი ისტორიული ნივთი, ხალხური ზეპირსიტყვეობის

ნიმუში, ძველი ხელნაწერი და სიგელ-გუჯარი. მათ გადაარჩინეს, შეინახეს და დაინტერესებულ საზოგადოებას გააცნეს ქართული უძველესი კულტურა. ადგენდნენ გეგმებს, ნახაზებს, იღებდნენ ფრესკების ასლებს. ამ პერიოდში მათი ექსპოზიციები და ფონდის საცავები ჯერ კიდევ ერთმანეთისგან არ იყო გაცალკევებული და ეს უფრო ფონდების ჩვენება იყო. ექსპოზიციები იმ კონცეფციით და შესაბამისი ორგანიზებით ეწყობოდა სადაც ძირითადად ცალკე იზოლირებული, იშვიათი ნივთების ჩვენება ხდებოდა და ვიტრინებში დაწყობილი ექსპონატები არ იყვნენ ურთიერთკავშირში, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ სამუშაოებმა ახალ საფეხურზე აიყვანა სამუზეუმო საქმიანობა საქართველოში, დაიწყო ქართული კულტურის ევროპულ კულტურებთან დაახლოების პროცესი.

საქართველოს მუზეუმი

1917 წლიდან ძველი სამყაროს ნგრევასთან ერთად სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს სამუზეუმო ცხოვრებაში. საყოველთაო ანარქიის პირობებში მეფის რუსეთის იმპერია დაიშალა და საქართველოში დამოუკიდებელი, ნაციონალური მთავრობა აღდგა. ახალი დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ ხელისუფლებას კარგად ესმოდა მუზეუმის მნიშვნელობა და თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო მას. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ძველი მუზეუმების, პირველ რიგში კი კავკასიის მუზეუმის ბაზაზე შექმნილიყო ეროვნული დაწესებულება. რადგან კავკასიის მუზეუმი ყოველთვის მატერიალური და სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ნიმუშთა თავშეყრის და დაცვის ცენტრად მოიაზრებოდა, დადგა ამოცანა მისი დიდი პოტენციალის გამოყენების საფუძველზე დაარსებულიყო ეროვნული ინტერესების მატარებელი მუზეუმი, რომელიც ქართველი ერის კულტურის სამსახურში ჩადგებოდა. 1919 წლის

1 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ და საქართველოს მთავრობამ მიიღო დეკრეტი კავკასიის მუზეუმის გაუქმების შესახებ [სსმ არქივი 1919: 19] და შემზადდა საფუძველი საქართველოში ეროვნული ინტერესების მატარებელი მუზეუმის ჩამოყალიბებისა. ახალ მუზეუმს საქართველოს მუზეუმი ეწოდა. დაიწყო სამუზეუმო საქმის განვითარების სრულიად ახალი ეტაპი. დებულების შესაბამისად საქართველოს მუზეუმის მიზანს და ამოცანას საქართველოს მეცნიერულად შესწავლის ხელშეწყობა წარმოადგენდა. თავი უნდა მოეყარათ, მოეწესრიგებინათ, შეენახათ და მეცნიერულად დაემუშავებინათ ყველა მასალა და კოლექცია რომლებიც საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების ფიზიკურ ბუნებას, ეთნოგრაფიასა და ისტორია-არქეოლოგიას შეეხებოდა [აქტების კრებული 1990: 108]. უნდა დაწყებულიყო ცალკეული რაიონების და განსაზღვრული ეპოქების ძეგლების მეცნიერული კვლევები.

საქართველოს მუზეუმს რთულ პერიოდში მოუწია საქმიანობის დაწყება. პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციების, გართულებული საგარეო პოლიტიკის გამო ქვეყანა ეკონომიკურად სუსტი იყო. მუზეუმის ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხები ვერ იძებნებოდა. მუზეუმი დიდ მატერიალურ გასაჭირს განიცდიდა. დახურული გამოფენების გამო სპეცთანხები აღარ იკრიბებოდა, ექსპედიციები შეზღუდული მასშტაბებით ტარდებოდა. ბევრი აკლდა ახალი შენობის დამთავრებასაც. ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი იყო ლაბორატორიები და განყოფილებები, არ ჰქონდათ ექსპონატების შესაწამლად და კოლექციების დასაცავად სპირტი, ნაფტალინი, ფორმალინი, ქაღალდი. თანამშრომლებისათვის მუზეუმი ითხოვდა მანუფაქტურას, ფეხსაცმელს, შაქარს, საპონს, სანთელს და სხვა [სსმ არქივი 1919]. გასაჭირი იყო აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურის და ლაბორატორიული ხელსაწყოთა მხრივაც. ამ პერიოდში საქართველოს მუზეუმის სახსრებს შეადგენდა: სა-

ხელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადადებული განსაზღვრული თანხა, მუზეუმში შესასვლელი გადასახადი, შემოწირულობანი და გამოცემათა და კოლექციათა დუბლიკატების გაყიდვით მიღებული შემოსავალი [აქტების კრებული 1990: 108]. სახელმწიფო ყველანაირად ცდილობდა სიძნელეების გადალახვას. უპირველესად საჭირო იყო მუზეუმის გადმოქართულება. მუზეუმის პირველი ქართველი დირექტორი ნოე ყიფიანი აღნიშნავდა „კავკასიის მუზეუმის უმთავრესს ნაკლს შეადგენდა ის გარემოება, რომ მუზეუმში საკუთრივ საქართველო სუსტად გახლდათ წარმოდგენილი. საქართველოს მუზეუმი უმთავრეს მიზნად ამ მემკვიდრეობით გადმოცემული ნაკლის გამოსწორებას ისახავს“ [სსმ არქივი 1920]. მუზეუმში ეს პროცესი დაიწყო კადრებიდან. 1920 წელს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოში აირჩიეს ექ. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ალ. თვალჭრელიძე, ს. ქურდიანი, ა. ნათიშვილი. მუზეუმი სახალხო განათლების სამინისტროს

სისტემაში შევიდა. მას განაგებდა სამეცნიერო საბჭო რომელშიც შედიოდნენ დირექტორი, განყოფილების გამგეები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ შერჩეული ხუთი წარმომადგენელი. გაუქმებული კავკასიის მუზეუმის არაქართველ თანამშრომელთა მცირე ნაწილი ვერ შეეგუა ძველი პრიორიტეტის დაკარგვას და არქეოლოგია-ეთნოგრაფიის განყოფილების ასისტენტ დ. გორდეევის ინიციატივით პეტროგრადში გააგზავნეს წერილი, რომელშიც მუზეუმის ისევ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაბრუნებას ითხოვდნენ. მთავარ მოტივაციად მოყვანილი იყო ის, რომ მუზეუმი მთელი კავკასიის საკუთრება იყო და არა მარტო საქართველოსი [ჭილაშვილი 2002]. საქართველოს მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებით ძირშივე აღიკვეთა ეს მოსაზრება, მუზეუმი ქართულ დაწესებულებად გამოაცხადეს და მას როგორც უკვე აღინიშნა საქართველოს მუზეუმი უწოდეს. მუზეუმი ხუთი განყოფილებისგან შედგებოდა: გეო-

ლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ეთნოგრაფიის და ისტორია-არქეოლოგიის. მასთან არსებობდა წიგნსაცავი „მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკა“. გარდა სამუზეუმო და მეცნიერული საქმიანობისა მუზეუმს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მოვლა-პატრონობის საქმის მოგვარებაც დაევალა.

საყოველთაო გაჭირვების მიუხედავად 1920 წლიდან ხელისუფლება სხვადასხვა ფონდებიდან ყოველთვიურად მუზეუმისათვის მნიშვნელოვან თანხებს გამოყოფდა შენობის დასამთავრებლად, ნივთების შესაძენად, სამეცნიერო, საგამომცემლო და საოჯახო ხარჯებისათვის. ამ თანხებით მოხერხდა ასევე ექსპედიციების და მივლინებების მოწყობა გორის რაიონში, ორთაჭალის მიდამოებში, შორაპნის მაზრაში, კუმისის ტბაზე, ყარაიაზში, ფასანაურში, კინტრიშის ხეობაში, გურიაში და სხვა [ჩხაიძე 2003: 229]. მიუხედავად იმისა, რომ ველზე გასვლა არ იყო უხიფათო და მოსალოდნელი იყო სხვადასხვა გართულებები და თავდასხმებიც კი მუზეუ-

მის თანამშრომლები მაინც ასრულებდნენ დაგეგმილ სამუშაოებს. 1919-1920წწ-ში გ. ჩუბინაშვილმა და არქიტექტორმა ევ. ლანსერემ აღმოსავლეთ საქართველოში არაერთი არქიტექტურული ძეგლი აზომეს. დაზვერვები განხორციელდა დავით გარეჯის კომპლექსზე. ექსპედიცია მოეწყო ხევსურეთში. ხერხდებოდა ასევე უცხოელი სპეციალისტების მოწვევა. დაისვა საკითხი რესპუბლიკაში გაბნეული სამუზეუმო ნივთების და წიგნების მუზეუმში თავმოყრის შესახებ. საქართველოს მუზეუმი გახდა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა მეთვალყურეობისა და ისტორიული მნიშვნელობის ნივთთა დაცვის ცენტრი. 1920 წელს მუზეუმთან დაარსდა ისტორიული მნიშვნელობის საგნების შეძენის ფონდი. ამ ფონდიდან გამოყოფილი თანხით შეიძინეს საარქეოლოგიო ნივთები, ნუმიზმატიკური მასალა, ხელნაწერები, წიგნები, სამკაული, იარაღი, ტანსაცმელი, ხალიჩები, მხატვრული სურათები. 1919-1920წწ-ში განხორციელებული ექსპედიციების, ნივთების

შესყიდვის და შემოწირულობების გზით მუ-
ზეუმში ბევრი მნიშვნელოვანი ექსპონატი შეევ-
და. 1920 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მუზეუმის
პერიოდულ გამოცემებს „საქართველოს მუზეუ-
მის მოამბე", „საქართველოს მუზეუმის შრომე-
ბი". ამ გამოცემების ხელმძღვანელობა დაეევა-
ლა ჯერ გ. ჩუბინაშვილს, შემდეგ გ. ჩიტაიას.
მუზეუმმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ახ-
ლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტთან,
სადაც თავმოყრილი იყო უნიკალური ისტორი-
ულ-მხატვრული ღირებულების მქონე ნივთები.
მოხერხდა ურთიერთობის აღდგენა პარიზის,
ლონდონის, ბერლინის და რომის მუზეუმებთან,
რომლებმაც დაიწყეს თბილისში თავიანთი გა-
მოცემების გამოგზავნა. 1920 წელს მუზეუმის
სამეცნიერო საბჭოს მიერ ხუროთმოძღვრულ
ძეგლთა შესასწავლად შექმნილმა კომისიამ
შეაკეთა და შეღება გელათის და მარტვილის
მონასტრების სახურავები. კომისიის წევრები
გაემგზავრნენ მცხეთაში სვეტიცხოვლის და
ჯვრის მონასტრის მდგომარეობის შესასწავ-

ლად. შეისწავლეს ბოდბის, ალავერდის, შუამთის ეკლესიების მდგომარეობა, შეკეთდა ვეჯინის, ამაღლების და ხირსის მონასტრების დაზიანებული საძირკველი და კედლები. მუზეუმის კედლებში გადმოტანილი იქნა წრომის ეკლესიის მოზაიკის ფრაგმენტები [ჩხაიძე 2003: 232-233]. ამავე წელს დაარსდა ეროვნული სამხატვრო გალერეა. საქართველოს დამფუძვნებელი კრების და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 28 მაისის დეკრეტის საფუძველზე აიკრძალა საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და სხვა საკულტო ნივთების საქართველოდან გატანა [აქტების კრებული 1990: 396]. საზღვარგარეთ გატანას არ ექვემდებარებოდა მიწაში და სამარხებში ნაპოვნი ყოველგვარი ნივთი: ლითონის, ძვლის, თიხის, მინის და ხის, საეკლესიო ნივთები, საომარი და საოჯახო ძველი იარაღი, ძველი სამკაული, ძველი ფულები, ეტონები, სურათები, ნახატები, მხატვრული ნაწარმოებები. ამ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხატვრული და ისტორიული

მნიშვნელობის ნივთების მუზეუმში თავმოყრის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს გადაწყვეტილებით საქართველოს მუზეუმის შენობაში თავი უნდა მოეყარა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმების მასალებსაც. ამ მასალების ერთ შენობაში მოთავსება კი მუზეუმის გაფართოებას მოითხოვდა. დაიწყო სამუშაოები მთავარი კორპუსის სამხრეთი და ჩრდილოეთი ფრთის სასწრაფოდ დამთავრებისათვის და ფასადის მოსაპირკეთებლად. გადაწყდა შენობის ფასადის გაფორმების, ქართულ ეროვნულ არქიტექტურასთან მიახლოების საკითხი [სცი არქივი 1935]. სამწუხაროდ შემდგომმა ტრაგიკულმა პოლიტიკურმა ბატალიებმა კიდევ რამდენიმე წლით შეაფერხა მუზეუმის შენობის დასრულება. ახალგაზრდა ეროვნულ მთავრობას არ დასცალდა მუზეუმისათვის ნორმალური ფუნქციონირების და განვითარების პირობების შექმნა, რადგან საქართველო საბჭოთა რუსეთის მხრიდან დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმ-

დეგ განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ საქართველოს მთავრობას გადააწყვეტინა თბილისიდან ხაზინისა და სამუზეუმო ძვირფასეულობის გაგზავნა. თავიდან საგანძური ქუთაისის ხაზინაში დაბინავდა. აქ თავი მოიყარა საქართველოს მუზეუმებიდან და ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანილმა ძვირფასეულობამ. საჩქაროდ შეკრებილი დიდძალი განძეულობა მოითხოვდა დახარისხებას, აღწერას და სათანადო ყუთებში მოთავსებას. ამ საქმეს მთელი დღე და ღამე მოანდომეს საქართველოს საეთნოგრაფიო მუზეუმის გამგემ ექ. თაყაიშვილმა, მთავრობის მხრიდან ძვირფასეულობის მეთვალყურედ დანიშნულმა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ი. ელიგულაშვილმა, განათლების მინისტრმა დავით კანდელაკმა და თბილისის ხაზინის გამგემ ი. ბეკმა. წითელი არმიის მიერ თბილისის დაკავების შემდეგ, მდგომარეობის უარესად დაძაბვის გამო, საჭირო გახდა ქუთაისის სასწრაფოდ დატოვება. მთავრობამ ახალ რეზიდენციად ბათუმი შეარჩია და გადაწყვიტა

საეკლესიო ძვირფასეულობისა და სამუზეუმო საგანძურის იქ გადაეტანა [ჩხაიძე 2003: 237]. როგორც ემიგრაციიდან დაბრუნებული ექ. თაყაიშვილი თავის მოგონებებში წერდა მუზეუმის უძვირფასესი საგნების საზღვარგარეთ გატანა დაგეგმილი არ იყო, ისინი ქუთაისის ხაზინაში უნდა დატოვებაინათ. „თბილისის დატოვებაზე რომ შეიქმნა ლაპარაკი, ნ. ჟორდანიამ თქვა: განძეულობა სულ ქუთაისში გადავიტანოთ და სულ ბოლოს ჩვენ წავალთ, რითაც მოგვიხერხდებაო ... საზღვარგარეთ გაგზავნაზე არც კი გვიფიქრია და არც სიტყვა დაუძრავს ვისმე“ [თაყაიშვილი 1968: 345]. ქუთაისის ხაზინიდან ბათუმში ასეთი ძვირფასი ტვირთის გადატანისას გარკვეული სიძნელეები შეიქმნა. სადგურში დაიკარგა ყველაზე ძვირფასი ნივთების ყუთი, (რომელიც შემდეგ იქნა ნაპოვნი), მაგრამ სამწუხაროდ არც ბათუმი აღმოჩნდა უსაფრთხო ადგილი, ამიტომ ამიერკავკასიაში საფრანგეთის წარმომადგენლის აბელ შევალიეს რჩევით საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილე-

ბა განძეულობა საფრანგეთში გაეხიზნა და თვითონაც იქ გადასულიყო. განძეულს მცველად ექ. თაყაიშვილი გააყოლეს, ხოლო მთავრობის მხრიდან განძის მეთვალყურედ ი. ელიგულაშვილი დარჩა. საფრანგეთში ჩატანილი ნივთები და მათ შორის ისეთები, რომელთაც ისტორიის, არქეოლოგიის, თუ ხელოვნების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აღინუსხა, შედგა სია, ჩალაგდა ყუთებში და დაიბეჭდა მთავრობის ბეჭდით, შემდეგ კი ჩაბარდა საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას შესანახად მთავრობის წარმომადგენლის მინისტრის აკაკი ჩხენკელის სახელზე [ჩხაიძე 2003: 238-239]. 39 ყუთი, რომელშიც მოთავსებული იყო სამუზეუმო განძეულობა 13 წლის განმავლობაში ინახებოდა საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში. მოგვიანებით 1934 წელს გადაიტანეს პარიზში და დააწყვეს ბანკის მთავარ შენობაში. თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში განძეულის მცველი ექ. თაყაიშვილი მრავალი ფათერაკის-

გან იცავდა სამუზეუმო განძს. მიუხედავად მრავალი გასაჭირისა და ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმისა მან პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნის და ერის წინაშე, ეროვნული განძეულის ეპოპეა კეთილად დაასრულა და 23 წლის შემდეგ ის საქართველოში დააბრუნა.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განვითარებული მოვლენები 1921 წლის არეულობა, ომი და უწესრიგობა მკვეთრად აისახა მუზეუმზე და მის საქმიანობაზე. ძნელი იყო ექსტრემალურ სიტუაციაში გარკვევა. მუზეუმის თანამშრომელთა ნაწილი ფრონტზე აღმოჩნდა გაწვეული, საერთო სიდუხჭირის და სიღარიბის პირობებში მძიმე იყო მუზეუმში დარჩენილი თანამშრომლების მატერიალური მდგომარეობაც. მუზეუმი უბინაობას, უსახსრობას განიცდიდა. ხელისუფლების ცვლის კატაკლიზმებმა უდიდესი საფრთხე შე-

უქმნა იქ დაცულ ეროვნულ განძეულობას, რომელთა საუკეთესო ნაწილი როგორც აღინიშნა საქართველოს ხაზინასთან ერთად საზღვარგარეთ იქნა გატანილი. დარჩენილი ექსპონატები და წიგნები კი ყუთებში ელაგა და მოუველელი იყო. სირთულეები შეიქმნა ფონდების მოელა-პატრონობის მხრივაც. ნივთები ზიანდებოდა, საჭიროებდა გაშლას, დახარისხებას და განიავებას. 1921 წლიდან შეწყდა საქართველოს მუზეუმის ყოველგვარი ურთიერთობა და კავშირი საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან და ცენტრებთან. ახალი ხელისუფლება შეეცადა ხელში აეღო და გაეკონტროლებინა ის, რაც დარჩა მუზეუმში. ამ მძიმე პერიოდში მუზეუმის მუშაობას სამეცნიერო საბჭო ხელმძღვანელობდა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე [სსმ არქივი 1921]. 1922 წელს განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებულებით, სამეცნიერო საბჭო გაუქმდა და მის ნაცვლად მუზეუმის სახელმძღვანელო სამეცნიერო კოლეგია დაარსდა

რომლის ხელმძღვანელად ალ. ნათიშვილი დაინიშნა, ხოლო წევრები იყვნენ ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. ქურდიანი, ნ. ყიფიანი. სამეცნიერო კოლეგიას დაევალა მუზეუმის ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა და სამეცნიერო სამუშაოების ხელმძღვანელობა [სუი არქივი 300], მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო კოლეგია არაქმედითუნარიანი გამოდგა. ახალ პირობებში ხელისუფლებამ მუზეუმს და ბიბლიოთეკას მეზობლად მდებარე სათავადაზნაურო ბანკის შენობა გადასცა [სსმ არქივი 1923]. თანხების დაზოგვის მიზნით მოხდა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებების გაერთიანება. ასევე მიიღეს რიგი დადგენილებები მათ შორის „სიძველეებისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ", „სამეგრელოში მუზეუმის შექმნის შესახებ" [მოამბე შ.ს.კ 1922; Ревкомы Грузии, 1963: 412], გამოიცა დეკრეტი: „რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კულტურის საგნების გატანის აკრძალვის შესახებ [სუი არქივი 281]. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიღებული დადგენილება „საქართველოსთვის საარქივო მასალის და სამუზეუმო განძეულობათა დაბრუნების შესახებ“. ეს დადგენილება მიღებულ იქნა მას შემდეგ რაც საქართველოს მთავრობამ რუსეთის მუზეუმებსა და საცავებში არსებული ქართულ სიძველეთა სამშობლოში დაბრუნების საკითხი დააყენა. შედგა კომისია, რომელმაც საქართველოდან რუსეთში სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო და საარქივო მასალები ორ ჯგუფად დაყო. პირველ ჯგუფს მიეკუთვნა ის სიძველენი, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს იქნა ევაკუირებული საქართველოდან ჩრდილო კავკასიის ქალაქებში (ეკატერინოდარში, სტავროპოლში და სხვა ქალაქებში). მეორე ჯგუფში შევიდა ნივთები და დოკუმენტები, რომლებიც ბოლო ასი წლის განმავლობაში სხვადასხვა გზით მოხვდა მოსკოვსა და პეტერბურგის მუზეუმებსა და არქივებში [სუი არქივი 300]. საქართველოსთვის კუთვნილი სიძველეე-

ბის დაბრუნების გადაწყვეტილებებს რუსეთის სამეცნიერო წრეებში პროტესტი მოჰყვა. შ. ამირანაშვილის ცნობით განსაკუთრებით აქტიურობდნენ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, „როგორც ნ. მარისა და ს. ოლდენბურგის წერილობითი განცხადებებიდან ჩანს, ისინი არ ცნობდნენ საქართველოს სიძველეთა და ისტორიულ ფასეულობათა უკან დაბრუნების უფლებას“ წერდა ის. მათ ბევრი რუსი მეცნიერი თანაუგრძნობდა. მოტივაციად მოყვანილი იყო ის, რომ „სამუზეუმო ნივთების ასეთმა გადაცემებმა რუსეთის საცავები შეიძლება ჩააყენოს კატასტროფულ მდგომარეობაშიო“ [სუი არქივი 600ა]. ძლიერი არგუმენტები გააჩნდა ქართულ მხარესაც. საკითხის დამატებითი განხილვის შედეგად „რუსული მეცნიერებისთვის ზიანის მიუყენებლად“ ქართულ მხარეს უნდა გადაცემოდა მისი კუთვნილი სიძველეები, მაგრამ დადგენილებას დაემატა წინადადება „იმ სიძველეთა გარდა, რომლებსაც აქვთ მსოფლიო მნიშვნელობა და შესულია სამეცნიერო ბრუნ-

ვაში“ [სუი არქივი 300ა]. მიღწეული შეთანხმების თანახმად მოსკოვის მუზეუმებში დაცული ქართული სიძველეები დაუყონებლივ, უდავოდ და სრულად უნდა დაბრუნებოდა საქართველოს. ხოლო პეტროგრადის მუზეუმებიდან პირველ რიგში უნდა გადმოსცემოდა ყველა უნიკუმი, პეტროგრადში კი უნდა დარჩენილიყო ის ძეგლები, რომლის მსგავსი მოიპოვებოდა საქართველოს მუზეუმებში [ჩხაიძე 2003: 249]. 1923 წლის იანვრიდან დაიწყო ქართული სიძველეების დაბრუნება საქართველოში. სიძველეთა გადმოტანა უტრანსპორტობის გამო განსაკუთრებით გაძნელდა ჩრდილოეთ კავკასიიდან. ამ საკითხის მოგვარება დაეკალა ცენტრალური არქივის ხელმძღვანელს სარგის კაკაბაძეს რომელმაც მოიარა ჩრდილოეთ კავკასიაში ყველა პუნქტი, სადაც კი მოთავსებული იყო საქართველოდან გატანილი საარქივო და სამუზეუმო მასალა. მთლიანად შეკრიბილი მასალა 11 ვაგონში ჩალაგდა და თბილისში გამოიგზავნა, მათ შორის ერთი სპეციალური დიდი ზომის

ვაგონი სამუზეუმო მასალას და სურათებს ეკავა. სამწუხაროდ ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ნივთები ვერ მოხვდა ამ ნივთებში, რადგან ისინი უკვე მოსკოვსა და რუსეთის სხვა მუზეუმებში აღმოჩნდა გაგზავნილი. ასევე გამოგზავნილი იქნა ე.წ. „დიდების ტაძრის“ ექსპონატებიც [სუი არქივი 300ბ]. ეს მასალები განაწილდა თბილისის მუზეუმებს, სამხატვრო გალერეასა და ცენტრალურ არქივს შორის. მუზეუმთან აღდგა ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის საგნების შესაძენი ფონდიც [სსმ არქივი, 1921ა]. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებიდან მუზეუმში აშკარა იყო პოლიტიკური ზეწოლის ნიშნები. 1923 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანებით, სამუზეუმო საქმის მოსაგვარებლად, განათლების კომისარიატთან შეიქმნა სპეციალური კომისია. ამავე წლის დადგენილებით უნდა მომხდარიყო მუზეუმების რეორგანიზაცია, რის მიხედვითაც თბილისში არსებული სამუზეუმო ფონდების, ეკლესიებისათვის ჩა-

მორთმეული კოლექციებისა და რუსეთიდან რეევაკუაციის წესით მიღებული სამუზეუმო ნივთების მოსათავსებლად უნდა დაარსებულიყო ახალი საბუნებისმეტყველო და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმები „საბუნებისმეტყველო მუზეუმი გამოყოფილ იქნას საქართველოს ახლანდელ მუზეუმიდან, ხოლო საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი შევსებულ იქნას საქართველოს მუზეუმიდან გამოყოფილი საისტორიო-საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო განყოფილების კოლექციებით“ [სუი არქივი 600ბ]. ეს დადგენილება ფაქტიურად მუზეუმის დაშლას ითვალისწინებდა, მას ხელიდან ეცლებოდა საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიული კოლექციები. ამიტომ მუზეუმს საკმაოდ მკაცრი რეაქცია ჰქონდა ამ დადგენილების მიმართ. საგანგებოდ მოწვეულ იქნა მუზეუმის სამეცნიერო საბჭო ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. საბჭომ მიზანშეუწონლად მიიჩნია ეს რეორგანიზაცია და მოითხოვა იმ მიზეზების გარკვევა, რა მიზეზების გამოც დაუპირეს საქართველოს

მუზეუმს მოსპობა. ამ პროტესტის გამო აღნიშ-ნული დადგენილება საბედნიეროდ ვერ განხორციელდა. ამის გარდა იმ პერიოდში არ არსებობდა სათანადო შენობები ახალი მუზეუმებისათვის, ახალი შენობის მიღების შესაძლებლობა მხოლოდ საქართველოს სახ. მუზეუმს გააჩნდა, ამიტომ დადგა საპირისპირო საკითხი, საქართველოს სახ. მუზეუმიდან სხვა უჯრედების გამოყოფის ნაცვლად, აქ მომხდარიყო მთელი რესპუბლიკის სამუზეუმო კოლექციების თავმოყრა, ცენტრალიზაცია [ჩხაიძე 2003: 253]. ამის გამო მთავრობამ საქართველოს მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობის საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო და სამშენებლო სამუშაოები საკმაო ტემპით განახლდა. მოხერხდა მუზეუმის ახალი, მთავარი შენობის სამხრეთის და ჩრდილოეთის ფრთების მშენებლობის დასრულება. დამთავრდა საგამოფენო კორპუსის ცოკოლის და პირველი სართულის სამშენებლო სამუშაოებიც. მუზეუმის გაფართოებამ მუშაობის ახალი პერსპექტივები შექმნა. თოთხმეტი

წლის იძულებითი უმოქმედობის შემდეგ მუ-
ზეუმმა დაიწყო თავისი ერთ-ერთი მთავარი
ფუნქციის საგამოფენო სამუშაოების შესრულე-
ბა. პირველი ექსპოზიცია რომელიც მოეწყო
იყო „ზოოლოგიური ექსპოზიცია“, რომლის
პირველი ნაწილი 1923 წელს მუზეუმის ახალი
შენობის სამხრეთი ფრთის დარბაზში გაიხსნა
(ხელ. თ. ჩხიკვიშვილი). ეს იყო წინანამორბედ
ექსპოზიციებთან შედარებით უფრო გაფართოე-
ბული და გაუმჯობესებული ექსპოზიცია, სა-
დაც ათი ბიოლოგიური ჯგუფის სახით წარ-
მოდგენილი იყო საქართველოს ფაუნის მთავა-
რი წარმომადგენლები. სხვა ექსპონატებთან ერ-
თად წარმოდგენილი იყო 1922 წელს კარლ
კრელის მიერ მაღალხარისხიანად დამზადებუ-
ლი ვეფხვის ფიტული. ზოოლოგიურ გამოფე-
ნასთან ერთად მუზეუმის ახალი შენობის
ჩრდილოეთ ნაწილში გ. ჩიტაიას ხელმძღვანე-
ლობით მოეწყო ეთნოგრაფიული გამოფენა,
კომპლექსი „გლეხის დარბაზი“. ამავე წელს
მუზეუმმა მიიღო მოწვევა მოსკოვის სახალხო

მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად, სადაც ექსპონირებული იქნებოდა ქართველი გლეხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები. დამუშავდა გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექციები, რომლებიც ჭოროხის აუზის, გურიის, სვანეთის, ჭიათურის და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში წარმოებული ექსპედიციების დროს იყო მოპოვებული. დაიწყო თბილისის მიდამოების გეოლოგიური სისტემური შესწავლა, რითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს გეოლოგიის სისტემურ კვლევას. მუზეუმის ფონდები გამდიდრდა პალეონტოლოგიური, პეტროგრაფიული და ორნითოლოგიური მასალებით. მოწესრიგდა ჰერბარიუმი, შედგა კატალოგი, მოეწყო ორნითოლოგიური კაბინეტი, შედგა ქართული კოსტიუმის კატალოგი, მუზეუმში შემოვიდა ათასამდე ეთნოგრაფიული ნივთი [ჩხაიძე 2003: 257-258]. სამუზეუმო ნივთებისათვის დამზადდა სათანადო ჭურჭელი, თაროები, ინვენტარი. მუზეუმის მცი-

რე საბჭოს გადაწყვეტილებით ნივთს ახალ საფონდო ოთახში გადატანამდე უნდა ჩატარებოდა დეზინფექცია, ამიტომ სამუზეუმო ექსპონატების დაცვისათვის მუზეუმი დაჟინებით მოითხოვდა სადეზინფექციო საშუალებებს მასალების შესაწამლად, ნაფტალინს, მორბანის ზეთს, ბრომეთილის ხსნარს, სპირტს და სხვა [სსმ არქივი 1923ა]. განათლების მინისტრის 1924 წლის დადგენილებით, რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობასთან დაარსდა მისი ქვემდებარე „სიძველეთა და ხელოვნების დაცვის განყოფილება“, რომლის გამგედ დაინიშნა ს. კაკაბაძე, წევრებად კი საქართველოს მუზეუმის დირექტორი ნ. ყიფიანი, საისტორიო საზოგადოების მუზეუმის დირექტორი ს. გორგაძე, ეროვნული სამხატვრო გალერეის დირექტორი დ. შევარდნაძე და უნივერსიტეტის პროფესორი გ. ჩუბინაშვილი [ჩხაიძე 2003: 252]. 1924-1926წწ-ში მუზეუმში შემოწირულობების სახით შევიდა: საბრძოლო იარაღები, მუსიკალური საკრავები, ვერცხლის და ოქ-

როსგან დამზადებული საყოფაცხოვრებო ჭურ-ჭელი, მანანა ორბელიანისეული ბროწეულის ყვავილის მოყვანილობის ოქროთი, ალმასებით და მარგალიტებით შემკული ყელსაბამი (ფარ-ღული), ბარბარე ერისთავის მიერ შემოწირული ქსნის ერისთაველების საგვარეულოს ძვირფას ყდაში ჩასმული თერთმეტი სასულიერო და საერო წიგნი. შესყიდულ იქნა ვახტანგ მეფის კანონთა კრებული, თამარიანი, კონდაკი, ფსალ-მუნი, დაფარნა (ბარძიმის დასაფენი), სპარსული ვაზა, მონეტები [სსმ არქივი 1921ბ]. განათლების კომისარიატისაგან მუზეუმში შევიდა ვერცხ-ლის ჭურჭელი, საომარი და სამეურნეო იარა-ღი, ეთნოგრაფიული ტანსაცმელი, ხალიჩები და სხვა [საქ. მუზეუმის საკ. დავთარი 1922-1928: 22-54]. შეიძინეს გუმბრის მახლობლად აღმოჩენი-ლი პალეონტოლოგიური მასალა, სამხრეთის სპილოს ეშვი და კბილი. დაიწყო შემოსული ნივთების აღრიცხვიანობის მოწესრიგება. შემოღებულ იქნა საინვენტარო წიგნი, რომელ-შიც იწერებოდა ნივთის საკოლექციო ნომერი,

შემოსვლის თარიღი, აღწერილობა, ფასი. მიიღეს მუზეუმის (განსაკუთრებით კი ყოფილი კავკასიის მუზეუმის) ექსპონატების ეტიკეტების გადმოქართულების გადაწყვეტილება. 1925 წლიდან დაიწყო ერთი მხრივ ფონდებში დაცული არქეოლოგიური მასალის სისტემატიზაცია და მეორე მხრივ არქეოლოგიური გათხრების საშუალებით ახალი მასალების მოპოვება. 1926 წელს მუზეუმის დირაქტორის თანამდებობაზე ნოე ყიფიანი ნატურალისტმა და გეოლოგმა ალექსანდრე ჯანელიძემ შეცვალა, რომლის შემდეგ მუზეუმის დირექტორებად ადამიანები ძირითადად პარტიული ნიშნით ინიშნებოდნენ [ჩხაიძე 2993: 261]. ხელისუფლება თანდათან უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა მუზეუმის პრობლემების გადაჭრას. იზრდებოდა მუზეუმის მუშაკთა რიცხვი, დაფინანსება, მყარი საფუძველი ექმნებოდა მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რამაც გამოაცოცხლა მუშაობა. მუზეუმმა საქართველოს ბევრ კუთხეში მოაწყო ექსპედიციები. 1926 წელს ხევსურეთში ჩატარდა ექს-

პედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ გ. ნიორაძე, გ. ჩიტაია, ი. შარლემანი და დ. ციციშვილი. სამუშაოები ჩატარდა ბარისახოში, ლიქოვში, ხახმატში, ღულში, შატილში, ახიელში, რის შედეგადაც მუზეუმში შემოვიდა 435 ერთეული ეთნოგრაფიული ნივთი: სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, ავეჯი, გადასაზიდი საშუალებები, სამკაული და სხვა. 1927-1929წწ-ში ზოოლოგიური განყოფილების თანამშრომლები მუშაობდნენ ალაზნის ველზე, დედოფლისწყაროსა და სოფ. შილდის მიდამოებში. ბოტანიკურმა განყოფილებამ ექსპედიცია მოაწყო თელეთის ველზე, კოჯორსა და ქოროღლის მიდამოებში, თეძამსა და ბორჯომის ხეობებში. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპედიციები ჩატარდა მცხეთაში, ზემო რაჭაში, მთიან ქართლში, მდ. ჩხერიმელას სანაპიროსთან „დევის ხვრელის“ გამოქვაბულში. გაითხარა ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი [ჯანელიძე 1928: 375]. ოციანი წლების ბოლო

პერიოდი მეტად მშფოთვარე გამოდგა მუზეუ-
მისთვის. ძველი მუზეუმები (წერა-კითხვის გა-
მავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო-სა-
ეთნოგრაფიო საზოგადოების, საეკლესიო, სა-
სოფლო-სამეურნეო, ბორჯომის დენდროლოგიუ-
რი, უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტთან
არსებული ქართული ხელოვნების მუზეუმი,
ფოტოთეკა 40 ათასი ნეგატივით, პედაგოგიური,
ბოტანიკური ბაღის და სხვა) უბინაობის გამო
მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ამიტომ
მთავრობამ დახურა ისინი. მათი კოლექციები
კი საქართველოს სახ. მუზეუმს გადაეცა. მიღე-
ბული კოლექციების დაბინავების შემდეგ დაიწ-
ყო მზადება გამოფენების მოსაწყობად, ამისათ-
ვის მთავრობამ მუზეუმს 50000 მანეთი გამოუ-
ყო. ამ თანხის 50% არქეოლოგიურ-ეთნოგრაფი-
ულ განყოფილებას უნდა მოხმარებოდა, 30%
ზოოლოგიურს, ხოლო 20% გეოლოგიურს [სმმ
1928: 355]. 1927 წელს განცალკევდა არქეოლო-
გიის და ეთნოგრაფიის განყოფილებები. ამავე
წელს მუზეუმის ჩრდილოეთ ნაწილში, აუდიტო-

რიის ზემოთ არსებულ ოთახებში მოეწყო ყოფისა და წარმოების პრინციპზე აგებული ხევსურეთისა და ფშავის ამსახველი ეთნოგრაფიული გამოფენა. არქეოლოგიური განყოფილება მუშაობდა ზემო-ავჭალის სამარხის გამოსაფენად. ხდებოდა ახალი და ძველი კოლექციების აღწერა, შედგა ახალი კატალოგი. კოლექციებს შეემატა ექსკურსიების დროს გამოვლენილი, დაწესებულებებისა და სხვადასხვა პიროვნებებისაგან შემოწირული და შეძენილი 1072 ნივთი, ასევე ახალციხის მუზეუმის კოლექცია და მონეტები [სმმ 1928: 355-357]. მუზეუმის მთავარ საზრუნავად ისევ რჩებოდა რუსთაველის გამზირზე მთავარი საგამოფენო კორპუსის დამთავრება, რის შედეგადაც უკვე არსებული შენობის ჩრდილოეთის და სამხრეთის ფრთები შეერთდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მინარეთის მსგავსი კოშკებიანი, სპარსულ სტილში გადაწყვეტილი მუზეუმის ფასადის გადაკეთებას [ჩხაიძე 2003: 265]. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას კონტროლს და დახმა-

რებას საქართველოს მთავრობა უწევდა, მისი წევრები უშუალოდ იყვნენ ჩართული მუშაობის პროცესში. 1928 წელს სახალხო კომისარიატთა საბჭომ დაამტკიცა ნ. სევეროვის მიერ წარმოდგენილი მუზეუმის შენობის ფასადის ჩასწორებული და გაუმჯობესებული პროექტი, როგორც საბოლოო დოკუმენტი და მუზეუმის შენობის დამამთავრებელი სამუშაოები ჩქარი ტემპით წარიმართა. 1929 წლის გაზაფხულზე მშენებლობა დასრულდა. მრავალი წლის შრომისა და ძალისხმევის შედეგად საბოლოოდ დედაქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირის გასწვრივ ნ. ვაჩნაძის და ა. ფურცელაძის ქუჩებს შორის აღიმართა საქართველოს მთავარი მუზეუმის შენობა, რომელიც თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო და ღირშესანიშნავი ნაგებობა გახდა. ახალი საგამოფენო კორპუსის მარჯვენა მხარეს მდებარე დარბაზები ჰუმანიტარულმა განყოფილებამ დაიკავა, ქვედა სართული არქეოლოგიამ, ზედა კი ეთნოგრაფიამ. შენობის ამავე ნაწილში განთავსდა წიგნსაცავი. მარცხენა

მხარე და ფლიგელის დარბაზები საბუნების-მეტყველო - ზოოლოგიის, გეოლოგიის და ბოტანიკის განყოფილებებმა დაიკავა. საისტორიო-საეთნოგრაფიო ფონდის კოლექციებს მუზეუმის ძველი შენობის მეორე და მესამე სართული დაეთმო. საუკეთესო საგამოფენო ჭურჭელი რკინისა და სარკის მინისაგან აგებულ სამუზეუმო კარადებში განთავსდა. ასეთი კარადები სრულად აკმაყოფილებდა მოთხოვნებს (შუქისათვის მაქსიმალურად თავისუფალი არე, კოლექციების მავნებლებისაგან დაცვა) და ადვილად ეგუებოდა საექსპოზიციო არქიტექტონიკას [სმმ 1928: 355]. 1929 წელს შეიქმნა ხელნაწერების და ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილებები. ყოველივე ამან უკეთესობისაკენ შეცვალა მუზეუმის საქმიანობა და ახალი მიმართულება მისცა მის დანიშნულებას. თუ ადრე მუშაობა ძირითადად მოძიებით-შეემგროვებლობითი და სამეცნიერო საქმიანობით შემოიფარგლებოდა, ახალი შენობის მწყობრში ჩადგომის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საგამოფენო სა-

მუშაოთა ფართოდ გაშლის ამოცანა, ახალი ექსპოზიციის მოწყობა. თუმცა ამ ამოცანის გადაჭრა მარტივი არ იყო, რადგან სამუზეუმო საქმის განვითარებაზე, კერძოდ კი გამოფენების ხასიათზე, მათ იდეურ და გარეგან სახეზე დიდ გავლენას ახდენდა ქვეყანაში არსებული მარქსისტული იდეოლოგია. სამწუხაროდ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის დამკვიდრების შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა მეცნიერული კვლევის მეთოდებსა და ფორმებში, რამაც ძირფესვიანად შეცვალა მუზეუმის საქმიანობა. მუზეუმს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ხელისუფლების დაკვეთა და ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოთხოვნილებები. მაგალითად ზოგადისტორიულ განყოფილებას უნდა ჩაება მასები სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში, შეეიარაღებინა დრომოჭმულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებთან და კლასებთან აქტიური ბრძოლისათვის, ეჩვენებინა მასებისათვის მთლიანი ისტორიული განვითარების პროცესი.

საბუნებისმეტყველო განყოფილებას მიზნად ახალი ტექნიკურ-ეკონომიკური ამოცანები დაუსახეს. ანუ ქვეყნის საწარმოო ძალების ჩვენება და მათი დაკავშირება სამეურნეო აღმშენებლობასთან [სსმმ 1933: 337]. ხშირად ხელისუფლების ამ დაკვეთის გათვალისწინება ვერ ხერხდებოდა, რასაც მუზეუმის ბევრი თანამშრომელი ეწირებოდა. ამ ფაქტს ნათლად ასახავს მუზეუმის ოთხი დირექტორის „მავნებლად" გამოცხადება, მაგრამ მიუხედავად ასეთი ზეწოლისა მუზეუმი მაინც ახერხებდა აქტიურ მუშაობას. საგამოფენო საქმიანობის ახალი მეთოდების გასაცნობად მუზეუმის მუშაკები მივლინებით მიემგზავრებოდნენ საბჭოთა კავშირის დიდ სამუზეუმო ცენტრებში კიევში, ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში. მას მერე რაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს სხვა სამუზეუმო დაწესებულებების კოლექციები შეუერთდა ის რეალურად სამუზეუმო მასალათა თავმოყრისა და დაცვის ცენტრად იქცა. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით „წინადადება მიეცა ყველა

სახელმწიფო ორგანოს, ვის განკარგულებაშიც რაიმე სამხატვრო კოლექცია ან მხატვრული მნიშვნელობის ცალკე ნივთი იყო გადაეცათ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატისთვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოსათავსებლად [სუი არქივი 600]. დიდძალი სამუზეუმო მასალების მიღებამ გაზარდა საქართველოს მუზეუმი და მას უფრო გამოკვეთილი, დიფერენცირებული სახე მისცა. 1927-1929წწ-ში მუზეუმში ხუთი განყოფილება იყო: ზოოლოგიის, ბოტანიკის, გეოლოგიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის. თითოეულ განყოფილებას ჰქონდა საკვლევი ლაბორატორია და საჯარო გამოფენა. ფუნქციონირებდა ფოტოგრაფიული, ტაქსიდერმული და ფიზიკურ-ქიმიური სარესტავრაციო ლაბორატორიები, ამ უკანასკნელს მუზეუმის დირექტორი ან. კაკაბაძე ხელმძღვანელობდა. ფონდებში თავმოყრილიმა უმდიდრესმა მასალამ, საშუალება შექმნა უფრო მეტად გაფართოებულიყო საექსპოზიციო სამუშაოები. არსებული მოთხოვნების მიხედვით უნდა

მოწყობილიყო საწარმოო მიზნობრივი გამოფენები სადაც კომპლექსები გეოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური ლანდშაფტის მიხედვით იქნებოდა წარმოჩენილი. ნაჩვენები უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთის და ბარის მოსახლეობის მატერიალური კულტურის, ყოფის ამსახველი მასალა. შეზღუდული დაფინანსების გამო პირველ რიგში ის კოლექციები უნდა გამოფენილიყო, რომლებიც რესპუბლიკის შინამრეწველობას, ნედლეულის და წარმოების ეკონომიკური გამოყენების საკითხს უკავშირდებოდა. მუზეუმში ეწყობოდა დროებითი გამოფენებიც: ანტირელიგიური, ქალის შრომა კერძო და კოლექტიურ მეურნეობაში, ტიპიური კოლმეურნეობა, საქართველოს და მეზობელი რესპუბლიკების ფაუნა და სხვა [სმმ 1930: 324]. 1929 წელს ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა განყოფილებამ ახალი კორპუსის მეორე სართულზე მოაწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ისტორიული ხასიათის ნივთები და ქართული

ხელსაქმის ექსპონატები. 1927-1930წწ-ში პროფ. ი. ჩხიკვიშვილის ხელმძღვანელობით მოხდა ზოოლოგიური გამოფენის რეექსპოზიცია. გამოფენაში ჩაირთო კავკასიის მუზეუმის ძველი, რადესეული ზოოლოგიური ექსპონატები. ექსპოზიცია ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრინციპით მოეწყო და ასახავდა საქართველოს თითქმის ყველა ლანდშაფტის ცხოველსა და ფრინველს. ცხოველები ბუნებრივ ეკოლოგიურ გარემოში იყო წარმოდგენილი. ხელოვნურ ლანდშაფტზე განლაგებული იყო ცხოველთა ფოტოები დამახასიათებელი მოძრაობით და გამომეტყველებით, რაც კედლებზე დახატული პეიზაჟების ფონზე მათი ცხოვრების ბუნებრივი სურათის შთაბეჭდილებას იძლეოდა. ექსპოზიციში ნაჩვენები იყო „საქართველოს სოფლის მეურნეობის სასარგებლო და მავნე ძუძუმწოვრები და ფრინველები“, მწერების, ფრინველების და მღრღნელების მორფოლოგია და მავნებლებთან ბრძოლის საშუალებები. გამოფენა 1972 წლამდე ფუნქციონირებდა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო

საბჭოთა კავშირში და საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა [ჩხაიძე 2003: 279[. 1929 წლიდან ასევე გააქტიურა სამუშაოები მუზეუმთან არსებულმა სიძველეთა და ბუნების ძეგლთა დაცვის კომიტეტმა, რომელსაც მუზეუმის დირექტორი თავმჯდომარეობდა. ამ კომიტეტის ძალისხმევით ბევრჯერ მოეწყო გასვლა ძეგლებზე და ჩატარდა შესწავლა-ფიქსაციის სამუშაოები, ხელნაწერებისათვის შეიძინეს ცეცხლგამძლე სეიფები. 1930 წელს მუზეუმში კონსერვატორის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო მ. ჯანაშვილმა. 1931 წელს მუზეუმის დირექტორად დაინიშნა ბ. ბიბინეიშვილი, რომელიც ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას. მუზეუმში გადაწყდა ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენის მოწყობა. ახალი საგამოფენო მასალის მოსაგროვებლად გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით ორჯერ მოეწყო ექსპედიცია ხევსურეთში. პროფ. ი. შარლემანის ესკიზებით გამოფენისათვის დამზადდა საჭირო ინვენტარი და ავეჯი, ამისათვის მუზეუმის ეზოშივე მოეწყო სა-

დურგლო სახელოსნო, რომელიც შემდგომშიც დიდხანს ფუნქციონირებდა. გამოყენებული იქნა კავკასიის მუზეუმის ძველი ვიტრინები და კარადები. ექსპოზიცია, რომელის საფუძველი ხევსურეთის მოსახლეობის შრომის, ყოფის და კულტურის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალის კომპლექსური ჩვენება გახდა 1931 წელს გაიხსნა და დაიკავა ახალი კორპუსის მესამე სართულის ორი დარბაზი. საგამოფენო დარბაზებში მოეწყო ნატურალური ზომის ხევსურული ბინის და სამლოცველო კოშკების (სასანთლო და საქურუმო) მოდელები, რომლებშიც მოთავსდა ტანსაცმელი, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, საყოფაცხოვრებო ნივთები, სამკაული, კერამიკა, ქსოვილები და სხვა. ნაჩვენები იყო საბჭოთა აღმშენებლობის მიღწევები ხევსურეთში [ჩხაიძე 2003: 272]. 1931 წელს ირ. სონღულაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა ექსპოზიცია „ქართული ტანსაცმელი“ და „ქართული ხელსაქმე“ (XVIII-XIXსს.). გამოფენისათვის ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა „გზა-

მკვლევი. ამავე წელს გეოლოგიურმა განყოფილებამ ალ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით, მოაწყო ექსპოზიცია „საქართველოს სასარგებლო მინერალური რესურსები“. ექსპოზიციის პირველ ნაწილში წარმოდგენილი იყო საქართველოში გამოკვლეული რესურსები, მათი ბუნების, ეკონომიური მახასიათებლების და პერსპექტივების ჩვენებით. მეორე ნაწილში კი დედამიწის ზედაპირის შექმნის ისტორია და კავკასიის ნიადაგის და მთის სახეობათა მიმოხილვა იყო ნაჩვენები [ჩხაიძე 2003: 279]. ამ ექსპოზიციით ისევ იკვეთებოდა ტენდენცია იმისა, რომ კომუნისტური რუსეთი პრიორიტეტულ მიმართულებად მის მოკავშირე ქვეყნებში ისევ ადგილობრივი რესურსების კვლევას ინარჩუნებდა. ხელნაწერთა განყოფილებასთან ფუნქციონირება დაიწყო ე.წ. „სეიფმა“, სადაც გამოფენილი იყო განსაკუთრეული მნიშვნელობის VI-XVსს-ის ხელნაწერები. ყველა ეს გამოფენა გააფორმა პროფ. ი. შარლემანმა, ხოლო ცალკეული სამხატვრო სამუშაოები შეასრულა რ. შმერლი-

ნგმა. გამოფენებს მრავალი დამთვალიერებელი ჰყავდათ. მუზეუმი პოლიტგანათლების ხაზითაც აწყობდა ზოოლოგიის, რელიგიის ისტორიის და პირველყოფილი ადამიანის კულტურის ამსახველ მოძრავ გამოფენებს. 1932 წელს გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპოზიცია „სვანეთის ეთნოგრაფია“, სადაც თანმიმდევრულად და კომპლექსურად იყო წარმოდგენილი მატერიალური კულტურა, მეურნეობა, რელიგიური და სოციალური გადმონაშთები და მათი სპეციფიკა. ექსპონატები დაჯგუფებული იყო საცხოვრებელი, თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობათა დიორამების გარშემო. ვრცლად იყო წარმოდგენილი ახალი ყოფა და კულტურა, ის ცვლილებები, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ხდებოდა სვანეთის ყოფასა და კულტურაში. ამგვარი გამოფენები სიახლე იყო არა მხოლოდ საქართველოში არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ხევსურეთის და სვანეთის გამოფენები რიგი ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიერ მოპოვებული და მუზეუმში

თავმოყრილი მასალების საფუძველზე მოეწყო. ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების დასამუშავებლად ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგად მოხერხდა ეჩვენებინათ საქართველოს მთიანეთის ძველი ყოფისა და კულტურის თავისებურება. ეს იყო საქართველოში მეცნიერულ საფუძველზე აგებული პირველი ეთნოგრაფიული ექსპოზიციები [ბოლქვაძე 1974: 162-163]. მუზეუმში თავმოყრილი ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური მასალის სიუხვემ აუცილებელი გახადა ცალკე გამოყოფილიყო ეთნოგრაფიული განყოფილება და ნუმიზმატიკური კაბინეტი. ასევე შეიქმნა ხელოვნების და ისტორიის განყოფილება გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი როგორც მაშინ ყველა სხვა დაწესებულება ჩაბმული იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელშიც ის ლენინგრადის კულტურის ისტორიის აკადემიამ გამოიწვია. თავის მხრივ საქართველოს მუზეუმს სოციალისტურ შეჯიბრებაში სომხეთის

და აზერბაიჯანის მუზეუმები ჰყავდა გამოწვეული [ჩხაიძე 2003: 281]. 1932 წლის ბოლოს საქართველოს მუზეუმის სტრუქტურაში ცხრა განყოფილება იყო: გეოლოგიის, ბოტანკის, ზოოლოგიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ხელოვნების, ისტორიის, ხელნაწერთა, ფოლკლორის. განყოფილებებთან ჩამოყალიბებული იყო სამეცნიერო სექციები. ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, ნუმიზმატიკური კაბინეტი და სამი ლაბორატორია: ქიმიურ-სარესტავრაციო, სადურგლო და ფოტო-ლაბორატორია. ეს იყო მრავალპროფილიანი დაწესებულება, სადაც წარმატებით ხორციელდებოდა სამუზეუმო სამუშაოები საფონდო, საგამოფენო, მოძიებითი და სამეცნიერო მიმართულებით. არქეოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა გ. ნიორაძე, ეთნოგრაფიულს გ. ჩიტაია, ხოლო ფოლკლორის ვ. კოტეტიშვილი. მუზეუმმა ურთიერთობა დაამყარა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ყოველწლიურად აფართოებდა საქმიან კავშირებს მსოფლიოს სხვადასხვა ანალო-

გიურ სამეცნიერო დაწესებულებებთან. იღებდა კორესპონდენციებს, სამეცნიერო გამოცემებს და თვითონაც უგზავნიდა მუზეუმის შრომებს. ამ ურთიერთობების შედეგად მუზეუმმა საზღვარგარეთ გაშალა საგამოფენო სამუშაოები. 1930 წელს იელის-ოქტომბერში გერმანიის ქალაქებში ბერლინში, კიოლნში, ნიუნბერგსა და მიუნჰენში გ. ჩუბინაშვილის და შ. ნუცუბიძის თაოსნობით ექვსი თვის ვადით მოეწყო ძველი ქართული ხელოვნების ძეგლთა გამოფენა (IV–XVIIIსს.). გამოფენის სათაური იყო „ქართული ხელოვნება“. მდიდარი საგამოფენო კოლექცია შეიცავდა ხუროთმოძღვრულ, კედლის მხატვრობის, ხელოვნების, მინიატურების ნაკრებს. სპეციალურად დამზადდა ქართული ფრესკის პირები, რომლებიც შემდგომში ისტორიის განყოფილების ფონდებს გადაეცა. გერმანულ ენაზე გამოიცა კატალოგი. ამ ახლო კავშირების შედეგი იყო რომაულ-ბიზანტიური არქეოლოგიის ცნობილი სპეციალისტის დოქტორ შნაიდერის ჩამოსვლა საქართველოში, რომელიც ადრე

კუნძულ სამოსზე, იუდეაში აწარმოებდა გათხრებს. 1930-1931წწ. დეკემბერ-იანვარში მან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ორი ასპირანტის ლ. მუსხელიშვილის და გ. გოზალიშვილის თანამშრომლობით საცდელი გათხრები ჩაატარა ნოქალაქევში (ძველი არქეოპოლისი). გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები მუზეუმში შემოვიდა და მოკლე ანგარიში დაიბეჭდა მუზეუმის გამოცემაში. ყოველწლიურად მდიდრდებოდა საქართველოს მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკის საცავებიც, მრავალი წიგნი შეემატათ სხვადასვა დაწესებულებებიდან. - ნიკო მარის ინიციატივით ლენინგრადის კულტურის ისტორიის აკადემიამ მუზეუმს საჩუქრად 154 წიგნი გადასცა. გ. ჩუბინაშვილის ინიციატივით მუზეუმში გადმოიტანეს წრომის ეკლესიის მოზაიკა, შეკეთდა ბაგრატის, გელათის, ნიკორწმინდის, ჯვრის მონასტრები, ბებრის ციხე და სხვა ძეგლები.

მუზეუმის ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩაბმული ივ. ჯავახიშვილი, მან უდიდესი კვალი

დატოვა მუზეუმის საქმიანობის ყველა სფეროზე. ის ჯერ მეცნიერ-კონსულტანტის, ხოლო 1937 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ისტორიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე მუშაობდა. მუზეუმის მთავარი ამოცანების განსაზღვრისას იგი აცხადებდა: „საქართველოს მუზეუმი დიდი დაწესებულებაა, მან უნდა ასახოს წარსული და თანამედროვე კულტურა და ამ მიზნით უნდა დააგროვოს სამუზეუმო ნაშთები და მასალები საქართველოს ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლისათვის. მას სოციალური მოვალეობაც აწევს: მან ფართო საზოგადოებასა და მეტადრე ისტორიული ცოდნის გასაღრმავებლად დახმარება უნდა გაუწიოს მოსწავლეახალგაზრდობას და საქართველოს მუზეუმი, როგორც უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას უნდა აწარმოებდეს“. მის მიერ შემუშავებული მუზეუმის მეცნიერული განვითარების სტრატეგია, ითვალისწინებდა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებათა მონაცემების სინთე-

ზის ჩვენებას ადამიანის განვითარების მთელ გზაზე. ბუნებრივი გარემოს ადამიანზე ზემოქმედების დინამიკის ასახვა, ისევე როგორც ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე და მის გამოვლინებებზე სრული სურათის წარმოდგენისათვის გამოიყენებოდა. ასეთი მიდგომით მუზეუმში იქმნებოდა ფონი - ერთი მხრივ პალეონტოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური მონაცემები, ხოლო მეორე მხრივ არქეოლოგიური კომპლექსები დიდ ასპარეზს უხსნიდა მუზეუმს [ჭილაშვილი 2002: 44]. მრავალი მასალა, რომელიც დიდი მემკვიდრეობის შედეგად ჰქონდა მიღებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ჯერ კიდევ აღურიცხავი იყო ამიტომ ივ. ჯავახიშვილი აუცილებლობად მიიჩნევდა საფონდო, სააღრიცხვო-საინვენტარიზაციო სისტემის დახვეწის გეგმის შემუშავებას. მას მუზეუმის უმთავრეს საქმიანობად საექსპოზიციო მუშაობა მიაჩნდა და დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-აღმზრდელობით მნიშვნელო-

ბას ანიჭებდა. ივ. ჯავახიშვილს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდა მუზეუმის სტრუქტურაში ახალი უჯრედის, ისტორიის განყოფილების შექმნა. ამ ინიციატივას მუზეუმის დირექცია და რამდენიმე წამყვანი თანამშრომლი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მან დამაჯერებლად დაასაბუთა თავისი მოსაზრება. „განყოფილებამ უპირველეს თავის მოვალეობად კავკასიისა და საქართველოს ისტორიის ნივთიერი ნაშთების შეგროვება, შესწავლა და გამოფენა უნდა მიიჩნიოს, ხოლო რაკი ქართველი ერის წარსული მახლობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის არა ერთი დიდი ერის სახელმწიფოებრიობასა და კულტურასთან იყო მრავალჯერ დაკავშირებული, ამიტომაც, ცხადია, თანდათანობით შეგროვება-გამოფენის სასურველობაცა და მოვალეობაც უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული“ წერდა იგი [სლმ არქივი]. მუზეუმის საცავებში დაგროვილი სამუზეუმო მასალის სიუხვის გამო 1932 წლიდან დროებით შეწყდა ექსპედიციები და მთელი სამუშაოები საექსპოზიციო

და საფონდო მასალათა მოვლა-მოწესრიგებისაკენ წარიმართა. ამ მიზნით მუზეუმში შეიქნმა ფიზიკურ-ქიმიურ სარესტავრაციო ლაბორატორია, რომლის დირექტორი ანანია კაკაბაძე იყო. ამ დროისათვის მუზეუმში ფუნქციონირებდა ტაქსიდერმიული, სარესტავრაციო და ფოტოგრაფიული ლაბორატორიები. ტაქსიდერმიულ ლაბორატორიაში წარმატებით გრძელდებოდა ჯერ კიდევ კავკასიის მუზეუმის სპეციალისტის კარლ კრელის მიერ დამკვიდრებული ტრადიციები, ხოლო ფიზიკურ-ქიმიურ სარესტავრაციო ლაბორატორიაში წარმატებით მიმდინარეობდა ლითონისგან დამზადებული ნივთების აღდგენა და ძველი პალიმფსესტების გასამაგრებელი სამუშაოები.

1933 წლიდან მუზეუმის დირექტორად დაინიშნა გიორგი მიროტაძე, ამავე წელს მუზეუმში მუშაობა დაიწყო ბორის კუფტინმა, რომელმაც ბრწყინვალე აღმოჩენებით საქვეყნოდ ცნობილი გახადა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და ქართული კულტურა. მუზეუმში შემოსულმა

მასალებმა საფონდო ფართობის ნაკლებობის წინაშე დააყენა საქართველოს მუზეუმი და საკითხი დადგა მუზეუმის გაფართოების შესახებ. ამ პერიოდში მუზეუმის ტერიტორიაზე სხვადასხვა დაწესებულებები იყო განთავსებული (ქალთა მეორე სასწავლებელი, მეთერთმეტე პროქტექნიკუმი, სტამბა, განათლების მუშაკთა სახლ-მუზეუმი და სხვა), ამიტომ მუზეუმის დირექციამ გადაწყვიტა მათი განსახლება, მაგრამ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ამ ორგანიზაციების გაყვანის თაობაზე მიღებული სამთავრობო დადგენილებებისა და გადაწყვეტილებისა, ისინი მაინც დიდხანს იმყოფებოდნენ მუზეუმის ტერიტორიაზე. 1933 წლის აპრილში გაიმართა მუზეუმების მუშაკთა პირველი კონფერენცია, სადაც გადაწყდა, რომ რესპუბლიკაში მთელი სამუზეუმო საქმიანობის ხელმძღვანელობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს დავალებოდა, რის შედეგადაც ის როგორც სათავო ორგანიზაცია მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევდა სხვა მუზეუმებს. ამავე

წელს მუზეუმის ყველა განყოფილებასთან ჩამოყალიბდა სამეცნიერო სექციები, რომელშიც მრავალი მეცნიერი მონაწილეობდა, ისინი მუზეუმს უდიდეს ავტორიტეტს უქმნიდნენ საერთაშორისო მასშტაბით, მათ მოხსენებებს და ნაშრომებს მთელი სამეცნიერო სამყარო ეცნობოდა. ამ სამეცნიერო პოტენციალის წყალობით მუზეუმმა დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. არ არსებობდა საქართველოში დიდი მეცნიერი თუ ხელოვანი, რიმელიც რაიმე სახით არ თანამშრომლობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან.

მუზეუმის ფონდებში ათეული წლების მანძილზე დაგროვილი კოლექციების გეოგრაფიული არეალი დიდად სცდებოდა საქართველოს ფარგლებს და მთელ კავკასიას მოიცავდა. მუზეუმი კვლავაც რჩებოდა კავკასიის ფლორის, ფაუნის და ეთნოგრაფიის ამსახველ სამუზეუმო მასალათა თავმოყრის ცენტრად. სამწუხაროდ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ისევე როგორც ქვეყნის სხვა მუზეუმები არ იყო თავისუ-

ფალი პარტიული გადაწყვეტილებების დანერგვისაგან, აშკარად იგრძნობოდა პარტიული თვალი, გამკაცრებული იყო მუზეუმის შინაგანაწესის დაცვა. გამოფენების ხასიათზე, მათ იდეურ და გარეგან სახეზე დიდ გავლენას ახდენდა მარქსისტული იდეოლოგია და მეთოდოლოგია. მოსკოვში ჩატარებული მუზეუმების მუშაკთა საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებებმა, კიდევ უფრო გააღრმავა მუზეუმების მუშაობაში პარტიული იდეოლოგია. მუზეუმებს დაევალათ „მთელი მუშაობის გადახალისება“ და მისი შეფარდება სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებებთან. ყრილობამ საბჭოთა მუზეუმებს აუცილებელ ამოცანად თანამედროვეობის, სოციალისტური ცხოვრების წესის ასახვა დაუსახა. ცვლილებები მოხდა მეცნიერული კვლევის მეთოდებსა და ფორმებში, რამაც გარკვეულწილად შეცვალა მუზეუმის საქმიანობა. ექსპოზიციაში მთავარი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა არა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარების ჩვენე-

ბას, არამედ სოციალური ფენების ურთიერთობების, კლასთა ბრძოლის ასახვას და ა.შ. „საბჭოთა მუზეუმები სოციალური ცხოვრების ასახვისკენ იქნებიან მიმართული“ აცხადებდა რევოლუციური მთავრობის კულტურის ხელმძღვანელი ა. ლუნაჩარსკი. ამ დადგენილებით მუზეუმებში სუსტდებოდა ნივთის, როგორც პირველწყაროს მნიშვნელობა და მთავარი აქცენტი გადადიოდა წარმოსახვითობაზე. მუზეუმს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ხელისუფლების დაკვეთა და ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოთხოვნილებები. დღის წესრიგში დადგა ექსპოზიციის მოწყობისადმი თემატური მიდგომა, მუზეუმი მთელი ძალებით იყო ჩაბმული თემატურ-საექსპოზიციო გეგმის შემუშავებაში. 1933 წლიდან დაიწყო სამუშაოები ახალი მასშტაბური გამოფენის მოსაწყობად. არქეოლოგიური ძეგლების მეშვეობით უნდა ეჩვენებინათ საზოგადოებრივი ფორმაციების ისტორია და პროპაგანდა გაეწიათ მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის [აბუ-

ლაშვილი 2009: 47-48]. ახალი გამოფენის მოგ-ზადება ივ. ჯავახიშვილმა პროფესორებს ბ. კუფტინს და გ. ნიორაძეს დაავალა. გამოფენის ორგანიზატორები სრულიად ახლებურად მიუდ-გნენ მატერიალური კულტურის ისტორიას. მათ ფონდებში დაცული მასალების სისტემატიზა-ციის და არქეოლოგიური კოლექციების მეცნიე-რული შესწავლის საფუძველზე არქეოლოგიუ-რი მასალები ისტორიული პროცესის საჩვენებ-ლად ე.ი. საზოგადოების სამეურნეო, სოციალუ-რი და კულტურული განვითარების ჩვენებისათ-ვის განალაგეს. შედეგად შესაძლებელი გახდა უძველესი დროიდან ბრინჯაოს კულტურის ად-გილობრივი ლოგიკური განვითარების ჩვენება, რაც ახალი ეტაპის დასაწყისი იყო საექსპოზი-ციო საქმიანობაში. 1934 წლის გაზაფხულზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო გამოფენა, რომლის სათაური იყო „წინაკლა-სობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში“. ეს დასახელება ნათლად მეტყველებდა მატერია-

ლური კულტურის ისტორიისადმი ახლებურ მიდგომაზე.

ექსპოზიცია ქრონოლოგიურ პრინციპზე იყო აგებული, მთელ კავკასიას მოიცავდა და არქეოლოგიური ძეგლების საფუძველზე საზოგადოებრივი ფორმაციების ისტორიას ასახავდა. თემატური გეგმა შედგებოდა განყოფილებებისა და თემებისაგან სათანადო ექსპონატების ჩვენებით. თითოეულ თემაზე არსებობდა სათანადო სტენდი, ლოზუნგებითა და სათაურებით, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატებით იყო შევსებული. არტეფაქტებთან და ეკოფაქტებთან ერთად წარმოდგენილი იყო დამხმარე მასალებიც ნახატები, ნახაზები, სქემები, რუკები, ტაბულები, რაც ხელს უწყობდა მასალის შემეცნებას, და განმარტებას. თემებს წინ უსწრებდა წამყვანი, ძირითადი და სათაური ტექსტები. მხატვრებად მოწვეული იყვნენ ი. შარლემანი, ანიმალისტი ე. ვატაგინი და დ. ციციშვილი.

ბეგმა ორი დარბაზისათვის იყო გათვალისწინებული და სამ ძირითად ნაწილად იყოფოდა - ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა და რკინის ხანა [ჯავახიშვილი 1989: 63]. იდუმალებით მოცულ დარბაზებში ჩამწკრივებულ მინის ვიტრინებში ნივთები სიმეტრიულად იყო განლაგებული. ყველგან სიმეტრია და ჰარმონია სუფევდა, მნახველისათვის თითქოს ხელშესახები ხდებოდა ათასწლეულების სიღრმე. პირველ დარბაზში გამოფენილი იყო მთლიანად გ. ნიორაძის მიერ მოპოვებული და შესწავლილი ახალი მასალა, რომელიც წინაგვაროვნულ საზოგადოებას წარმოაჩენდა. ვრცელ სივრცეში მოთავსებულ მინის დიდ ვიტრინებში გამოფენილი იყო ქვის იარაღები, განამარხებული ცხოველების ნაშთები, ფერწერული პანოები ქვის ხანის ადამიანის ნადირობის სცენებით, ლაკონური წარწერები, „დევისხვრელის“ მაკეტი შესასვლელთან ხელიკზე მონადირე ბიჭით, ვასილ ვატაგინის ნახატებში გაცოცხლებული ფაუნა. აქვე იყო გვარჯილას კლდის მასალაც. მეორე დარბაზში გა-

მოფენილი მასალა ასახავდა გვაროვნულ საზოგადოებას და მუზეუმში არსებულ საფონდო კოლექციებს ემყარებოდა. გამოფენილი იყო ცალკეული ნივთები და კომპლექსები სამთავროდან, ყობანიდან, ეშერიდან, ნახიჩევანიდან, კუშჩიდან, ყაზბეგის განძიდან, ყარაბახიდან. დარბაზის ცენტრში მოთავსებული იყო მიწიანად ამოჭრილი ზემო ავჭალის სამარხი [აბულაშვილი 2009: 48; 93]. მხატვრული გაფორმება ნაწილობრივ აგრძელებდა ძველ ტრადიციებს (დიორამა) და ამავე დროს შეიცავდა ახალ ელემენტებს. სპეციალურად ამ ექსპოზიციისათვის უმდიდრესი არქეოლოგიური მასალის ბაზაზე, პირველად იყო ათვისებული კერამიკის შეწებების და რესტავრაციის ახალი მეთოდები, რამაც გარკვეულწილად მუზეუმში რესტავრაციის განყოფილების შექმნას ჩაუყარა საფუძველი. ექსპოზიცია სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის პრინციპებზე, სტადიალური განვითარების მიხედვით, ძველისა და ახლის შედარებითი ჩვენების მიხედვით იყო აგებული, მასში

მკაფიოდ იყო გადმოცემული ექსპონატების ურთიერთდამოკიდებულება და მხატვრული ფონები. არქეოლოგიური ფონდების ძველი და ახალი მასალა პირველად დალაგდა საზოგადოების სამეურნეო, სოციალური და კულტურული განვითარების საჩვენებლად [აბულაშვილი 2009: 48,93]. ექსპოზიციის მოწყობისადმი თემატური მიდგომის შედეგად ექსპონატებმა დინამიურობა შეიძინა. ცალკეული, იზოლირებული, იშვიათი ნივთები ურთიერთკავშირში აღმოჩნდნენ და მოვლენათა საერთო სურათი შექმნეს. ეს იყო პირველი ცდა როცა მოძველებული რარიტეტული ჩვენების ნაცვლად ნივთიერი ძეგლებით ისტორიული პროცესი იყო ნაჩვენები. მუზეუმში მნახველი მოდიოდა არა იშვიათი ნივთის, არამედ მეცნიერული შინაარსით სავსე ექსპოზიციის სანახავად. ექსპოზიციამ 27 წლის განმავლობაში მოქმედებდა და მან საფუძველი ჩაუყარა ფართო საექსპოზიციო საქმიანობას მუზეუმში.

სამწუხაროდ შემდეგი წლები მეტად მძიმე იყო მუზეუმისათვის. ეკონომიკური კრიზისის და საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესების გამო შეწყდა უცხოეთის ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებთან სამეცნიერო პროდუქციის გაცვლა. შესუსტდა მუზეუმის ბიბლიოთეკის დაკომპლექტება. ამ პერიოდში ბევრი იძულებითი განკარგულების შესრულება მოუწია მუზეუმს. ამასთან ერთად ყრილობის გადაწყვეტილებების მიხედვით მუზეუმებში გზა გაეხსნა სხვადასხვა კომერციულ აუქციონებზე სამუზეუმო ნივთების გაყიდვას [ჩხაიძე 2003: 282]. საქართველოს მუზეუმებმა გვერდი ვერ აუარეს მთელ საბჭოეთში დამკვიდრებულ ამ ნეგატიურ პრაქტიკას. ამ განკარგულების თანახმად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა იძულებით ჩააბარა ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ნივთები, მემორიალური წარწერებით აზარფეშები, ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული ნივთები, ზოდები, ნამსხვრევები, მონეტები და სხვა [ჭილაშვილი 2002ა: 26]. ამ

ნივთებს შორის იყო მოსკოვიდან 1923 წელს დაბრუნებული ე.წ. „ბაგრატიონების გვირგვინი“, რომელიც ეკუთვნოდა ქართლ-კახეთის ბოლო მეფეს გიორგი XII-ს. ბაჯაღლო ოქროს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი გვირგვინი დამზადებული იყო პეტერბურგში, იწონიდა ოთხ ფუტს და 49 მისხალს. ასეთი მძიმე პერიოდის მიუხედავად მუზეუმი მაინც ახერხებდა კულტურის ძეგლების გადარჩენას. 1936 წელს მოეწყო გამოფენა „აბისინია“, შეიქმნა ისტორიის განყოფილება, რომლის გამგედ ივ. ჯავახიშვილი დაინიშნა. 1937 წელს გაიხსნა ხევსურეთის გამოფენა სადაც დიდი ადგილი ეკავა სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ახალი ყოფისა და კულტურის შეჭრის ჩვენებას. მოსკოვში ჩატარებულ XVII საერთაშორისო გეოლოგიურ კონგრესთან დაკავშირებით გეოლოგიურმა საზოგადოებამ ალ. ჯანელიძის და პროფ. კ. გაბუნიას ხელმძღვანელობით მუზეუმში მოაწყო ფართო მასშტაბის ექსპოზიცია „საქართველოს მინერალური რესურსები“, სადაც წარმოდგენილი

იყო ამ დროს საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი წიაღისეული, ქიმიური ნედლეული, საშენი მასალა, მინერალური წყლები და სხვა. ექსპოზიციაზე მრავლად იყო დამხმარე მასალა, რომელიც საბადოს მარაგების და გეოლოგიური აგებულების შესახებ იძლეოდა წარმოდგენას: ჭრილები, ნახაზები, რუკები, პროფილები, ცხრილები.

ამ წლებში რეპრესიების და ტოტალური რეჟიმის გაძლიერებასთან ერთად უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა მუზეუმში ნორმალური მუშაობის წარმართვა. სამსახურში რამოდენიმე წუთით დაგვიანებისთვის შემოღებული იყო მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი. მუშაობის „ახალი სტილი“ ნიშნავდა მუზეუმის თანამშრომლებზე თვალთვალს, შიშისა და დაძაბულობის შექმნას. პარტიული სულისკვეთების დამკვიდრების მიზნით, მუზეუმის დირექტორებიც ზემდგომი ორგანოების მითითებით ინიშნებოდნენ. ნ. ყიფიანის და ალ. ჯანელიძის შემდეგ დირექტორებად ძირითადად ის ადამიანები

დაინიშნენ, რომლებიც პარტიული ე.წ. „ნომერკ-ლატურის“ წევრები იყვნენ. 1937-1938წწ-ში „ტროცკისტულ-მავნებლური“ საქმიანობის იარ-ლიყით ბევრი მაღალი კვალიფიკაციის მუზეუ-მის თანამშრომელი დაითხოვეს სამსახურიდან და ფიზიკურად გაუსწორდნენ. „ხალხის მტრებ-ზე“ ნადირობას შეეწირა მსოფლიო მნიშვნელო-ბის ბევრი მეცნიერი: გ. წერეთელი, ს. ფარცხა-ლავა, ე. კოტეტიშვილი. მუზეუმის დირექტორე-ბი: გ. მიროტაძე, პ. აფხაიძე, კ. ქაცარავა, დ. დემეტრაძე. პრობლემები შეუქმნეს ივ. ჯავახიშ-ვილს, გ. ჩუბინაშვილს, ალ. ჯანელიძეს, გ. ჩი-ტაიას. მთავრობის ბრძანებულებით მუზეუმის არქივიდან გაქრა და განადგურდა მრავალი დოკუმენტი და საინტერესო მასალა. ფოტო-არ-ქივიდან ამოღებული იქნა ე.წ. „ხალხის მტრე-ბის“ ფოტოები. მიუხედავად არსებული მდგომა-რეობისა მუზეუმი ფუნქციონირებდა და აგრძე-ლებდა თავის მოვალეობის შესრულებას ერისა და ქვეყნის წინაშე. არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა კარსნისხევში, ნაქულბაქებზე, სამ-

თავროში, არმაზისხევში, ბოლნისში, დმანისის ნაქალაქარზე, გუდარეხში, დეკისხერელში. ჩატარებულმა სამუშაოებმა დასაბამი მისცა შემდგომ გეგმაზომიერ კვლევებს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ყალიბდებოდა, როგორც ქართული ეროვნული სამეცნიერო-კულტურული დაწესებულება. თუ ადრე ყურადღება უპირატესად საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებზე იყო გამახვილებული და ძირითადად წინ ე.წ. მხარეთმცოდნეობითი სამუშაოები იყო წამოწეული ახლა მუზეუმის პრიორიტეტი საქართველოს ისტორიის პრობლემების კვლევა გახდა და უფრო მეტი ყურადღება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს დაეთმო. ამ რთული საქმის გახორციელება დაიწყეს ივ. ჯავახიშვილმა, გ. ნიორაძემ, გ. ჩუბინაშვილმა, გ. ჩიტაიამ, ს. მაკალათიამ, ვ. ბარდაველიძემ, ბ. კუფტინმა და სხვებმა. მუზეუმში არსებული მოძველებული წესებით კლასიფიცირებული მასალებიდან მეცნიერულ საფუძველზე უნდა შექმნილიყო ახალი ფონდები, მათ შორის არქეოლოგიური ფონდი

და არქეოლოგიური განყოფილება. მუზეუმი ახორციელებდა ექსკურსებს, ხდებოდა ექსპონატების შეძენა, ფონდების მოწესრიგება, მათი შეჯერება აღწერილობასთან, კლასიფიკაცია, გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი და საგამოფენო მუშაობა. სამეცნიერო და საველე სამუშაოების შედეგად ივსებოდა და მდიდრდებოდა ფონდები, იბმებოდა პირველი კავშირები კავკასიის არქეოლოგიასა და საკუთრივ საქართველოს უძველეს ისტორიას შორის. საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმის და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებათა მეცნიერ მუშაკები. საექსპერტო სამუშაოებს და ექსპედიციებს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ივ. ჯავახიშვილი, ხოლო მთელი მოპოვებული მასალის დამუშავება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ხდებოდა. დაიწყო ქართული ნივთიერი კულტურის ადგილობრივ ნიადაგთან დაკავშირების პროცესი, რაც უკვე სრულიად ახალი პერიოდის დაწყებას და იდეოლოგიური მიმართულებით მომხ-

დარ ცვლილებებზე მიუთითებდა. ფართოდ გაშ-
ლილი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად
მოპოვებული ახალი უნიკალური არქეოლოგიუ-
რი მასალის საფუძველზე დღის წესრიგში
დადგა ისეთი ექსპოზიციების მოწყობა, რომლე-
ბიც არა მთლიანად ამიერკავკასიის, არამედ სა-
ქართველოს უძველესი კულტურის ჩვენებას
ისახავდა მიზნად.

1937 წელს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაო-
სნის" 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირე-
ბით, რომელიც საბჭოთა კავშირის მასშტაბით
აღინიშნებოდა, ახლად შექმნილი ისტორიის
განყოფილების ძალისხმევით მოეწყო სპეცია-
ლური ექსპოზიცია „შოთა რუსთაველი და მისი
ეპოქის მატერიალური კულტურა". ამ ექსპოზი-
ციამ საფუძველი დაუდო საქართველოს უძვე-
ლესი კულტურის კვლევის სრულიად ახალ
ეტაპს. ექსპოზიციაში უნდა წარმოჩენილიყო XI-
XIIIსს-ის საქართველოს კულტურა და ისტო-
რია. ამისთვის ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანე-
ლობით გათხრები ჩატარდა დმანისში, ბოლნის-

ში, გუდარეხში, სამშვილდეში, გეგუთში, სხალტბა-შიომღვიმეში, ალაზნის ველზე. ხდებოდა ნაქალაქარების, ციხე-დარბაზების, სასახლეების, სამონასტრო კომპლექსების, წყალსადენების, გზების, ქარვასლების, აბანოების გათხრა-შესწავლა. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალის საფუძველზე წარმოდგენილი იყო ამ დროის თითქმის ყველა დარგი. ნაჩვენები იყო სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების: მემინდვრეობის, მევენახობის, მეცხვარეობის ამსახველი მასალები, საქალაქო ცხოვრება, ჭურჭელი, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, ქსოვილი, ტანსაცმელი, საპირფარეშო და საყოფაცხოვრებო ნივთები, ავეჯი, დმანისის აბანოები [აფაქიძე 1972: 109; აბულაშვილი 2012: 114]. გამოფენა სამი სექტორისგან შედგებოდა: ლიტერატურის (ხელმძღ. პ. ინგოროყვა), ხელოვნების (ხელმძღ. გ. ჩუბინაშვილი), ყოფა-ცხოვრების და მეურნეობის (ხელმძღ. ივ. ჯავახიშვილი).

ექსპოზიცია იწყებოდა XI-XIIIსს-ის საქართველოს ეკონომიკის ამსახველი დარგებით. ექსპონატები ორ დარბაზში იყო განთავსებული. პირველ დარბაზში სქემატურ ნახაზებზე მინდვრის უმთავრესი კულტურები და სახნავ იარაღთა მრავალსახეობა იყო ასახული. სტენდებზე მოცემული იყო გათხრების ამსახველი ფოტოსურათები. ვიტრინებში განთასებული იყო ქართული ცხვრის და ქართული ვაზის ძველებური ჯიშები, ქვევრები, თიხის საღვინე ჭურჭელი. აქვე იყო წარმოდგენილი თამარის მეფობაში გაყვანილი ალაზნის სარწყავი არხის და სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის ნაწილები, გეგმები და ჭრილები. მეორე დარბაზი ეთმობოდა ტანსაცმელს და ქსოვილს. გამოიფინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ძეგლებიდან გადმოღებული მეფეთა და წარჩინებულთა პორტრეტების პირები, სამეფო, დიდგვაროვანთა და საშუალო ფენის სამოსელი, სამკაული და საპირფარეშო ნივთები, ქართული ავეჯი და ჭურჭელი. ნაჩვენები იყო მძიმე და

მსუბუქი შეიარაღება, სამშენებლო კერამიკა. კედლებზე ეკიდა გეგუთის სამეფო ციხე-დარბაზის და დმანისის ნაქალაქარის ფოტოსურათები, აბანოების და კარიბჭის გეგმა. დახასიათებული იყო სავაჭრო გზების, ხიდების მნიშვნელობა, ფულის მიმოქცევა. ეკონომიკურ და პოლიტიკურ რუკზე აღნიშნული იყო XI-XIIIსს-ის საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი, სიმაგრე და ციხე-ქალაქი [ჯავახიშვილი 1953: 7-17, 20-23]. ექსპოზიციამ ნათლად წარმოაჩინა საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ამ ხანის საერთაშრისო ცხოვრებაში და დიდი შტაბეჭდილება მოახდინა დამთვალიერებელზე. მნახველს წარმოდგენა შეექმნა იმ დროის რაინდობის წესებზე, სამოსელზე, ავეჯსა და ჭურჭლეულობაზე, სამეურნეო და საბრძოლო იარაღზე, სოფლის მეურნეობაზე, საქალაქო ცხოვრებაზე, ვაჭრობასა და მრეწველობაზე. ამ საიუბილეო წამოწყებამ ხელი შეუწყო უშუალოდ ქართული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და მკვეთრად დაუპირისპირდა იმ

დროისათვის ესოდენ დამახასიათებელ „ინტერ-ნაციონალურ“ პოლიტიკას. ამ გამოფენის პოპუ-ლარობა გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. ეს სექტორი 1938 წლიდან მუზეუმში დატოვებული იქნა როგორც სტაციონარული ექსპოზიცია, სა-ხელწოდებით „XI-XIIIსს-ის საქართველოს მატე-რიალური კულტურა“. საქართველოს სახელმ-წიფო მუზეუმის ბაზაზე ჩამოყალიბდა „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი“ რო-მელსაც ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

ამ პერიოდიდან მოყოლებული მუზეუმის სტრუქტურასა და თემატიკაში ქართული კულ-ტურის კვლევის საკითხებმა სულ უფრო მეტი ადგილი დაიკავა. ეწყობოდა თემატური გამოფე-ნები: „ქართული ტანსაცმელი და ქართული ჩუ-ქურთმა ხეზე“, „ქართული ნაქარგობა“, „ქარ-თული საჭურველი“, „კავკასიური ხალიჩები“, ეს გამოფენები დამთვალიერებლის დიდ მოწონე-ბას იმსახურებდა.

1938-1940წწ-ში მთელი საქართველოს ტერი-ტორიაზე დაიწყო დიდი მასშტაბის არქეოლო-

გიური სამუშაოების წარმოება. მარტო მცხეთის მიდამოებში 6067კვ.მ. ფართობი იქნა შესწავლილი. გაითხარა 1051 სამარხი. არმაზში და სამთავროზე ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილმა მნიშვნელოვანმა არქეოლოგიურმა მასალამ, ოქროსა და ვერცხლის ნივთებმა მთელ სამეცნიერო სამყაროში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. საზოგადოება გაეცნო II-IIIსს-ის იბერიის უმაღლესი თანამდებობის პირთა დაკრძალვის ინვენტარს, ხელისუფალთა ნიშნებს, სამკაულს [ჯავახიშვილი 1960: 461]. ბ. კუფტინის მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებმა თრიალეთში კი მთელი ეპოქა შექმნა არქეოლოგიურ მეცნიერებაში. გამოელენილი იქნა თითქმის ყველა პერიოდის ნაშთები (პალეოლითიდან დაწყებული შუა საუკუნეებამდე). დაგროვილი მნიშვნელოვანი ახალი მასალის საფუძველზე, არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური კვლევების შედეგად (თრიალეთის და მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები) შესაძლებელი გახადა რიგი კარდინალური საკითხე-

ბის ახლებურად გაშუქება. ბ. კუფტინმა შეიმუშავა არქეოლოგიაში დღემდე დამკვიდრებული საქართველოს და მთლიანად ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ახალი პერიოდიზაცია. გამოავლინა, განსაზღვრა და ერთმანეთისგან გამიჯნა „მტკვარ-არაქსის“ და "თრიალეთის“ კულტურები. ახლებურად დაათარიღა ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები. გადაჭრა საკითხი ქართული კულტურის ავტოხტონობის შესახებ კავკასიაში. მას პირველს არქეოლოგთა შორის ნაშრომისათვის „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“ მიენიჭა სტალინური პრემია.

თრიალეთში და მცხეთის მიდამოებში წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი უნიკალური მასალით დიდად შეივსო მუზეუმის არქეოლოგიური ფონდები. ამ პერიოდიდან დაიწყო ექსპოზიციაში მონოგრაფიული პრინციპის დამკვიდრება, რომელიც კონკრეტულად ერთი თემატიკის განხილვას და წარმოჩენას გულისხმობდა. დღის წესრიგში დადგა ახალ მონოგრა-

ფიულ პრინციპზე დაფუძნებული გამოფენის მოწყობა, რომლის მიზანი საქართველოს უძველესი კულტურის და ისტორიის წარმოჩენა იქნებოდა. 1941 წელს გაიხსნა არქეოლოგიური ექსპოზიცია "ქართული კულტურის უძველესი კერები - თრიალეთი და მცხეთა", რომლის ორგანიზებაში აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. მიუხედავად იმისა რომ გამოფენა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავს მიეძღვნა, წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალა ქართული კულტურის ადგილობრივ ფესვებს ასახავდა და ქართულ ეთნიკურ სამყაროს უკავშირდებოდა. ექსპოზიციაზე ასახული იყო ორი უძველესი პერიოდი ბრინჯაოს ხანა, თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვრის საფუძველზე და ანტიკური ხანის იბერიის პერიოდი, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვართა მიხედვით [აბულაშვილი 2012:115]. თრიალეთის განყოფილების სა-

ექსპოზიციო გეგმა პროფ. ბ. კუფტინმა შეიმუშავა და ორი დარბაზისათვის იყო გათვალისწინებული. გამოფენილი იყო წალკის რაიონში 1936-1940წწ-ში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. პირველი დარბაზი ეთმობოდა ადრეული ყორღანებისა და ენეოლითური ხანის მასალას ბეშთაშენის ნამოსახლარის ქვედა კულტურული ფენიდან. მეორე დარბაზის ცენტრალურ ნაწილში გამოფენილი ნივთები ასახავდნენ თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურას. კედელზე ვერცხლის თასის საკულტო სცენის და ვერცხლის სარწყულზე ასახული ცხოველების ფოტოები ეკიდა. დარბაზის მარჯვენა მხარეს გვიანბრინჯაოს ხანა, ხოლო მარცხენა მხარეს რკინის ხანა იყო წარმოდგენილი. მცხეთის განყოფილების გეგმა აკად. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით შემუშავდა და ორ ნაწილად გაიყო. პირველ ნაწილში გამოფენილი იყო კერამიკა, ბრინჯაოს ნივთები და სკულპტურები, თიხისა და მინის ჭურჭლი, სამკაული, საპირფარეშო

ნივთები, მეომრის სამარხის კომპლექსი, მდიდ-
რული სამარხების კომპლექსები ნარეკვავიდან
და სამთავროდან. მეორე ნაწილი შედგებოდა
გეგმების, ტაბულების, ნახატების, ნახაზების,
ფოტოების, ექსპლიკაციების და ფერადი რუკე-
ბისაგან. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხელოს-
ნობას მათ შორის ოქრომჭედლობას. ხაზი გა-
ესვა საქალაქო ცხოვრების განვითარებას ანტი-
კური ხანის იბერიაში, ნაჩვენები იყო მნიშვნე-
ლოვანი სოციალური მოვლენები საზოგადოებ-
რივ ცხოვრებაში [აბულაშვილი 2009: 50]. მო-
ნოგრაფიული პრინციპით მოწყობილ ექსპოზი-
ციაში ერთი მხრივ არქეოლოგიური კომპლექსე-
ბი და მეორე მხრივ მათ კულტურულ-ისტორიუ-
ლი მნიშვნელობა იყო ნაჩვენები. არქეოლოგიუ-
რი მასალა ქართულ ეთნიკურ სამყაროს დაუ-
კავშირდა, ანუ ნივთიერი ძეგლები პირველად
იყო გამოფენილი უძველესი ქართული კულტუ-
რის საჩვენებლად. დამთვალიერებლის წინაშე
წარმოდგენილი იყო ქართული, ადგილობრივი
უძველესი კულტურა და საქართველოს ისტო-

რიის მეტ-ნაკლებად ერთიანი სურათი უძველესი დროიდან ახ.წ. V-VIსს-მდე. აშკარად გამოიკვეთა ორი ისტორიული მეცნიერების დარგის, საქართველოს არქეოლოგიის და საქართველოს ისტორიის მჭიდრო კავშირი, რაც სიახლეს წარმოადგენდა [აბულაშვილი 2012: 115-116]. ეს გამოფენა ახალი ეტაპის დასაწყისი იყო საექსპოზიციო საქმიანობაში, ეს იყო გაშლილი არქეოლოგიური სამუშაოების შეჯამება, რომელშიც ასახული იყო ყველა სიახლე და მიღწევა არქეოლოგიაში. პირველად გახდა ცნობილი წალკის ზეგანის, სამთავროს და საერთოდ „დიდი მცხეთის“ ნივთიერი მასალა, ძეგლების სტრატიგრაფია და ქრონოლოგია. არქეოლოგიური მასალის საშუალებით პირველად სრული სახით წარმოჩინდა ქართული კულტურის განვითარების ორი უძველესი პერიოდი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გამოფენაში ისევე როგორც 1937 წლის გამოფენაში გამოიკვეთა ექსპოზიციის განვითარების ახალი საფეხური. საზოგადოებამ იხილა მანამდე სრუ-

ლიად უცნობი საქართველოს ადგილობრივი კულტურა და ისტორია. ეს გამოფენები რადიკალურად განსხვავდებოდნენ 1934 წლის გამოფენისაგან რომელიც მიზნად მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას ისახავდა.

40-იან წლებში მუზეუმში სამეცნიერო მუშაობამ მაღალ დონეს მიაღწია, გაიზარდა მუზეუმის, როგორც სამეცნიერო დაწესებულების როლი. მუზეუმში იყო შვიდი განყოფილება მათ შორის არქეოლოგიური, ორი დამხმარე - ქიმიურ-რესტავრაციული, ფოტო განყოფილება და მდიდარი ბიბლიოთეკა. ფონდებში 700000 ექსპონატი ირიცხებოდა. მცხეთის, თრიალეთისა და სხვა ექსპედიციების მიერ მოპოვებული ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ ექსპონატთა დასაცავად სამეცნიერო უჯრედების გვერდით ორი სპეციალური სეიფი ფუნქციონირებდა. ერთში დაცული იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუზეუმო ექსპონატები ხელნაწერთა ფონდიდან, მეორეში კი ძვირფასი განძეულობა.

1941 წელს დაწყებულმა ომმა განსაკუთრებული სიძნელეები წარმოშვა. მუზეუმში გატარდა საგანგებო ღონისძიებები. კოლექციები საევაკუაციო ყუთებში ჩალაგდა, შედგა საევაკუაციო ექსპონატების სია. ფონდსაცავებს ეს კოლექციები 1943 წელს დაუბრუნდა. 1945 წლის 11 აპრილს კი აკად. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით მუზეუმში დაბრუნდა პარიზში წაღებული სამუზეუმო განძეული. მოხდა ამ ექსპონატების აღრიცხვა და შემოწმება რის შემდეგაც მოეწყო დაბრუნებული კოლექციების გამოფენა. გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა. ამას მოჰყვა მუზეუმში განსაკუთრებული საცავის მოწყობა. 1947 წელს მუზეუმს აკად. სიმონ ჯანაშიას სახელი მიენიჭა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარმა პოლიტიკურმა ძერებმა ცხოვრების ყველა სფეროზე დიდი გავლენა მოახდინა. წარმოიშვა იდეები მუზეუმის რეფორმირებასთან დაკავშირებითაც. მუზეუმს სხვადასხვა ფუნქცია შეემატა, დაინერგა მართვის ახალი სტილი. ეს პერი-

ოდი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა-თ-ვის პროდუქტიული გამოდგა. მიეცა ექსპონატ-ების შეძენის, ნაშრომების გამოცემის, საველე სამუშაოების ჩატარების საშუალება. შეიქმნა სამუზეუმო ფასეულობათა დაცვა-აღრიცხვის განყოფილება. ხელნაწერთა ფონდს შეემატა იერუსალიმისა და სინას მთაზე დაცული ქართული ხელნაწერების მიკროფილმების ანაბეჭდები. ეწყობოდა არქეოლოგიური ექსპედიციები, ახალი აღმოჩენების საფუძველზე გამოდიოდა მნიშვნელოვანი ნაშრომები. მოეწყო გამოფენები „ტყის და სოფლის მეურნეობის მავნებლები და მათთან ბრძოლა“, „საქართველოს სამრეწველო იხტიოფაუნა“. ბოტანიკური განყოფილების მიერ მოწყობილ გამოფენაში „საქართველოს ტყეები“, ნაჩვენები იყო საქართველოში გავრცელებული ძირითადი ხის ჯიშები და მათი საწარმოო მნიშვნელობა. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები: მევენახეობა, მეღვინეობა, მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა, ციტრუსები, ქართული ჩაი, თამბაქო, ეთერზეთოვანი და ტექნიკუ-

რი კულტურები და სხვა იყო წარმოდგენილი მცირე მასშტაბის ექსპოზიციაში „საქართველოს სოფლის მეურნეობის უმთავრესი დარგების მიღწევები“. ნაჩვენები იყო ამ დარგების მიღწევები [ბოლქვაძე 1974: 169-170]. ეს ექსპოზიცია არ იყო პროფილით სამუზეუმო, მაგრამ იმ პირობებში, როცა საქართველოში არ არსებობდა სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენა მან საქართველოს სოფლის მეურნეობის მიღწევათა პოპუარიზაციის მხრივ დადებითი როლი შეასრულა.

50-იან წლებში, ფართოდ გაშლილი საექსპედიციო სამუშაოების შედეგად მუზეუმის ფონდებში დიდძალი საექსპოზიციო მასალა დაგროვდა. მუზეუმის დაარსების 100 წლისთავისათვის ეს მასალა საშუალებას იძლეოდა და აუცილებელიც გახდა მომზადებულიყო ეთნოგრაფიული თემატიკის ახალი ექსპოზიცია. 1954 წელს გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოეწყო ახალი და ძველი ყოფის და კულტურის ურთიერთდაპირისპირების პრინციპით აგებული „ერ-

თიანი ეთნოგრაფიული ექსპოზიცია“, რომელ-
შიც სამუზეუმო ხერხებით იყო ნაჩვენები ქართ-
ველი ხალხის ყოფისა და კულტურის თვითმყო-
ფადი ხასიათი. საქართველოს მატერიალური
კულტურის და მეურნეობის ძირითადი დარგე-
ბის საპირისპიროდ, სოციალისტური წყობის
მრეწველობისა და მეურნეობის დარგები, სოცი-
ალური და საოჯახო ყოფა იყო წარმოდგენილი.
ეს პრინციპი ექსპოზიციას იდეურ სიმახვილეს
ანიჭებდა. ეთნოგრაფიული მოვლენები სხვა სა-
ზოგადოებრივ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში,
ისტორიულ ასპექტში განიხილებოდა [ბოლქვა-
ძე 1974: 164-165]. ექსპოზიციის ამ მთავარ იდეას
მკაფიოდ წარმოაჩენდა საექსპოზიციო კომპლექ-
სების განაწილება და მხატვრული გაფორმება.
ეს ექსპოზიცია მოსკოვში გამართულ ეთნოგ-
რაფთა სესიაზე მიჩნეულ იქნა ქართული ეთნო-
გრაფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად. მუ-
ზეუმი აწყობდა თემატურ, დროებით და სასწავ-
ლო გამოფენებსაც. მოეწყო დახურული ტიპის
ეპიგრაფიკული გამოფენა, „ხელნაწერი წიგნე-

ბი“, „ძვირფასი ნივთების სეიფი“, „ქართული დამწერლობისა და წიგნის გამოფენა“ და სხვა [ბოლქვაძე 1974: 170]. ასევე გაიხსნა დიდი გამოფენა „დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელიც პოეტის 250 წლისთავს მიეძღვნა. გეოლოგიურმა განყოფილებამ მ. კაჭარავას ხელმძღვანელობით მოაწყო ექსპოზიცია „საქართველოს სასარგებლო ნამარხები“, რომელშიც საქართველოში ცნობილი ყველა სასარგებლო ნამარხი იყო წარმოდგენილი. ეს გამოფენები მნახველთა დიდ ყურადღებას და მოწონებას იმსახურებდნენ. მნიშვნელოვანი და ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ფონდების დაგროვების, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, გეგმაზომიერი ექსპედიციების განხორციელების და საექსპოზიციო მუშაობის ხაზით. ხდებოდა ახლად მოპოვებული, არსებული და შემოსული ექსპონატების მოვლა-დაცვისათვის ზრუნვა. უმაღლესი სახელმწიფო და პარტიული ორგანოები ხშირად ამოწმებდნენ მუზეუმის საქმიანობას, იგრძნობოდა მეცნიერულ

თემატიკაში პარტიული ხაზის დანერგვის სურვილი. ამ მიზნით, სოციალური ყოფის და ისტორიის ზევიდან დაპროგრამებული დისციპლინების საკვლევად ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაწილში შევიდა ახალი საქართველოს სსრ სოციალისტური მშენებლობის განყოფილება. ეს ხაზი 1990 წლამდე არსებობდა (ეს იყო სხვადასხვა დისციპლინები სხვადასხვა დროს: საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილება, მეცნიერული ათეიზმის განყოფილება, რომელთაგან პირველი შემდეგ ისტორიის განყოფილებას, ხოლო მეორე ეთნოგრაფიის განყოფილებას შეუერთდა). მიუხედავად ამისა მუზეუმი მაინც ახერხებდა საკითხების სხვანაირად, სათავისოდ გადაწყვეტას [ჭილაშვილი 2002: 60]. ამ პერიოდში მუზეუმის დირექტორის თანამდებობა დატოვა ა. აფაქიძემ და დირექტორად პარტიული მუშაკი რ. შადური დაინიშნა, რომელიც შემდეგ ასევე პარტიულმა მუშაკმა ვ. ხატიაშვილმა შეცვალა.

არქეოლოგიური კვლევების შედეგად დაგროვილმა ახალმა არქეოლოგიურმა მასალამ ნათელი გახადა, რომ არსებული არქეოლოგიური გამოფენა უკვე დიდად ჩამოუვარდებოდა ამ დარგის მიღწევებს. ექსპოზიციის მოწყობის მოძველებული პრინციპი, დარღვეული თემატიკური და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ამ გამოფენის გადახალისებას აუცილებელს ხდიდა [ბოლქვაძე 1974: 171]. 1952 წლიდან მუზეუმში დაიწყო მზადება ახალი არქეოლოგიური გამოფენის შესაქმნელად. არქეოლოგიური გამოფენის მოწყობა უცხო არ იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვის. მუშავდებოდა ახალი თემატურ-საექსპოზიციო გეგმა, რომლის მიხედვითაც ამიერიდან მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების ყველა ექსპოზიცია უნდა განხილულიყო როგორც ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის ნაწილი. შემუშავდა გამოფენის მოწყობის ახალი პრინციპი, თუმცა იყო დირექტივები, რომ გამოფენას აესახა სოციალური მოვლენები, ეროვნე-

ბათაშორისი ურთიერთობები და სხვა. ამის გამო სამუშაოები 50-იანი წლების ბოლომდე გაიწელა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა „ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენის“ ორგანიზატორებმა არსებული პრობლემები წარმატებით გადაჭრეს.

„ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენის“ საერთო ამოცანის შესაბამისად და მის ნაწილად განიხილებოდა პირველი მრავალთემიანი ექსპოზიცია “ბურჟუაზიული ხანის საქართველო“ (ხელ. შ. ლომიძე). მისი მოწყობით მუზეუმი პირველად შეეხო საქართველოს გვიანი XIX-XXსს-ის რთული პერიოდის მოვლენების ასახვას სტაციონარულ ექსპოზიციაში. თანმიმდევრულად იყო ასახული საქართველოს რუსეთთან შეერთება, რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-სპარსეთის ომები, კაპიტალიზმის შეჭრა ეკონომოკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, 1905-1907წწ-ის რევოლუცია, მენშევიკური საქართველო, იდეოლოგია, კულტურა, ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა., მარქსიზმის

იდეების გავრცელება, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება. თემებს შიგნით მასალების პერიოდების მიხედვით დალაგებით ისტორიული მოვლენები თანმიმდევრულად იყო გადმოცემული და დამთვალიერებლის ყურადღება უფრო მეტად ნივთზე და ფოტოდოკუმენტურ მასალაზე იყო გამახვილებული. ავტორები ცდილობდნენ თემები ნივთიერი მასალით გაეხსნათ და ბრტყელი მასალის რიცხვი შეემცირებინათ, თუმცა მათი სიმრავლე მაინც იგრძნობოდა. შექმნილი იყო ერთიანი საექსპოზიციო სივრცე. ბრტყელი მასალის ერთსახეობის დასარღვევად ნივთიერი მასალა არა კედლებზე, არამედ განათებულ ნიშებში მოცულობით ფარებზე იყო წარმოდგენილი. ცალკეული დიდი თემების მიხედვით ფარებს სხვადასხვა ფერი ჰქონდა მიცემული. სვეტებს შორის ფრიზზე ექსპონირებული იყო უნიკალური ფოტოებიდან დამზადებული დიდი ზომის დიაპოზიტივები [ბოლქვაძე 1974: 175-176]. ეს ექსპოზიცია 1958 წელს გაიხსნა და 1966 წელს დაიხურა.

1961 წელს გაიხსნა „ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის“ პირველი ნაწილი (ხელმძღ. ალ. ჯაეახიშვილი, მხატვარი ა. ვარაზი). ამ ექსპოზიციისათვის არქეოლოგიური კვლევები საქართველოს ბევრ რეგიონში ჩატარდა, მათ შორის ურბნისში, სადაც ითხრებოდა ადრებრინჯაოს ხანის, ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანის ნაქალაქარი. აქ მოპოვებული მასალის დიდი ნაწილი ექსპოზიციაში მოხვდა. ექსპოზიციაზე წარმოჩენილი იყო ადრეული ქვის ხანიდან ვიდრე ახ.წ. IVს-მდე პერიოდი. ის ოთხი განყოფილებისგან შედგებოდა: ქვის ხანა, ლითონის წარმოების ადრეული ეტაპი - შუაბრინჯაოს ხანა, გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანა, ანტიკური ხანა [ბოლქვაძე 1974: 172]. არსებობდა ორი აზრი იმის შესახებ თუ როგორი უნდა ყოფილიყო ექსპოზიციაში ექსპონატების გარემო. ერთნი ემხრობოდნენ აზრს, რომ გარემო მაქსიმალურად სადა უნდა ყოფილიყო, რომ ხელი არ შეშლოდა ექსპოზიციის შინაარსის აღქმას. მეორენი კი იცავდნენ

აზრს, რომ საჭიროა ისეთი გარემო, რომლის სტილი შეესაბამება ექსპონატების შექმნის ეპოქას [Михайловская 1964]. ექსპოზიციის მომწყობნი პირველ მოსაზრებას იზიარებდნენ. მაქსიმალურად სადა გარემო, პირველხარისხოვანი ექსპონატებისაგან შექმნილი კომპოზიცები, რომლებსაც იშვიათი ფერადი ფონები ერთეოდა ნათლად გადმოსცემდა საექსპოზიციო კომპლექსების შინაარს. კედლების გასწვრივ განლაგებული, შიგნითა მხრიდან განათებული ვიტრინები რელიეფურად წარმოაჩენდა ექსპონატებს, თემის შინაარს, საშუალებას იძლეოდა დარბაზების შუა სივრცე გათავისუფლებულიყო და ხელს უწყობდა ექსპოზიციის მთლიან აღქმას. ექსპოზიცია თითქმის მთლიანად დედანი ექსპონატებით იყო წარმოდგენილი, რაც მის დიდ ღირსებას და სიახლეს წარმოადგენდა. იმ დროისათვის მაღალ დონეზე მდგარი მხატვრული გადაწყვეტა ხაზს უსვამდა თანამედროვე თვალსაზრისის გატარებას ექსპოზიციის შინაარსში, რის შედეგადაც უძველესი მასალა ახ-

ლებურად გამოიყურებოდა. მთელი ექსპოზიცია მნახველს წარმოუდგებოდა მეცნიერული შინაარსით სავსე, ერთ მთლიან ნაწარმოებად, რომელშიც საქართველოში მოსახლე ტომების სამეურნეო, კულტურული და სოციალური ცხოვრების უმთავრესი საფეხურები იყო ასახული. ორმოცი წლის მანძილზე განხორციელებული დიდი საველე და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მონოგრაფიული შეჯამების შედეგად საქართველოს უძველესი კულტურა პირველად იყო ექსპონირებული არა ცალკეული პერიოებით ან ცალკეული თემებით, არამედ უწყვეტად, გაბმულად უძველესი დროიდან შუასაუკუნეების ჩათვლით. ფონდებში თავმოყრილი დიდძალი პირველხარისხოვანი არქეოლოგიური მასალიდან შერჩეული იქნა მხოლოდ თემის იდეის გასახსნელად საჭირო - ტიპიური და უნიკალური ექსპონატები. მასალის მკაცრმა და შეზღუდული რაოდენობით შერჩევამ მათ თავისუფლად განლაგებას შეუწყო ხელი. ინტერიერისა და გამოსაფენი ნივთების ურთიერთმიმართების

სრულიად განსხვავებული მიდგომის პრინციპი „ჩაბნელებული ინტერიერი, განათებული ვიტრინა“ საშუალებას ქმნიდა მაყურებლის ინტერესი მთლიანად ექსპონატისკენ ყოფილიყო მიმართული [ბოლქვაძე 1974: 174]. სტილისტურ-თემატური გადაწყვეტის თვალსაზრისით და ნივთის წარმოდგენის ახალი ფორმის დამკვიდრების ცდით ეს ექსპოზიცია წინამორბედ ექსპოზიციებთან შედარებით განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ცალკეული თემების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებამ მისი ისტორიულობა წარმოაჩინა. ეს იყო ნივთიერი მასალის საშუალებით, თანამედროვე თვალსაზრისით ახსნილი ისტორიული მოვლენების ჩვენება, რაც ექსპოზიციას საეტაპო და ეტალონურ მნიშვნელობას ანიჭებდა. აქედან დაიწყო სრულიად ახალი გამომსახველობითი ფორმის დამკვიდრება. ამ გამოფენამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია არა მარტო ყოფილ საბჭოთა სივრცეში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

1963 წელს გაიხსნა ამ ექსპოზიციის მეორე ნაწილი, (ხელმძღ. პ. ზაქარაია, მხატვარი ა. ვარაზი, ა. ჩიქოვანი, ა. დავითაია). ის ორი განყოფილებისგან შედგებოდა და ადრეშუასაუკუნეებიდან (IV-Xსს.) განვითარებულ შუასაუკუნეებამდე (XI-XIIIსს.) პერიოდს მოიცავდა. თითოეული განყოფილება წარმოდგენილი იყო თემებით: ეკონომიკა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება, კულტურა. დედანი ექსპონატების სიმცირის გამო ზოგიერთი თემის წარმოსადგენად უხვად იყო ჩართული ფოტომასალა [ბოლქვაძე 1974: 175]. მიუხედავად ამისა სამუზეუმო ხერხების და მხატვრული გაფორმების მეშვეობით, ანუ იგივე პრინციპით როგორც პირველი ნაწილის მოწყობის დროს, მაინც მიღწეულ იქნა ექსპოზიციის მიზანის - ისტორიული პროცესის ჩვენების მკაფიოდ წარმოჩენა.

1965 წელს მუზეუმის დირექტორად ნ. ჩერქეზიშვილი დაინიშნა. მუზეუმში ჩამოყალიბდა მეცნიერული პროპაგანდის განყოფილება, რო-

მელსაც მეცნიერული პროპაგანდა უნდა გაეწია, მათ შორის ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. რადგან მუზეუმში დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა საბჭოთა ხანის ექსპოზიცია და ამ პერიოდის ამსახველი გარკვეული თემები სხვადასხვა ექსპოზიციებში იყო ჩართული, შეიქმნა საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილება, რომელმაც დაიწყო მასალების შეგროვება საბჭოთა პერიოდის სტაციონარული ექსპოზიციის მოსაწყობად. 1967 წელს მოეწყო საქართველოს 1921-1966წწ-ის მოვლენების ამსახველი ექსპოზიცია, რომელიც ისტორიული პერიოდების მიხედვით ასახავდა საქართველოს მეურნეობის, მეცნიერების და კულტურის განვითარებას (ხელმძღ. ნ. შველიძე). ეს იყო „ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიციის“ დამამთავრებელი ნაწილი. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა. ნივთიერი და დოკუმენტური მასალის საშუალებით, დაპირისპირების მეთოდის გამოყენებით ნაჩვენები იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემ-

დეგ საქართველოს მოწინავე განვითარებული ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ქვეყნად გადაქცევის პროცესი. ნაჩვენები იყო წარმოების დარგების ყველა მიღწევა. გამოტანილი იყო წარმოების იარაღები და პროდუქცია, ასევე მემორიალური ნივთიერი მასალა. დარბაზი ღია ნეიტრალურ ფერებში მთლიანად იყო განათებული. მრავლად იყო ფოტოები და ბრტყელი მასალა, რომელსაც გვიანი პერიოდის ექსპოზიციებში როგორც ისტორიულ წყაროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამრიგად მუზეუმში ფუნქციონირებდა კარგად გამართული ექსპოზიცია, რომელშიც გარდა არქეოლოგიური, შუასაუკუნეების ნაწილის და ეთნოგრაფიული თემატიკური გამოფენისა, არსებობდა საგანძურის, XIXს-ის მატერიალური კულტურის და საბჭოთა საქართველოს პერიოდის ამსახველი გამოფენები.

„ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიცია“ ახალი სიტყვა იყო საექსპოზიციო საქმიანობაში. ნაცვლად ადრე არსებული გამოფე-

ნებისა, რომლებიც საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებს ასახავდნენ, ერთიანი გამოფენა მნახველს საქართველოს ისტორიის და კულტურის შესახებ წარმოდგენას უქმნიდა უძველესი დროიდან XXს-ის შუა პერიოდამდე. ექსპოზიცია საეტაპო მნიშვნელობისა იყო და განვითარების უმნიშვნელოვანესს საფეხურს წარმოადგენდა. პირველად მოხდა, რომ არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე, სხვადასხვა ეპოქების ამსახველი პერმანენტული გამოფენების საშუალებით აღდგა საქართველოს ისტორიის სრული სურათი. მის შესახებ ა. აფაქიძე წერდა: „საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწინაურების ყველაზე მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს საქართველოს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილი ახალი არქეოლოგიური გამოფენა, რომელიც არსებითად მონოგრაფიული შეჯამებაა ქართველ არქეოლოგთა მიერ ორმოცი წლის მანძილზე განხორციელებული დიდი საველე და სამეცნიერო კვლევითი მუშაობისა“

[აფაქიძე 1961]. ეს ვრცელი გამოფენა ბევრ მნახველს იზიდავდა, დამთვალიერებელთა რიცხვმა 452000 მიაღწია.

ამ პერიოდიდან მუზეუმის ისტორიაში ნაყოფიერი პერიოდი დაიწყო. დიდი ყურადღება ექცეოდა სამეცნიერო კვლევებს, განვითარდა საექსპოზიციო და საფონდო საქმიანობა. მოსკოვში ორიენტალისტთა XXV კონფერენციისათვის მოეწყო გამოფენა სადაც ნაჩვენები იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები მათ შორის არქეოლოგიური. ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა VII საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით მუზეუმმა ორი გამოფენა მოაწყო. პირველი მოსკოვში „ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები" და მეორე თბილისში „კავკასიის ხალხთა შინამრეწველობის ზოგიერთი დარგი" [ბოლქვაძე 1974: 165]. საიუბილეო ბამოფენა გაიხსნა მუზეუმის პირველი გამოფენიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად. ასევე მოეწყო რამდენიმე ანტირელიგიური ხასიათის მოძრავი გამოფენა. საქართველოში საბჭოთა

ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს მიეძღვნა დროებითი, მოძრავი გამოფენა „საბჭოთა საქართველოს 40 წელი“, რომელიც რკინიგზის ვაგონში იყო მოწყობილი. გამოფენამ შემოიარა საქართველოს ქალაქები და სომხეთსაც ესტუმრა. მუზეუმში გრძელდებოდა სამუზეუმო მასალების მოძიება. ინტენსიურად ხორციელდებოდა არქეოლოგიური გათხრები. საველე კვლევები გრძელდებოდა ურბნისში, ქვაცხელებზე, დმანისში, გრემის ნაქალაქარზე, სამშვილდეში, ზღუდერში, სამადლოში, ნოსტეში, გუდავაში და სხვა. ტარდებოდა სამეცნიერო სესიები. ძველი ადათ-წესების და დღესასწაულების დაფიქსირების მიზნით მოხერხდა რამდენიმე სრულმეტრაჟიანი ფილმის მონტაჟი (ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი), დაცული იყო ვიდეო და კინო მასალა. სამწუხაროდ მუზეუმის საქმიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა ის ჩაკეტილი სივრცე როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, ის მოკლებული იყო საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო თუ სამუზეუმო ცენტრებთან კავ-

შირს. თუმცა რიგი დაბრკოლებების გადალახვის გზით მუზეუმი მაინც ახერხებდა აქტიურ კონტაქტებს და არაერთი შესანიშნავი გამოფენა მოაწყო უცხოეთში. მუზეუმის სამეცნიერო-საგანმანათლებლო როლი საგრძნობლად გაიზარდა 70-იან წლებში. აკადემიის სისტემაში შეიქმნა საქართველოს მუზეუმის ფილიალები: სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი. არაერთი შესანიშნავი გამოფენა მოეწყო ბათუმის, ზუგდიდის, რუსთავის, თელავის, ახალციხის მუზეუმებში. 1974 წლიდან ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილება გადაკეთდა შუასაუკუნეების განყოფილებად, ხოლო ბურჟუაზიული ხანის მატერიალური კულტურის განყოფილება ახალი ისტორიის განყოფილებად [ჭილაშვილი 2002: 62]. ექსპოზიციის მოწყობისადმი სრულიად ახლებური მიდგომა ნათლად გამოიკვეთა გამოფენაზე „უძველესი ქართული საოქრომჭედლო ხელოვნება“ „სეიფი“ (ხელმძღ.

ალ. ჯავახიშვილი). მუზეუმის როლის გაცნობიერების მიზნით 1977 წელს მუზეუმების საერთაშორისო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ყოველი წლის 18 მაისი გამოეცხადებინა მუზეუმის საერთაშორისო დღედ, რაც შესანიშნავი საშუალება გახდა მუზეუმის თანამშრომლებისათვის საკუთარ აუდიტორიასთან შესახვედრად.

1980 წელს მუზეუმის დირექტორი ლევან ჭილაშვილი გახდა. 1982 წელს მუზეუმმა ხელოვნების მუზეუმთან და ხელნაწერთა ინსტიტუტთან ერთად გამოფენა მოაწყო პარიზში. წარმოდგენილი იყო მდიდარი არქეოლოგიური მასალა, შუასაუკუნეების ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერები. გამოფენას დიდი გამოხმაურება ხვდა წილად და საქართველოს მუზეუმი ევროპის ყურადღების ცენტრში მოექცა. 1983 წელს შეივსო 1963 წლის ფეოდალური ხანის გამოფენა, რომელმაც IV-XVIIIსს. მოიცვა (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი, მხატვარი ს. კენჭაძე). ამ პერიოდში მსოფლიოს მასშტაბით მუზეუმების, მათი

აქტიური როლის მიმართ მოთხოვნილებები გაიზარდა. მუზეუმები ცდილობდნენ გაევრცელებინათ ცოდნა არა მხოლოდ იმაზე რაც მოხდა, არამედ იმაზეც თუ როგორ და რატომ მოხდა. შეიცვალა დამოკიდებულება ნივთების მიმართ, უფრო საინტერესო გახდა მათი არსის შესწავლა, წინ წამოიწია დისკუსიებმა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს სათანადოდ უნდა ეპასუხა გაზრდილი მოთხოვნილებებისათვის. უკვე საკმარისი აღარ იყო ძველი ქვის ხანიდან დაწყებული თანამედროვეობამდე გაბმული ექსპოზიცია, ამიტომ დაიწყო ფართო საგამოფენო საქმიანობა, მუზეუმში ჩატარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები და აშენდა ახალი კორპუსი, მაგრამ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო 1990 წლიდან 2002 წლამდე მუზეუმს ისევ რთულ ვითარებაში მოუხდა საქმიანობა, თუმცა საერთო გაჭირვების მიუხედავად ის მაინც აგრძელებდა მუშაობას. დაცული მასალების საფუძველზე 1992 წელს ისრაელში, ქ. თელ-ავივში მოეწყო ქართველ ებრაელთა ყოფისა და

კულტურისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. გამოიცა კატალოგი ებრაულ და ინგლისურ ენებზე. 1995-1996წწ-ში გერმანიის სამ ქალაქში ზაარბრიუკენში, მიუნხენსა და დრეზდენში მოეწყო დიდი არქეოლოგიური გამოფენა „ოქროს საწმისის გზებით - არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოდან" (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი, თ. კიღურაძე). გერმანიის მხარემ მოახდინა საგამოფენო მასალის შემოწმება, ლითონის ნიეთების გაწმენდა, რესტავრაცია [ჭილაშვილი 2002: 66-67]. გამოიცა კატალოგი რომლის საშუალებით გამოფენა სხვა ქვეყნებმაც გაიცნო. ეს გამოფენა მუზეუმის ბოლო წლების საექსპოზიციო საქმიანობის ერთ-ერთი უდიდესი წარმატება იყო, რომელიც საფუძველი გახდა მსგავსი გამოფენის მოწყობისა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გამოფენას ამერიკის მოსახლეობისათვის უნდა ეჩვენებინა ძველი ქართული კულტურის და ხელოვნების ნიმუშები. ამისათვის შერჩეული იქნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ხელოვნების მუზეუმის და ხელნა-

წერთა ინსტიტუტის ექსპონატები. მაგრამ ეს წამოწყება მრავალი დაპირისპირების გამო (სახელმწიფო ხელმძღვანელობის მიმართ უარყოფითად განწყობილი ძალები, სამღვდელოება) არ განხორციელდა [ჭილაშვილი 2020: 67]. ძალზედ რეზონანსული იყო 1998 წელს მუზეუმში გახსნილი საქართველოს ბუნების ისტორიის ამსახველი ახალი გამოფენა (ხელმძღვ. აკად. დ. ლორთქიფანიძე). ექსპოზიციაში მთავარი ყურადღება დათმობილი ჰქონდა ადამიანს და მის გარემომცველ ბიო-გეოგრაფიულ და ზოოლოგიურ გარემოს ცალკეულ ქრონოლოგიურ ეტაპებზე. წინა პლანზე იყო წამოწეული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი როგორიცაა ევრაზიის კონტინენტზე პირველი ადამიანის განმარხებული ნაშთები, მათი განვითარებისა და ცხოვრების ამსახველი რეკონსტრუქციები. ექსპოზიცია საგანმანათლებლო ხასიათს ატარებდა სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. გამოფენასთან დაკავშირებით მოეწყო სიმპოზიუმი „პირველყოფილი ადამიანი ევროპის კარიბჭეს-

თან“. 2000 წელს ექსპოზიციას „ძველი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები“ დაემატა ახ.წ. IV-XIXსს. ოქრომჭედლობის ორი დარბაზი (შუასაუკუნეების და ეთნოგრაფიული). მთლიანობაში ეს გამოფენა როგორც აზრობრივად ისე მხატვრობისა და დიზაინის თვალსაზრისით წინა გამოფენის გაგრძელებას წარმოადგენდა. მასში ვიტრინები, მათი შიდა დიზაინი, განათება და სხვა წინამორბედი გამოფენის იდენტური იყო. ექსპოზიციაში პირველად განლაგდა ქრონოლოგიურად აღმავალი ნუმიზმატიკური მონაპოვარი, რამაც ძალზედ ეფექტური სახე მიიღო.

1999 წლის 23 ივლისს ლონდონში გაიხსნა გამოფენა ქალაქი „ვინო-პოლისი“ - ღვინის ოდისეა, რომელიც ვაზის და ღვინის ისტორიას მიეძღვნა. ექსპოზიცია იწყებოდა საქართველოს პავილიონით სახელწოდებით „საქართველო ღვინის აკვანი“. წარმოდგენილი იყო საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ხანის წიპწები, თასები, თიხის ჭურჭელი, სასმისები, ქვევრები. ექსპოზიცია გაიხსნა სიტყვებით „საქართველო

არის ის ქვეყანა, სადაც მოხდა ველური ვაზის გაკულტურება და ადამიანის სამსახურში ჩაყენება და ქართველი კაცი არის პირველი ვინც დააყენა ღვინო, მისცა მას ქართული სახელი „ღვინო“ და გაავრცელა ის მთელს მსოფლიოში“ [ჭილაშვილი 2002: 67]. გამოფენა მრავალი წლების განმავლობაში მოძიებული არქეოლოგიური და ისტორიული მასალის საფუძველზე მოეწყო. ყურადღების ცენტრში მოექცა 2000 წელს მოწყობილი გამოფენა „საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო“, რომელშიც ფრანგი, იტალიელი, ბერძენი და ესპანელი მეცნიერებიც მონაწილეობდნენ. ექსპოზიცია ფართო საზოგადოებისათვის იყო განკუთვნილი და კარგად იყო ილუსტრირებული. დიდი წარმატება ხვდა წილად გერმანიის ქ. ბოხუმში 2001 წელს მოწყობილ გამოფენას „არქეოლოგიური განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“ (ხელ. აკად. ოთ. ლორთქიფანიძე), რომლის მონახულება ბევრმა დამთვალიერებელმა შეძლო [ძიებანი 2002: 10]. 2001-2002წწ-ში გერმანიაში მოწ-

ყობილ გამოფენაზე „ტროა-ოცნება და სინამდვილე“ მუზეუმის მიერ წარმოდგენილი ექსპონატები ყველაზე გამორჩეული იყო [ჭილაშვილი 2002: 67]. მთელ საბჭოთა პერიოდში და მომდევნო წლებშიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ქვეყნის არა მარტო უმთავრესი სამეცნიერო და საექსპოზიციო დაწესებულება, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დაცვის ერთ-ერთი გარანტი იყო. მის მიერ მოწყობილი გამოფენების საშუალებით წარმატებით მოხდა ქართული კულტურის პოპულარიზაცია ამერიკასა და ევროპის მრავალ ქვეყანაში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

2004 წლის 30 დეკემბერს დაარსდა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომლის შემადგენლობაში ქვეყნის წამყვანი მუზეუმები შევიდა, მის მთავარ ღერძად კი უძველესი აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი იქცა. ამ გაერთიანების მიზანს მსოფლიო

სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე სამუ-ზეუმო გაერთიანების ჩამოყალიბება წარმოად-გენდა, რომელიც შეძლებდა სამეცნიერო, საექ-სპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის კომპლექსურად და ეფექტურად წარმართვას. ის უნდა გამხდარიყო სივრცე სადაც უზრუნველ-ყოფილი იქნებოდა უახლესი ტექნოლოგიების განვითარება, კონსერვაციის ინოვაციური მეთო-დების შემუშავება, ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატების თანამედროვე მეთოდებით ექსპო-ნირება, თაობებს შორის დიალოგის შენარჩუნე-ბა, ინტენსიური კავშირი საზოგადოებასა და მის ისტორიასთან. მას სათანადოდ უნდა ეპასუ-ხა მსოფლიოს მასშტაბით მუზეუმების მიმართ გაზრდილი მოთხოვნილებებისათვის, ამიტომ მისი კონცეპცია ერთიანი სამუზეუმო პოლიტი-კის შემუშავება, წარსულის შენარჩუნება და მომავლის ხედვა, ხოლო ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ქართული კულტურული მემკვიდ-რეობის დაცვა, პოპულარიზაცია, ბუნებრივი სამყაროს ძეგლების კვლევა და საზოგადოები-

სათვის ხელმისაწვდომობა გახდა. ექსპოზიციების მოწყობისას, უახლესი ტექნოლოგიური ინოვაციების, ტრადიციების დაცვისა და თანამედროვეობასთან კავშირის საშუალებით მუზეუმს უნდა წარმოეჩინა საქართველოს კულტურა და ისტორია. ამ მიზნის მისაღწევად მუზეუმში დაიწყო სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, აუცილებელი გახდა 1961-2005 წლებში მოქმედი ექსპოზიციის დემონტაჟი. ექსპოზიციამ, რომელიც ძველი ქვის ხანიდან თანამედროვეობამდე პერიოდს მოიცავდა გასულ საუკუნეში სახელი გაუთქვა არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ უძველეს ქართულ კულტურას, თუმცა უკვე აღარ იყო საკმარისი და მსოფლიო მასშტაბით გაზრდილ მოთხოვნილებებსაც ვეღარ პასუხობდა. დაიწყო ექსპოზიციების განახლება. ახალი მეთოდების მეშვეობით და სხვადასხვა საშუალებების კომბინირებით უნდა მიღწეულიყო საზოგადოების ოპტიმალური კავშირი ექსპონატებთან.

2005 წელს ეროვნული მუზეუმის ეგიდით მოეწყო პირველი ექსპოზიცია „ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა". ექსპოზიციაში წარმოჩენილი იყო 2003-2004წწ-ში ვანის ნაქალაქარზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძვ.წ. IVს-ის 30-იანი წლებით დათარიღებული მაღალი ოსტატობით შექმნილი ოქროს და ვერცხლის ნაკეთობები. საზოგადოებას თანამედროვე სცენოგრაფიისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მიეწოდა 1200-მდე ადგილობრივი და ბერძნული სამყაროდან შემოტანილი საუკეთესო ნაწარმი: ცხოველთა გამოსახულებიანი თავსამკაული, სხვადასხვა ტიპის საყურეები, სასაფეთქლეები, საკინძები, საბეჭდავები, ჩიტების ფიგურებით შემკული გულსაბნევი, ქსოვილის დასაკერებელი ფირფიტები, მძივები, თიხის, ვერცხლის და ბრინჯაოს ჭურჭელი. ყველაფერი ადასტურებდა ოქრომრავალი კოლხეთის რეალობას და მიანიშნებდა იმაზე, რომ ვანი ანტიკური ხანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოად-

გენდა. ეს იყო უახლესი მხატვრული ხერხებით და ტექნოლოგიებით უნიკალური ნივთების ახლებურად წარმოდგენის პირველი ცდა. ექსპოზიცია დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ის 40000-ზე მეტმა დამთვალიერებელმა მოინახულა. რვა ენაზე გამოცემული კატალოგი „ოქრომრავალი კოლხეთი" მკითხველს გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატებს და ვანის ნაქალაქარის მეცნიერულ მნიშვნელობას აცნობდა. ამ კოლექციით მსოფლიოს თორმეტი საგამოფენო ცენტრი დაინტერესდა. დაიწყო მისი სხვადასხვა ქვეყნებში ექსპონირება, მათ შორის ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუტის არტურ საკლერის გალერეაში. გამოფენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მრავალი უცხოური ჟურნალ-გაზეთის წამყვან გვერდებზე დაიბეჭდა სტატიები „გასაოცარი ქართული საგანძურის" შესახებ. ექსპოზიციას თან ახლდა სამეცნიერო კონფერენციები და საგანმანათლებლო პროგრამები. ვანის სამარხებმა ერთმანეთს საბოლოოდ გადააჯაჭვეს არგონავტების მითი და რეალობა.

ანტიკურმა საქართველომ, ოქროს საწმისის სამშობლომ თავისი საგანძური აჩვენა და შეუწყო ხელი უძველესი ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

ამის შემდეგ, მუზეუმში დაცული კოლექციების უნიკალური არტეფაქტების შესწავლის და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის გზით არა ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა გაიცნო დაინტერესებულმა საზოგადოებამ. 2006 წელს დმანისის აღმოჩენების საფუძველზე გერმანიაში, ბონში გაიმართა გამოფენა „კაცობრიობის ფესვები". მომდევნო წელს, პროექტის „ქართული სეზონი 2007"-ის ფარგლებში გამოფენები მოეწყო ევროპასა და ამერიკაში. ბერლინმა უმასპინძლა მოძრავ გამოფენას „მედეას ოქრო - ახალი აღმოჩენა საქართველოდან". ალტეს მუზეუმში გამოიფინა ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ანტიკური ხანით (ძვ.წ.V–IIIსს.) დათარიღებული საიუველირო ნაწარმი: ჭედური გამოსახულებებით მორთული დიადემები, სხვადასხვა სახის საყურეები, სასაფეთქლეები, ცხო-

ველთა საკულტო გამოსახულებიანი სამაჯურები, ვერცხლის სამკაული, სამოსელის აქსესუარები, ბრინჯაოს და რკინის ქანდაკებები, ჰერალდიკურ გამოსახულებიანი ყელსაბამები, გულსაბნევები, ბეჭდები. ექსპონატების პრეზენტაციის საშუალებით, მათი ინდივიდუალობის შენარჩუნებით წარმოჩინდა ის ისტორიული და სოციალური გარემო რომელმაც წარმოშვა გამოფენილი ნივთები, ან კვალი დატოვა მათზე.

2007 წელს ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა ვანის ნაქალაქარისათვის მანამდე უცნობი ძეგლი - განძი, რომელიც ბრინჯაოს და რკინის უნიკალური ნაწარმისაგან შედგებოდა. ვანში კოლხეთის რელიგიურ ცენტრში აღმოჩენილი ეს უნიკალური სატაძრო ინვენტარი გვიანელინისტური ხანის ხელოვნების ნიმუშებს შეიცავდა. აღსანიშნავია: ბრინჯაოს დიდი ზომის სარიტუალო ჭურჭელი კედელზე მიმაგრებული მედუზა-გორგონას თავის გამოსახულებიანი აპლიკაციით, სადგრები, სასაკმეველე რომელზეც გამოსახული იყო ბერძნული მი-

თოლოგიური პერსონაჟები, ჭრაქები, სპილენძის მინიატურული ფიგურები, რკინის კანდელაბრი, სადგარი, ჭრაქები, შუბისპირები. საკარაუდოდ განძის ჩაფლვა უნდა მომხდარიყო ძვ.წ. Iს-ის შუახანებში, ქალაქის დანგრევის შემდეგ [ახელედიანი 2008: 129]. დამთვალიერებლის წინაშე წარმოჩინდა შედევრები, რომლებიც მეტყველებდნენ, რომ კოლხეთი აქტიურად იყო ჩართული ელინისტურ სამყაროში მიმდინარე კულტურულ პროცესებში. 2010 წელს ვაშინგტონში სმითსონის ინსტიტუტის ბუნების ისტორიის მუზეუმში მოეწყო ადამიანის ევოლუციისადმი მიძღვნილი მუდმივმოქმედი გამოფენა სადაც ეროვნულმა მუზეუმმა წარმოადგინა ასლები დმანისის აღმოჩენებიდან. დმანისის აღმოჩენების საფუძველზე გამოფენა მოეწყო ასევე რომში „Homo Sapiens, ადამიანის ევოლუციის ხანგძლიეი ისტორია“ Palerro delle Esposizioni.

ექსპოზიციის მოწყობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთია, რომელიც გზაა არქეოლოგიური გათხრებიდან საგამოფენო დარბაზამდე,

მისი საშუალებით ოპტიმალური კავშირი მყარ-
დება საზოგადოებისა და ექსპონატებს შორის.
სწორედ ასეთი კავშირის მისაღწევად, ახალი
სხვადასხვა საშუალებების კომბინირების სა-
შუალებით 2011 წელს საქართველოს ეროვნულ
მუზეუმში გაიმართა ქვევრის ღვინის საერთა-
შორისო სიმპოზიუმი და ქვევრის ღვინის ისტო-
რიისადმი მიძღვნილი გამოფენა. ექსპოზიციაში
წარმოდგენილი იყო მუზეუმის კოლექციებში
დაცული მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავში-
რებული ძვ.წ. IVათასწ-ის II ნახ. - ძვ.წ. IVსს-ის
ექსპონატები: სამეურნეო იარაღები, ღვინის სა-
წური, ღვინის შესანახი ჭურჭელი, სასმისები
და სხვა. ამავე წელს მუზეუმში სარემონტო-სა-
რეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრების შემ-
დეგ გაიხსნა ახალი არქეოლოგიური აღმოჩენე-
ბით განახლებული მუდმივმოქმედი გამოფენა
„არქეოლოგიური საგანძური", რომელშიც ნაჩ-
ვენები იყო ქართული ოქრომჭედლობის განვი-
თარების გზა ძვ.წ. IIIათასწ-დან ახ.წ. IVს-მდე.
ექსპოზიციაში გამოფენილი იყო ქართლის, კა-

ხეთის და თრიალეთის მდიდრულ ყორღანებში აღმოჩენილი, ადგილობრივად დამზადებული ოქრომჭედლობის 600-ზე მეტი ნიმუში - ოქროს და ვერცხლის სამკაული, სხვადასხვა სარიტუალო ნივთები, ჭურჭელი, შტანდარტები, რომლებიც იმდროინდელი საზოგადოების მდიდარ ფენას ეკუთვნოდა. წარმოდგენილი იყო ასევე კოლხეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ვანის და საირხეს წარჩინებულთა სამარხებში აღმოჩენილი ძვ.წ. V-IVსს-ის კოლხური ოქროს სამკაული: დიადემები, სასაფეთქლეები ხვიები, ყელსაბამები, საკინძები, სამაჯურები, ბეჭდები. ეს ნივთები კარგად ხსნიდა თუ რატომ იხსენიება კოლხეთი ბერძნულ-რომაულ წყაროებში ოქრომრავალად და სიმდიდრით განთქმულად. საზოგადოებამ პირველად იხილა ვანში აღმოჩენილი ძვ.წ. IVს-ის ვერცხლის სარტყელი, ბრინჯაოს და რკინის ქანდაკებები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო „ახალგორის განძი", იბერიის სამეფო ოჯახის წევრთა, ადგილობრივ წარჩინებულთა (პიტიახშთა) სამარხებში აღმო-

ჩენილი პოლიქრომიული სტილით გამორჩეული ოქრომჭედლობის მრავალი ნიმუში, ტორევტიკის და გლიპტიკის ნამდვილი შედევრები. ამ ექსპოზიციის ნაწილმა რამდენიმე წელი მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში იმოგზაურა და დიდი წარმატება ხვდა წილად.

2013 წლის მიწურულს ექ. თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გაიხსნა განახლებული მუდმივმოქმედი არქეოლოგიური გამოფენა „საქართველოს არქეოლოგია ძვ.წ. VIIIათასწ-დან ახ.წ. IVს-მდე“. მასში პირველად იქნა წარმოდგენილი უკანასკნელი 50 წლის მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. ძველი და ახალი აღმოჩენების ფონზე გამოფენა ნათლად ასახავდა ქართული კულტურის განვითარების უწყვეტ ხაზს ნეოლითის ეპოქიდან გვიანანტიკურ ხანამდე. ხანგძლივი პერიოდის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა დალაგებული იყო არა მხოლოდ ქრონოლოგიური პრინციპით, არამედ თემების, კერძოდ

კონკრეტულ ეტაპზე გამოვლენილი კულტურე-
ბის მიხედვითაც. ექსპოზიცია რვა სექციას მოი-
ცავდა, ყველა სექციაში უკვე ცნობილ ნივთებ-
თან ერთად დამთვალიერებელს შეეძლო ეხილა
ახალი აღმოჩენები [კაჭარავა 2014: 33]. აღსანიშ-
ნავია: არუხლოს ძვ.წ. VI-Vათასწ-ის ნამოსახ-
ლარზე აღმოჩენილი ქვის, ძვლის, რქის და ობ-
სიდიანის იარაღები, რელიეფური კერამიკა,
სარდიონის საკიდები, სპილენძის მძივები, თი-
ხის ჭურჭელი; ბერიკლდეების ენეოლითურ ნა-
მოსახლარზე გამოვლენილი სატაძრო კომპლექ-
სიდან კერამიკა და სპილენძის უძველესი სამ-
კაული; მტკვარ-არაქსის კულტურის მრავალფე-
როვანი მასალა ციხიაგორას ნამოსახლარიდან;
საყდრისში მადნისეული ოქროს მოპოვების უძ-
ველეს კერაზე და ახლოს მდებარე ბალიჭი-ძეძ-
ვების ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვის იარა-
ღები და მაღაროში ნაპოვნი მტკვარ-არაქსული
თიხის ჭურჭელი; 2012 წელს კახეთში, სოფელ
ჭაბუკიანთან გრანდიოზულ ყორღანულ სამარხ-
ში აღმოჩენილი ძვ.წ. IIIათასწ-ის შუახანების

და მეორე ნახევრის მრავალფეროვანი ინვენტარი - ოქრომჭედლობის ნიმუშები: ორნამენტირებული საკიდები, მძივები, უმბონები, საკიდები, ქარვის მძივებისაგან შედგენილი უნიკალური ყელსაბამი, ხისგან დამზადებული ნივთები, ორნამენტირებული კერამიკა, შალის და ტყავის ნაკეთობები [მახარაძე 2014: 50-68]. ასევე ადრეყორღანული, კერძოდ ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა ბერიკლდეების ნამოსახლარიდან; თრიალეთის კულტურის ეპოქის ორნამენტირებული კერამიკული ჭურჭელი ქვემო ქართლის ყორღანებიდან; ბერიკლდეებში გვიანბრინჯაოს ხანის მდიდრულ ყორღანებში აღმოჩენილი გამორჩეული კერამიკული ნაწარმი და ბრინჯაოს მხატვრული ნიმუშები, მათ შორის შტანდარტები; წალკაში BP-ის მიერ ნავთობსადენი მილის გაყვანისას აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა; მარნეულში სოფელ ილმაზლოში ადრერკინის ხანის სამარხში აღმოჩენილი ოქროს სამკაული [კაჭარავა 2014: 34].

ანტიკური ხანის აღმოჩენებიდან გამორჩეული ადგილი ეკავა 2007 წელს ვანში კოლხეთის რელიგიურ ცენტრში განძის სახით აღმოჩენილ ელინისტური ხანის უნიკალურ სატაძრო ინვენტარს: ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელს, ჭრაქებს, სასაკმეველეს რომლებზეც გამოსახული იყო ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟები და ასევე სპილოს მინიატურული ფიგურები. დამთვალიერებელს შეეძლო ეხილა ელინისტური ეპოქის ვანის ცნობილი ბრინჯაოს ჭაბუკის ტორსი, რომთან და სასანიდურ ირანთან ქართლის (იბერიის) მჭიდრო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობების ამსახველი მრავალფეროვანი მასალა და რომაული ყოფის ამსახველი სხვადასხვა ნივთი. ექსპოზიციას ამთავრებდა არქეოლოგიური მასალა, რომელიც თბილისში ენეოლითური ეპოქიდან გვიანანტიკურ ხანამდე უწყვეტი ცხოვრების კვალს ადასტურებდა. აღსანიშნავია თრელის სამაროვნის ადრერკინის ხანის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ადგილობრივი წარმოების ცვარათი შემკუ-

ლი საყურეები, გლადიატორისა და ლომის ბრძოლის ამსახველი ბრინჯაოს ქანდაკება [კაჭარავა 2014: 35]. თანამედროვე, სამუზეუმო სტანდარტების მიხედვით გამართული ძველი ვიტრინები და ახალი სცენოგრაფიით წარმოდგენილი ექსპონატები სიმბოლურად გამოხატავდა კავშირს ძველსა და ახალს შორის, რასაც თავად არქეოლოგია ემსახურება.

2015 წელს ისრაელში ზემო გალილეის პრეისტორიის მუზეუმში გამოიფინა დმანისში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ნაშთების ასლები. ღონისძიების ფარგლებში თელ-ხაის აკადემიურ ინსტიტუტში საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა აკად. დ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა ლექცია.

2016 წლის 27 სექტემბერს გაიხსნა გამოფენა „ქვის ხანის საქართველო". ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო საქართველოს ქვის ხანა (1.77მლნწ. - 8000წ.) და მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი ანთროპოლოგიური მასალა. შესავალ ნაწილში ნაჩვენები იყო გვიან

მიოცენური ასაკის (8,5მლნ.წ.) ხმელეთის ფაუ-ნის ევოლუცია და სამხრეთ კავკასიაში ადრეუ-ლი ჰომინიდების განსახლებამდე არსებული პა-ლეოგარემო. ნაჩვენები იყო, როგორც პალეონ-ტოლოგიური მასალა ასევე ადამიანის მიერ დამზადებული ქვის იარაღები. დამთვალიერებე-ლი იღებდა ინფორმაციას, რომ დმანისი აფრი-კიდან განსახლების პირველ ადგილსამყოფელს წარმოადგენს და აქ აღმოჩენილი ადამიანის ნაშთები უძველესია ევრაზიის ტერიტორიაზე.

ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტე-ბის დიდ ნაწილს მიეძღვნა 2016 წელს ექსპოზი-ცია, რომელშიც წარმოდგენილი იყო სხვადასხ-ვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა სა-მარხებში აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის სამკაული. იმავე წელს საერთაშორისო კონფე-რენციის „მარილი, სპილენძი და ოქრო კავკა-სიაში - ადრეული სამთო საქმის და მეტალურ-გიის წარმოშობა კავკასიაში“ ფარგლებში გაი-

მართა გამოფენა „საქართველოს არქეოლოგია ახალი აღმოჩენების ფონზე“. გამოფენა მიეძღვნა ოთ. ჯაფარიძის 95 წლის იუბილეს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი არტეფაქტები ასახავდა იმ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს, რელიგიას და კულტურას. წარმოდგენილი ფოტოები და ფილმი მნახველს აცნობდა სამთო წარმოების სხვადასხვა ტექნიკას.

დიდი ინტერესი გამოიწვია ეროვნული მუზეუმის მიერ მოწყობილმა გამოფენებმა საზღვარგარეთ. საფრანგეთში ქ. ბორდოს ღვინის ცივილიზაციის ცენტრში 2017 წელს გამართულ ექსპოზიციას „საქართველო-მეღვინეობის აკვანი“, საფუძვლად ქართველი და უცხოელი მეცნიერების კვლევების შედეგები დაედო. კვლევები ჩატარდა მულტიდისციპლინარული პროექტის „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“ ფარგლებში, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი საქართველოს ეროვნული მუზე-

უმის გენერალური დირექტორი აკად. დავით ლორთქიფანიძე იყო. პროექტი განხორციელდა ღვინის ეროვნული სააგენტოს, შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის და ტორონტოს უნივერსიტეტის მხარდაჭერით. გამოფენის საფუძველს ეროვნული მუზეუმის მიერ მომზადებული ექსპოზიცია წარმოადგენდა, რომელიც ქართული მეღვინეობის უწყვეტ ისტორიას და ტრადიციას ასახავდა. გამოფენის სახელწოდება იმაზე მეტყველებდა, რომ საქართველო უძველესი ღვინის ქვეყანაა, რომ აქ პირველად მოხდა ვაზის მოშინაურება, ქვევრში ღვინის დაყენება 8000 წლის წინ დაიწყეს და ვაზი და მეღვინეობა მთელ მსოფლიოში აქედან გავრცელდა. ამას ადასტურებდა ნეოლითური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე „გადაჭრილი გორა“ და „შულავერის გორა“ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. გამოვლინდა უძველესი ვაზის წიპწები, ვაზის ორგანული ნარჩენები, VI-Vათასწ-ის თიხის ჭურჭელი, რომლის ფსკერზე ღვინის ორგანული მჟავის არსებობა დადას-

ტურდა. ეროვნულ მუზეუმში დაცული ამ თიხის ჭურჭლის დეტალების რეკონსტრუქციის შედეგად დადგინდა რომ ეს იყო ბრტყელი ფსკერის და ვიწრო ყელის მქონე ჭურჭელი რომელიც 5ლ. სითხეს იტევდა. პალეობოტანიკურმა კვლევებმა ცხადყო ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში ვაზის კულტურის ფართო გავრცელება.

პროექტის ლოგო იყო ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ბრინჯაოს კაცუნა - თამადა. შესასვლელში იდგა ბრტყელი ფსკერის და ვიწრო ყელის მქონე 5ლ. სითხის ტევადობის დიდი ზომის ქვევრი. არქეოლოგიური მასალის საშუალებით დადასტურდა, რომ ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში არსებობდა ხანგძლივი ცხოვრების კვალი, განვითარებული მეთუნეობა, ვაზის კულტურის ფართო გავრცელება, რომ ქვემო ქართლში ვაზის კულტივირებისათვის შესაბამისი პირობები არსებობდა და აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძვ.წ. 6000-5800წწ-ში ე.ი. 8000 წლის წინათ აყენებდნენ. ამ ექსპოზიციის შესახებ აშშ-ს მეცნიერე-

ბათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურ-
ნალში გამოქვეყნდა სტატია „საქართველოს
ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკა-
სიიდან“.

2018 წელს ევროკავშირის წარმომადგელობის
მხარდაჭერით, საქართველოში კულტურული
მემკვიდრეობის ევროპულ წელთან დაკავშირე-
ბით გაიხსნა გამოფენა „ოქროდ ქცეული სიბრ-
ძნე“ - „ხიდი წარსულსა და მომავალს შორის“.
გამოფენა თვალსაჩინო მაგალითი იყო საქართ-
ველოს ეროვნული მუზეუმის წინაშე მდგარი
გამოწვევისა, რომელიც წარსულის შენარჩუნე-
ბას, სინამდვილესთან ზიარებას და მომავლის
ხედვას ითვალისწინებდა. ექსპოზიციაზე წარ-
მოდგენლი იყო მუზეუმში დაცული ოქროს პო-
ლიქრომიული თასის ზუსტი ასლი, მისი ექსპე-
რიმენტალური კვლევის შედეგები და ფილმი
სადაც აღბეჭდილი იყო თასის რეკონსტრუქცი-
ის პროცესი. გამოფენილი იყო უძველესი ტექ-
ნოლოგიების აღდგენის საფუძველზე დამზადე-
ბული საოქრმჭედლო იარაღები. ოქრომჭედლო-

ბის უნიკალური ნიმუში, ურთულესი ტექნიკური ხერხებით დამზადებული ეს ოქროს თასი პროფ. ბ. კუფტინის მიერ 1937 წელს თრიალეთის XVII ყორღანში იქნა აღმოჩენილი სხვა მდიდრულ ინვენტართან ერთად. ძვ.წ. II ათასწლეულით დარიღებული თასი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ოქრომჭედლობა მეტალურგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მისი დამზადების ყველა რთული ტექნიკური ხერხი გაგრძელებას პოულობს შემდგომი ეპოქების ქართულ ოქრომჭედლობაში ეს კი მიუთითებს, რომ კავკასიის ეს რეგიონი იყო ხიდი მახლობელ აღმოსავლეთსა და ევროპას შორის და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტექნოლოგიური ინოვაციების გავრცელებაში. თასთან ერთად წარმოდგენილი იყო გვიანანტიკური ხანის ოქროს სამკაული, საოქრომჭედლო იარაღები, ძვირფასი ლითონის ნაკეთობები. ექსპოზიციაში ნათლად აისახა ოქროს და ზოგადად ლითონის შესახებ ცოდნის მრავალსაუკუნოვანი გზა საქართველოში, რომელიც თაობიდან თაობას გა-

დაეცემოდა და რითაც ქართულმა კულტურამ საკუთარი ადგილი დაიკავა ევროპულ ცივილიზაციაში [ლორთქიფანიძე 2019: 7-9]. გამოფენას თან ახლდა სხვადასხვა ასაკისთვის განკუთვნილი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები.

წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშები იყო წარმოდგენილი შუა საუკუნეების საგანძურის განახლებულ ექსპოზიციაზე, რომელიც მოეწყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ეროვნული არქივის ერთობლივი ძალისხმევით. მასში წარმოდგენილი იყო VIს-ის დავითის სტელა ქართული ანბანის უძველესი გამოსახულებით, V–VIსს-ის მოზაიკის ნიმუშები ბიჭვინტიდან, XII-XVIIIსს-ის ნაქარგობის ნიმუშები, XII-XVIIსს-ის ხატები და სხვა გამორჩეული ექსპონატები.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ინიციატივით 2018 წლის ბოლოს და 2019 წლის დასაწყისში

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობა მიიღო ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე. ფრანკფურტის სხვადასხვა მუზეუმებში გამართა სამი გამოფენა და საგანმანათლებლო პროგრამები. მიზანი იყო საქართველოს და მთლიანად კავკასიის ტერიტორიაზე ადამიანის განვითარების ისტორიის ჩვენება პრეისტორიული ეპოქიდან ანტიკური ხანის ჩათვლით.

მაინის ფრანკფურტში ზენკენბერგის საბუნებისმეტყველო მუზეუმში (Naturmuseum Senckenberg) წარმოდგენილი იყო დმანისში აღმოჩენილი 1800000 წლის წინანდელი ჰომინიდის ნაშთები, ადამიანის წინაპართა ისტორია და მათი მოგზაურობა აფრიკიდან კავკასიის გავლით. ლიბიკჰაუსის მუზეუმში (Skulpturensammlung Liebghaus) ნაჩვენები იყო ანტიკური სამყარო და მედეას მითოლოგიური სახე ძველ მსოფლიოში. არქეოლოგიის მუზეუმში (Archaologisches Museum Frankfurt am Main) გაიხსნა გამოფენა „ოქრო და ღვინო საქართველოს უძველესი საგანძური“.

ექსპოზიცია ასახავდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ადრეული კულტურების განვითარების სრულ სურათს. გამოიფინა ექსპონატები ქეის ხანიდან ბრინჯაოს ხანის ჩათვლით. ნაჩვენები იყო ამ პერიოდების ნამოსახლარების მასალა, სამიწათმოქმედო კულტურების არტეფაქტები, კავშირები მესოპოტამიასა და შავი ზღვის ქვეყნების კულტურებთან. მოთხრობილი იყო ღვინის და ოქროს წარმოების შესახებ. გამოფენამ ნათლად წარმოაჩინა ქართულ-გერმანული ერთობლივი არქეოლოგიური პროექტების უახლესი შედეგები. გამოიცა კატალოგი, დაიბეჭდა სამეცნიერო სტატიები მდიდარი საილუსტრაციო მასალით, გაიმართა სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამები.

ამრიგად საქართველოს ეროვნული მუზეუმი მასში დაცული კოლექციების მიხედვით სცილდება საქართველოს ფარგლებს და ფართო შინაარსის მატარებელია. მისი შენობა ფართო და დიდია, მნახველს საშუალება ეძლევა ნახოს და გაიგოს ბევრი საინტერესო საქართველოს მრა-

ვალსაუკუნოვან მდიდარ კულტურასა და ტრადიციებზე. აქ თავმოყრილია კავკასიის კულტურის მნიშვნელოვანი ნიმუშები, დაცულია ოქროს ფონდი, სხვადასხვა დროს მოპოვებული ქართული კულტურის ამსახველი უნიკალური არტეფაქტები უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. დიდი მნიშვნელობა აქვს თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილ ძვ.წ. II ათასწ-ით დათარიღებულ ნივთებს: ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვა ნაწარმს, კერამიკულ ჭურჭელს, სამკაულს და საიუველირო ნივთებს, საბრძოლო და სამეურნეო იარაღებს. დამთვალიერებელი ეცნობა ტანსაცმელს, ხალიჩების და ქსოვილის ნიმუშებს, მონეტების კოლექციას. დმანისში აღმოჩენილი 1,8 მილიონ წლის ასაკის ჰომინიდის (Homo ergaste) ნაშთები კი ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე იმ უძველეს ხანაში ადამიანთა არსებობას. ასევე თავისებურ უნიკალურ ექსპოზიციას წარმოადგენს ურარტუს წარწერების კოლექცია. მათთვის ვინც თანამედროვე ისტორიითაა დაინტერესებული მრა-

ვალი უნიკალური ექსპოზიციაა ოკუპაციის მუ-ზეუმში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამიზნე ჯგუფები ყველა ასაკობრივი კატეგო-რიაა, ვისაც უყვარს და აინტერესებს ისტორია, კულტურა, ხელოვნება, მათ შორის ტურისტები, საექსკურსიო ჯგუფები, მკვლევარები, მეცნიე-რები.

ეროვნულ მუზეუმში შემავალი მუზეუმები

შალვა ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

1932 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექციების ბაზაზე ჩამოყა-ლიბდა მუზეუმი, რომელსაც 1933 წლიდან სახ-ვითი ხელოვნების ცენტრალური მუზეუმი „მე-ტეხი“ ეწოდა. 1950 წელს მუზეუმის შენობას სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა და მასში შალვა ამირანაშვილის სახ. საქართვე-ლოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი გან-

თავსდა [სანიკიძე 1985: 188]. იმთავითვე მუზეუმი ხელოვნების ნიმუშთა უდიდეს სახელმწიფო საცავს წარმოადგენდა. 1984 წლისათვის მუზეუმში დაცული იყო ქართული, დასავლეთ ევროპის და აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების კულტურის თვალსაჩინო კოლექციები, მათ შორის VIII-XIXსს-ის ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები (ბედიის ბარძიმი, ზარზმის ფერიცვალების ხატი, ანჩისხატისა და ხახულის კარედები, თამარ მეფის ჯვარი), VIII-XVსს-ის ტიხრული მინანქრები, საიუველირო ნაწარმი, მხატვრული ქსოვილები, შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის, მონუმენტური ფერწერის და მოზაიკის, ქანდაკების, ხატწერის, ქვაზე კვეთილობის ნიმუშები, თანამედროვე ფერწერის და ქანდაკების ნიმუშთა კოლექცია.

იოსებ გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)

თბილისის ისტორიის მუზეუმი დაარსდა 1910 წელს, როგორც ქალაქის მუნიციპალური მუზე-

უმი. 1943 წლიდან მან ბინა დაიდო თბილისის ყოფილ ქარვასლაში და თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ეწოდა. 1965 წელიდან მუზეუმს იოსებ გრიშაშვილის სახელი მიენიჭა. მუზეუმში დაცულია ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ხალხური, გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების ნიმუშები, დოკუმენტური და ფოტო მასალა. მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში წარმოჩენილია თბილისის განვითარების ისტორია ძვ.წ. IVათასწ-ის დასასრულიდან დღემდე. 1986 წლიდან მუზეუმში ეწყობა ქართველ და უცხოელ ხელოვანთა გამოფენები.

გ. ჩიტაიას სახ. თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ დაარსდა 1966 წელს. მუზეუმი საქართველოს მინიატურულ მოდელს წარმოადგენს და ასახავს მრავალფეროვან ეთნოკულტურას. ის სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მასში დაცულია საბუნებისმეტყველო, მატერიალური

და სულიერი კულტურის ძეგლები. მუზეუმში 8000-ზე მეტი ექსპონატია დაცული. მის ტერიტორიაზე განთავსებულია თერთმეტი ზონა. ათი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ზონის ერთი ნახევარი აღმოსავლეთ და მეორე კი დასავლეთ საქართველოს წარმოაჩენს. ექსპოზიციაში წარმოდგენილია ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტები - 70-მდე საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა. მეთერთმეტე ზონა ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებს ეთმობა, მათ შორისაა ძვ.წ. II ათასწ-ის დოლმენები აფხაზეთიდან და საფლავის ქვების კოლექცია, ასევე V-VIსს-ის სიონის ბაზილიკა და აკლდამა, რომელიც მუზეუმის პირველი ექსპონატი იყო [ძმ 1966: 82-86]. მუზეუმის დათვალიერებისას თვალსაჩინო ხდება ქართველი ხალხის უძველესი კულტურა და ტრადიციები.

საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი

საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი 2006 წელს დაარსდა და განთავსდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში. მუდმივმოქმედ ექსოზიციაში წარმოდგენილია სამოცდაათწლიანი საქართველოს ისტორია (1921-1991წწ.). ექსპოზიციაში წარმოდგენილია 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ანტისაოკუპაციო მოძრაობის, საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების ამსახველი 3000-ზე მეტი ექსპონატი. საექსპოზიციო დარბაზში მოთავსებულ მონიტორზე მნახველს შესაძლებლობა აქვს იხილოს ამა თუ იმ პერიოდის შესაბამისი დოკუმენტრი კადრები. მუზეუმს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი.

თბილისის სამხატვრო გალერეა

1920 წელს ქართველი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით დაარსდა

თბილისის სამხატვრო გალერეა, რომელიც რუ-
სეთის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის ე.წ.
„დიდების ტაძრის“ შენობაში განთავსდა. შენო-
ბა რომში აგებული საგამოფენო სახლის მიბაძ-
ვით იყო აშენებული. მის ორივე დარბაზს მი-
ნის გადახურვა ჰქონდა და კარგად იყო განა-
თებული. გალერეაში პირველი ექსპოზიცია 1920
წელს მოეწყო და მასში ძველი და ახალი პე-
რიოდების ქართული და უცხოური სახეითი ხე-
ლოვნების ნიმუშები გამოიფინა. განახლების
შემდეგ გალერეა ეროვნული მუზეუმის ერთ-ერ-
თი ცენტრალური საგამოფენო სივრცე გახდა.
მასში 30000 ექსპონატია დაცული და შესაძლე-
ბელია როგორც ქართული ისე უცხოური ხე-
ლოვნების შედევრების ნახვა.

ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი

სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეო-
ბით ჯერ კიდევ XIXს-ის 80-იან წლებში დაინ-
ტერესდნენ. ადგილობრივმა მოძღვარმა, საზო-

გადო მოღვაწემ და მკვლევარმა ივანე გვარამა-ძემ ე.წ. „ვინმე მესხმა“ ახალციხეში მოაწყო „საოჯახო მუზეუმი“, რომელშიც თავისი შე-გროვებული ექსპონატები გამოფინა. ეს მუზეუ-მი იმ დროისათვის დიდ სამსახურს უწევდა ქართველ თუ უცხოელ სწავლულებს, მკვლევა-რებს და მოგზაურებს. სწორედ ამ მუზეუმის ექსპონატები დაედო საფუძვლად 1921 წელს ახალციხეში ჩამოყალიბებულ ახალ „სამაზრო მუზეუმს“, მაგრამ შენობის არარსებობის გამო „სამაზრო მუზეუმი“ გაუქმდა და მისი ექსპონა-ტები აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სა-ხელმწიფო მუზეუმს გადაეცა. 1937 წელს „სა-მაზრო მუზეუმის“ ბაზაზე ახალციხეში, ე.წ. „რაბათში“ ზედა ციხის ტერიტორიაზე, გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელსაც 1972 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა. 2005 წლამდე მუზეუმი აკად. ს. ჯანაშიას სახ. სა-ქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი იყო, ხოლო შემდეგ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა. მუზეუმში

დაცულია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური, ეპიგრაფიკული მასალა, უნიკალური ხელნაწერები, წიგნები, ხალიჩა-ფარდაგები, პირადი არქივი, ფოტო-დოკუმენტები.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი

1985 წელს ცნობილი არქეოლოგის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის ინიციატივით გაიხსნა ვანის მუზეუმ-ნაკრძალი, რომელსაც შემდგომში მისი სახელი მიენიჭა. მუზეუმ-ნაკრძალში შედის ვანის ნაქალაქარი, ექსპედიციის ბაზა და მუზეუმი. მუზეუმში დაცულია ვანის ნაქალაქარსა და მის შემოგარენში აღმოჩენილი უნკალური არტეფაქტები. არქეოლოგიურ ექსპოზიციაში წარმოდგენილია ძვ.წ. VIII-Iსს-ის ექსპონატები. აქ აღმოჩენილი ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშები საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ოქროს ფონდში ინახება. განახლებული ვანის მუზეუმის შენობა 2020 წელს გაიხსნა და დამთვალიერებელიც მიიღო. მუზეუმი საერთაშორისო სტანდარტებისაა და სრულადაა აღჭურვილი

თანამედროვე ინვენტარით. მასში მოწყობილია მცირე ბიბლიოთეკა და ლაბორატორია. შენობა სრულადაა ადაპტირებული შეზღუდული შესაძ-ლებლობების მქონე პირთათვის.

დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი დაარსდა 1983 წელს. 1991 წლიდან მოყოლებული დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჰომინიდების ხუთი თავის ქალაა ნაპოვნი. ამ ფაქტმა შეცვალა მანამადე დამკვიდრებული მოსაზრება ჰომინი-დების აფრიკიდან განსახლების შესახებ. აღმო-ჩენილი თავის ქალები და ქვედა ყბა რეკონს-ტუირების შემდეგ ზეზვას და მზიას სახელი-თაა ცნობილი.

შუა საუუნეების ნაქალაქარი შედგება შიდა ციხის, საერო, საკულტო ნაგებობებისაგან და საიდუმლო გვირაბისაგან. მუზეუმში ინახება 2345 უნიკალური ექსპონატი. ნაქალაქარზე არ-ქეოლოგიური სამუშაოები ყოველ წელს მიმდი-

ნარეობს. აქ ერთობლივად მუშაობენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი თითქმის საუკუნეს ითვლის, ის დაარსდა 1936 წელს. მუზეუმში დაცულია სვანეთის რეგიონში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა: ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები, ადრე და გვიანი შუასაუკუნეების საომარი აღჭურვილობა, სპილენძის, ვერცხლის და რკინის ნაკეთობები, სამკაული, ჭურჭელი, ქსოვილების და ხატწერის უნიკალური ნიმუშები, და ასევე ძველი სვანეთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები. 2013 წელს მუზეუმის რეაბილიტაციის დამთავრების შემდეგ საგამოფენო დარბაზები აღიჭურვა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შეიქმნა სარესტავრაციო ლაბორატორია და საცავები, გაკეთდა მუდმივი ექსპოზიციები რომლებშიც მრავალფეროვანი მასალაა

გამოფენილი. წარმოდგენილია სვანეთში აღმოჩენილი ძვ.წ. IIIათასწ-ით დათარიღებული არქეოლოგიური მასალა, ეთნოგრაფიული ნივთები, IX-XVIIIსს-ის ქრისტიანულ საგანძური და ასევე ნუმიზმატიკური კაბინეტი. მუზეუმში დაცულია IX-XIXსს-ის წიგნები, მოწყობილია სასულიერო და საერო ხელნაწერების ექსპოზიცია. მუზეუმის დროებითი საგამოფენო სივრცე, ეთმობა როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ექსპოზიციებს.

ბოლნისის მხარეთმცოდნეობს მუზეუმი

ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 1951 წელს დაარსდა. მუზეუმის შენობა რეკონსტრუქციის შემდეგ 2020 წელს გაიხსნა. საერთაშორისო სტანდარტების მუზეუმის შენობაში მოეწყო ახალი მუდმივმოქმედი ექსპოზიცია და საგამოფენო სივრცე. პირველი სართული დათმობილი აქვს არქიტექტორული ძეგლების ნიმუშებს, მეორე დარბაზი კი ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ და ქართული დამწერლობის უძვე-

ლესს ნიმუშებს. არქეოლოგიურ ექსპოზიციაში წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალა მოიცავს ენეოლითური ხანიდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით პერიოდს.

სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

სიღნაღის მუზეუმი დაარსდა 2007 წელს. მასში დაცულია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, შუასაუკუნეების ხანის ძეგლები, ასევე ნიკო ფიროსმანის ნამუშევართა კოლექცია. არქეოლოგიურ ექსპოზიციაში გამოფენილია სხვადასხვა არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ კახეთში აღმოჩენილი არტეფაქტები ქვის ხანიდან ძვ.წ. Iს-მდე.

დასკვნა

ასე წარმოგვიდგება მოკლედ საქართველოში მუზეუმის წარმოშობის და განვითარების 170 წლის ისტორია. წარმოშობიდან დღემდე სხვადასხვა პერიოდში გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების, კავკასიის, წერა-

კითხვის გამავრცელებელი, საეკლესიო, საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმები, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი მასში შემავალი მუზეუმებით დიდ საექსპოზიციო მუშაობას ეწეოდნენ. მათ მუშაობაში ერთ-ერთ უმთავრესს გამოფენის მაღალმეცნიერულ დონეზე მოწყობის გზები და საშუალებები წარმოადგენდა, რითაც პოპულარიზაციას უწევდნენ თავის საქმიანობას, კავშირს ამყარებდნენ საზოგადოებასთან, იზიდავდნენ დამთვალიერებელს. თუმცა გამომდინარე ეპოქის თავისებურებებიდან და საზოგადოების დამოკიდებულებებისაგან მათ და მათ მიერ მოწყობილ ექსპოზიციებს განსხვავებულ პერიოდებში განსხვავებული როლი და მნიშვნელობა ჰქონდა.

XIXს-ის მეორე ნახევარი ქართულ სინამდვილეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური და შემოქმედებითი აქტივობის ხანა იყო. ამ რთულ პერიოდში ქართველ საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობა რუსიფიკაციის ფონზე წარი-

მართებოდა და ყველგან ბარიერებს აწყდებოდა, რამაც თავის მხრივ განსაზღვრა შემდგომი პერიოდისათვის აუცილებელი პრიორიტეტები კულტურასა და ისტორიაში. თბილისში დაარსებული რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი ერთ-ერთი უძველესი სამუზეუმო და სამეცნიერო დაწესებულება იყო მთელ კავკასიაში, რომელიც ცდილობდა მის ფონდებში არსებული მასალები გამოეფინა და გაეცნო დაინტერესებული საზოგადოებისათვის. თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე მუზეუმმა გამოფენის გახსნაც შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ეს მუზეუმი რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას ემორჩილებოდა მან უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის აღორძინება-განვითარებაში. იმ დროისათვის ის იყო მეცნიერების და კულტურის ერთ-ერთი კერა ამიერკავკასიაში. სწორედ ამ მუზეუმით დაიწყო პროფესიულ საქმიანობათა დაწესებულებების ქსელის შექმნა საქართველოში.

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის გაუქმების შემდეგ საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის და ისტორიული კვლევა-ძიების გამოცოცხლების საქმეში უდიდესს მოვლენას წარმოადგენდა კავკასიის მუზეუმის დაარსება, რომლის მიზანს კავკასიის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების შესწავლა და კოლონიური მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენდა. ისევე როგორც მეფის რუსეთის მიერ დაარსებული ყველა დაწესებულება კავკასიის მუზეუმი უპირველეს ყოვლისა მეტროპოლიის კოლონიურ ინტერესებს ემსახურებოდა და მისი იმპერიული ზრახვების დასაყრდენი იყო კავკასიაში. აქედან გამომდინარე ის არ დაარსებულა როგორც ეროვნული დაწესებულება და მის გეგმებში არ შედიოდა ნაციონალური კულტურის წარმოჩენა, მაგრამ მიუხედავად ამისა მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მხარის მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშთა მოძიებისა და შეგროვებაში, ხელი შეუწყო მეცნიერების ახა-

ლი დარგების ჩამოყალიბებას და განვითარებას და საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კოლექციების საფუძველზე რამდენიმე გამოფენა მოაწყო.

გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის და კავკასიის მუზეუმის დაარსება და მათი ფუნქციონირების პერიოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საქართველოს სამუზეუმო ისტორიაში. მართალია ეს მუზეუმები დაცული კოლექციების საფუძველზე უფრო ფონდების ჩვენებას აწყობდნენ ვიდრე სამუზეუმო ექსპოზიციებს, მაგრამ ეს იყო საშუალება რითაც საზოგადოებამ გაიცნო მხარის მატერალური და სულიერი კულტურის ძეგლები, ფლორა და ფაუნა.

ამ პერიოსდში საქართველოში შექმნილი ვითარების ფონზე წინ წამოიწია ეროვნულმა ინტერესებმა. ქართველმა ინტელიგენციამ და საზოგადო მოღვაწეებმა მიზნად დაისახეს უშუალოდ საქართველოს ისტორიის და ქართული კულტურის შესწავლა და პოპულარიზაცია. სა-

მეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მთელი პლეადა, რომლებიც უშუალოდ თაოსნობდნენ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ ყველა მნიშვნელოვან წამოწყებას, არქეოლოგიისადმი დიდ დაინტერესებას იჩენდნენ და ცდილობდნენ საკუთარი ძალებით თბილისში მუზეუმის დაარსებას. მიაჩნდათ, რომ არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების როლი ძალზედ დიდი იყო საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლის საქმეში. გორის ეპისკოპოსი ნიკიფორე ამბობდა „აღწერეთ ნანგრევები, შემოუნახეთ შთამომავლობას წმინდა ხსოვნა მათზე და უკვდავჰყავით მათი არსებობა“ [Арх. путеводитель 1881: 74]. ამ მცდელობების შედეგად შეიქმნა სამუზეუმო დაწესებულებათა ფართო ქსელი. 1855 წელს ჩამოყალიბდა „კავკასიის სოფლის მეურნეობის მუზეუმი“, 1856 წელს „ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტი“; 1884 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების „საარხეოლოგო მუზეუმი“, 1888 წელს „საეკლესიო მუზეუმი“. პარალელურად

არსებობდა კერძო მუზეუმი, რომელიც სიძველეების მოყვარულს და შემგროვებელს ალ. როინაშვილს ეკუთვნოდა და რომელსაც „პატარა კავკასიის მუზეუმს“ უწოდებდნენ. 1907 წელს შეიქმნა „საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმი“, 1910 წელს თბილისის მუზეუმი, რომელსაც „ქალაქის მუნიციპალური მუზეუმი ეწოდა“ (1943 წელს იგი თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმად იქცა) [ჭილაშვილი 1984: 55-56]. ამ მუზეუმებში ინახებოდა არა ერთი მნიშვნელოვანი ექსპონატი, ეწყობოდა სხვადასხვა ხასიათის გამოფენები. მუზეუმები მონაწილეობდნენ საერთაშორისო გამოფენებში, რის შედეგადაც დაიწყო ევროპასთან დაახლოების პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ მათი ექსპოზიციები ძირითადად ცალკე იზოლირებული, იშვიათი ნივთების ჩვენებით შემოიფარგლებოდა და ვიტრინებში დაწყობილი ექსპონატები არ იმყოფებოდნენ ურთიერთკავშირში, ამ კონცეფციით და შესაბამისი ორგანი-

ზებით ისინი იმ დროისათვის მაღალი დონისა იყვნენ.

1917 წლიდან საქართველოში დამოუკიდებელი, ნაციონალური მთავრობის მოსვლის შემდეგ სამუზეუმო ცხოვრებაში დაიწყო განვითარების სრულიად ახალი ეტაპი. ძველი მუზეუმების, პირველ რიგში კი კავკასიის მუზეუმის ბაზაზე, მისი დიდი პოტენციალის გამოყენების საფუძველზე დაარსდა საქართველოს მუზეუმი, რომლის უმთავრეს მიზანს მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა და ექსპონირება წარმოადგენდა. ამ პერიოდიდან დაიწყო ქართულ კულტურულ ძეგლებზე ზრუნვა, მათი გადარჩენა და შესწავლა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქვეყანაში განვითარებული მძიმე მოვლენები მკვეთრად აისახა მუზეუმის საქმიანობაზე. მუზეუმი ინარჩუნებდა ეროვნულ სახეს, თუმცა გარდაქმნებში იძულებული იყო დამორჩილებოდა საბჭოთა იდეოლოგიის მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა მუზეუმში მაინც აქტიურად მიმდინაეობდა საგა-

მოფენო სამუშაოები. მოეწყო ზოოლოგიური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური, არქეოლოგიური და ხელნაწერთა განყოფილებების მიერ მომზადებული გამოფენები.

30-იანი წლებიდან ექსპოზიციის მოწყობისადმი დაიწყო თემატური მიდგომა. ცალკეული იშვიათი ნივთების ჩვენების ნაცვლად ექსპოზიციაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მოვლენათა მეცნიერული შინაარსი. ამასთან ექსპოზიციის ხასიათი, მისი იდეური და გარეგანი სახე შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მარქსისტულ იდეოლოგიასა და მეთოდოლოგიასთან. ამის გათვალისწინებით სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის პრინციპებზე, სტადიალური განვითარების, ძველისა და ახლის შედარებითი ჩვენების მიხედვით მოეწყო გამოფენა „წინაკლასობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში“.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მუზეუმის პრიორიტეტი საქართველოს ისტორიის პრობლემების კვლევა გახდა და უფრო მეტი ყურადღება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს დაეთმო.

ფართოდ გაშალილი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული ახალი უნიკალური არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დღის წესრიგში დადგა ისეთი ექსპოზიციების მოწყობა, რომლებიც უშუალოდ საქართველოს უძველესი კულტურის ჩვენებას ისახავდა მიზნად. ეს იყო ახალი ეტაპი, როცა ცვლილება მოხდა იდეოლოგიური მიმართულებით და დაიწყო ქართული ნივთიერი კულტურის ადგილობრივ ნიადაგთან დაკავშირების პროცესი. 1937 წელს შოთა რუსთაველის „ეეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყო ექსპოზიცია „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქის მატერიალური კულტურა“. ამ პერიოდიდან მოყოლებული მუზეუმის სტრუქტურასა და თემატიკაში ქართული კულტურის კვლევის საკითხებმა სულ უფრო მეტი ადგილი დაიკავა. ორმოციანი წლებიდან ექსპოზიციის მოწყობაში გაჩნდა სიახლე - მონოგრაფიული პრინციპი. თრიალეთში და მცხეთის მიდამოებში წარმოებული გათხრების და აღმოჩენების

შედეგად 1941 წელს გაიხსნა არქეოლოგიური ექსპოზიცია "ქართული კულტურის უძველესი კერები - თრიალეთი და მცხეთა", რომელიც გაშლილი არქეოლოგიური სამუშაოების შეჯამებას წარმოადგენდა [აბულაშვილი 2012:115]. ექსპოზიცია ასახავდა ორ უძველესსს პერიოდს - ბრინჯაოს ხანას და ანტიკური ხანის იბერიის პერიოდს, ნაჩვენები იყო არქეოლოგიური კომპლექსები და მათი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. მასში ასახული იყო ყველა ახალი მიღწევა. მონოგრაფიული შეჯამება იყო 1961 წელს გახსნილი მრავალთემიანი „ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპოზიცია", რომელიც ადრეული ქვის ხანიდან ვიდრე ახ.წ. IVს-მდე პერიოდს მოიცავდა. მასში საქართველოს უძველესი კულტურა პირველად იყო ექსპონირებული არა ცალკეული პერიოდებით ან ცალკეული თემებით, არამედ უწყვეტად, გაბმულად. ექსპოზიცია საეტაპო და ეტალონურ მნიშვნელობის იყო და ორმოცი წლის მანძილზე განხორციელებული დიდი საველე და სა-

მეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგს ასახავ-
და. მნახველს წარმოუდგებოდა მეცნიერული
შინაარსით სავსე მთლიანი სურათი, რომელშიც
საქართველოში მოსახლე ტომების სამეურნეო,
კულტურული და სოციალური ცხოვრების უმ-
თავრესი საფეხურები იყო ასახული.

ამრიგად 1934-1963წწ-ში მუზეუმში ოთხი გა-
მოფენა მოეწყო, რომელთაგან პირველი სამი
საქართველოს ცალკეულ პერიოდებს ეძღვნებო-
და, უკანასკნელში კი უწყვეტად იყო წარმოდ-
გენილი საქართველოს არქეოლოგია ქვის ხანი-
დან განვითარებულ შუასაუკუნეებამდე. არ-
სებული იდეოლოგიური ფონის გავლენით პირ-
ველი გამოფენა მიზნად მარქსიზმ-ლენინიზმის
პროპაგანდას ისახავდა, ხოლო მომდევნო სამი
რადიკალურად განსხვავებულად უშუალოდ
ქართულ კულტურას ასახავდა. ამ ექსპოზიციე-
ბის საშუალებით ფართო საზოგადოება პირვე-
ლად გაეცნო საქართველოს მანამდე სრულიად
უცნობ მოვლენებს, გაიცნო ადგილობრივი

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ. ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔᲗᲐ ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲔᲑᲘ.

1980-1990ᲬᲬ-ᲨᲘ ᲡᲐᲛᲣᲖᲔᲣᲛᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲗᲣᲙᲘ ᲐᲓᲠᲔ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ, ᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐᲛᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲘᲖᲐᲜᲐᲓ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ-ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲮᲐᲓᲐ. 1990 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ 2002 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲡ ᲠᲗᲣᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲛᲝᲣᲮᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐᲡ. ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲗ“. ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲕᲐᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ „ᲕᲘᲜᲝ-ᲞᲝᲚᲘᲡᲘ-ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲓᲘᲡᲔᲐ“. ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ“, ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘᲪ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲛᲣᲖᲔ-

უმი ქვეყნის არა მარტო უმთავრესი სამეცნიერო და საექსპოზიციო დაწესებულება, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დაცვის ერთ-ერთი გარანტი იყო.

2004 წელს დაარსდა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დაცული კოლექციების მიხედვით, ის მრავალფუნქციურ დაწესებულებად ჩამოყალიბდა, და ფართო შინაარსის მატარებელი გახდა. მუზეუმმა დაიწყო სამეცნიერო კვლევით საქმიანობა, მოაწყო მუდმივი და დროებითი გამოფენები. მისი ექსპოზიციები თავისი თვალსაჩინოებით და მეცნიერული დონით ერთ-ერთი გამორჩეული გახდა და ყოველწლიურად ათასობით დამთვალიერებელს იღებდა. ექსპოზიციების მოწყობისას, უახლესი ტექნოლოგიური ინოვაციების შესწავლის, ტრადიციების დაცვისა და თანამედროვეობასთან კავშირის საშუალებით მუზეუმის მთავარი და უპირველესი მიზანი საქართველოს კულტურის და ისტორიის წარმოჩენა გახდა. მუზეუმში დაცული კოლექციების და არაერთი უნიკალური არტეფაქ-

ტის შესწავლის და ტექნოლოგიური ინოვაციე-ბის დანერგვის გზით საქართველოში და უცხოეთშიც საზოგადოებამ არა ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა გაიცნო. ეს გამოფენები გამოირჩეოდა როგორც თვალსაჩინოებით ისე მეცნიერული დონით.

ეროვნული მუზეუმის ეგიდით პირველი ექსპოზიცია მოეწყო 2005 წელს „ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა“. 2008 წელს მეტროპოლიტენის მუზეუმის საპატიო გამოფენაზე „ბაბილონს მიღმა: ხელოვნება ვაჭრობა და დიპლომატია ძვ.წ. Пათასწ-ში“, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ამ ეპოქის ცნობილ ნიმუშებს შორის წარმოადგინა თრიალეთის უნიკალური ვერცხლის თასი. დიდი ინტერესი გამოიწვია დმანისის აღმოჩენების საფუძველზე მოწყობილმა ადამიანის ევოლუციის ამსახველმა ექსპოზიციამ. ქართული კულტურის განვითარების უწყვეტ ხაზს ასახავდა მუდმივმოქმედი არქეოლოგიური გამოფენა „საქართველოს არქეოლოგია ძვ.წ. VIIIათასწ-ლი - ახ.წ. IVს.“.

ვაზის და ღვინის ისტორიას ასახავდა საფრან-
გეთში, ქალაქ ბორდოს ღვინის ციეილოზაციის
ცენტრში გამართული გამოფენა „საქართველო-
მეღვინეობის აკვანი". საქართველოს და მთლია-
ნად კავკასიის ტერიტორიაზე ადამიანის განვი-
თარების ისტორია პროისტორიული ეპოქიდან
ანტიკური ხანის ჩათვლით იყო ნაჩვენები
ფარნკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრო-
ბაზე გამართულ გამოფენაზე. ამ ექსპოზიციე-
ბით მთელმა მსოფლიომ გაიცნო ქართული უძ-
ველესი კულტურა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ
მოწყობილი ექსპოზიციები სხვადასხვა თემატი-
კასთან, მოვლენებთან, იუბილესთან, თუ ღო-
ნისძიებებთანაა დაკავშირებული. მუზეუმს
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოაქვს
სხვადასხვა თემატიკის გამოფენები და აქედან
გააქვს ქართული კულტურის ნიმუშები. ის
აქტიურადაა ჩაერთული კულტურულ ინდუს-
ტრიაში. დიდია მუზეუმის საგანმანათლებლო
როლი. სამუზეუმო კოლექციების თემატიკის

გარშემო იქმნება პროგრამები სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის. ფუნქციონირებს დმანისის პალეოანტროპოლოგიისა და არქეოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო საველე სკოლა. მუზეუმი ჩართულია კონტაქტებში სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან. ტარდება ევროკავშირის ტრენინგ-პროგრამები, მუდმივად მსოფლიო ყურადრების ცენტრშია დმანისის სამეცნიერო აღმოჩენები. მუზეუმი საზოგადოებას თავს აცნობს პრესის, რეკლამის, პლაკატების საშუალებით, ხდება გამოფენების ჩვენება ტელევიზიით, ინტერნეტ სივრცით, გამოსცემს გზამკვლევებს, ბუკლეტებს, ღია ბარათებს, ხდება კოლექციების ციფრულ ფორმატზე გადატანა, ტარდება სემინარები, ლექციები, პრეზენტაციები, საერთაშორისო კონფერენციები, კონგრესები, იქმნება ახალი ვებ-საიტები.

როგორც ვხედავთ საქართველოში სამუზეუმო საქმიანობა რთულ და დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. იყო ქვეყნის ხელისუფალ-

თა ცვლილებები, ომები, სიდუხჭირე და შიმ-შილ-სიცივის პერიოდები, მაგრამ მუზეუმები ყოველთვის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის და ცვლილების ეპიცენტრში იყვნენ და დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის განვითარებაში. მათმა ექსპოზიციებმა სახელი გაუთქვეს არქეო-ლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ უძველეს ქართულ კულტურას. ახალი და ად-რინდელი საშუალებებით ექსპონატების წარმო-ჩენით შესაძლებელი გახდა ტრადიციების დაც-ვა, იდენტობის შენარჩუნება და თანამედროვეო-ბასთან კავშირი. ამ ექსპოზიციებმა ცხადყო და აჩვენა, რომ საქართველო პირველი ევროპელე-ბის, ოქროს საწმისის და ღვინის სამშობლოა, რომ მას დიდი კულტურა აქვს და ამიტომ სურს ყველას მისი გაცნობა.

1855-2019 წლებში მოწყობილი მნიშვნელოვანი გამოფენები

1855წ. - ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური ნივთების გამოფენა.

1867წ. - ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური ნივთების გამოფენა.

1872წ. - მოსკოვში, პეტრე I-ის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

1881წ. - V საერთაშორისო არქეოლოგიური ყრილობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

1901წ. - პარიზში „გრან-პალე". საერთაშორისო გამოფენა.

1922წ. - „საქართველო და მეზობელი რესპუბლიკების ფაუნა".

1928წ. - „ზოოლოგიური გამოფენა".

1930წ. - გერმანიაში, „ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნება".

1931წ. - „საქართველოს მინერალური რესურსები".

1931წ. - „ხევსურეთის ეთნოგრაფია“.

1932წ. - „სვანეთის ეთნოგრაფია“.

1932წ. - „სოფლის მეურნეობის მავნებლები და მათთან ბრძოლა“.

1932წ. - „ქართულ ნაქარგობათა გამოფენა“.

1934წ. - „წინაკლასობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში“.

1937წ. - „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქის მატერიალური კულტურა“.

1937წ. - „საქართველოს მინერალური რესურსები“.

1938წ. - „კავკასიური ხალიჩები“.

1939წ. - „ქართული ჩუქურთმა ხეზე“.

1941წ. - „ქართული საჭურველი“.

1941წ. - „ქართული კულტურის უძველესი კერები-თრიალეთი და მცხეთა“.

1944წ. - „ტყის და სოფლის მეურნეობის მავნებლები და მათთან ბრძოლა“.

1948წ. - საქართველოს სამრეწველო იხტიოფაუნა.“

1948წ. - „საქართველოს ტყეები“.

1950წ. - „საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები“.

1952 წ. - „მარცვლეული კულტურების ძირითადი მავნებლები და მათთან ბრძოლა“.

1952 წ. - „საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მიღწევები“.

1952წ. - „ძვირფასი ნივთების სეიფი“.

1952წ. - „ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები“.

1954წ. - „ერთიანი ეთნოგრაფიული ექსპოზიცია“.

1955წ. - „საქართველოს სასარგებლო ნამარხები“.

1955წ. - „დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“.

1958წ. - „ბურჟუაზიული საქართველოს ექსპოზიცია“.

1960წ. - „კავკასიის ხალხთა ჩაცმულობა“.

1961წ. - „საქართველოს მატერიალური კულტურა უძველესი დროიდან ახ.წ. IVს-მდე“.

1961წ. - მოსკოვში, „ქართველი ხალხის ყოფა და კულტურა“.

1963წ. - „საქართველოს IV-XIIIსს. მატერიალური კულტურა“.

1964წ. - მოსკოვში, „ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები“.

1967წ. - „საბჭოთა საქართველოს ისტორიის გამოფენა“.

1979წ. - „საქართველოში ოქრომჭედლობის განვითარების ისტორია“ - „სეიფი“.

1982წ. - „პარიზში, „გრან-პალე“ „ძველი ქართული კულტურის გამოფენა“.

1983წ. - „საქართველოს IV-XIIIსს. მატერიალური კულტურა“.

1983წ. - „XIXს-ის საქართველოს მატერიალური კულტურა“.

1990წ. - „ლაპიდარიუმი“.

1995წ. - გერმანიაში, „ოქროს საწმისის გზებით“.

1999წ. - ლონდონში, „ვინო-პოლისი“.

2001-2002წწ. - „ტროა. ოცნება და სინამდვილე“.

2002წ. - „საქართველოს IV-XIIIსს. მატერიალური კულტურა“.

2005წ. - „ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა“.

2006წ. - გერმანიაში, „კაცობრიობის ფესვები“ (დმანისის აღმოჩენები).

2007წ. - გერმანიაში, „კოლხური ოქრო“.

2007წ. - მოძრავი გამოფენა „მედეას ოქრო - ახალი აღმოჩენა საქართველოდან“.

2007წ. - გერმანიაში, - „ანტიკური ხანის (ძვ.წ. V–IIIსს) საიუველირო ნაწარმი“.

2008წ. - აშშ-ში, „ბაბილონის მიღმა – ხელოვნება, ვაჭრობა და დიპლომატიური ურთიერთობები, ძვ.წ. IIათასწ-ში“. გამოიფინა არქეოლოგიური ნივთები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან.

2009წ. - ჰოლანდიაში, „ადამიანის ევოლუციის სახე“, ლაიდენი, (დმანისის აღმოჩენები).

2010წ. - აშშ-ში, „ადამიანის ევოლუციის მუდმივმოქმედი გამოფენა“ (დმანისის აღმოჩენები).

2011წ. - რომში, „ოქროს საწმისი საქართველოს ანტიკური საგანძური“.

2011წ. - რომში, „Homo Sapiens, ადამიანის ევოლუციის ხანგძლივი ისტორია“ (დმანისის აღმოჩენები).

2011წ. - მუდმივმოქმედი გამოფენა „არქეოლოგიური საგანძური“.

2011წ. - ქვევრის ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმის და ქვევრის ღვინის ისტორიისადმი მიძღვნილი გამოფენა.

2012წ. - „საგანძურით მოყოლილი ისტორია“.

2013წ. - „საქართველოს არქეოლოგია ძვ.წ. VIIIათასწ-ლი - ახ.წ. IVს.“.

2015წ. - „კავკასიური მოძრავი მუზეუმი“, ალ. როინაშვილის კოლექციის მიხედვით.

2015წ. - ისრაელში, ზემო გალილეის პრეისტორიულ მუზეუმში გამოიფინა დმანისში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ნაშთები

2016წ. - „დავით აღმაშენებლის ანდერძი და შუა საუკუნეების საგანძური“.

2016წ. - „ქვის ხანის საქართველო“.

2016წ. - მცხეთის მუზეუმის საგანძურის გამოფენა.

2016წ. - „საქართველოს არქეოლოგია ახალი აღმოჩენების ფონზე“.

2017წ. - საფრანგეთში, ბორდოს ღვინის ცივილიზაციის ცენტრში, „საქართველო-მეღვინეობის აკვანი“.

2018წ. - ფარნკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრის პროგრამის ფარგლებში, „ადამიანის წინაპართა ისტორია და მათი მოგზაურობა აფრიკიდან კავკასიის გავლით“ (დმანისში აღმოჩენილი 1 800 000 წლის წინანდელი ჰომინიდის ნაშთები); „ანტიკური სამყარო და მედეას მითოლოგიური სახე ძველ მსოფლიოში“; „ოქრო და ღვინო საქართველოს უძველესი საგანძური“.

2018წ. - „შუა საუკუნეების საგანძური“ განახლებული ექსპოზიცია.

2018წ. - „ოქროდ ქცეული სიბრძნე“.

Sketches on the History of Founding and Developing Museum Activities in Georgia

Summary

A museum is a space that houses various materials and artifacts of not only the past but also the present i.e. specimens of the modern life. As a rule these are the examples of the country's material and spiritual culture. Any museum is a real offspring of the time when it functions. The purpose of arranging a museum of any kind in Georgia was multifarious in different periods of time. Normally the aim of establishing such institutions and designing their expositions varied always and usually it was depended on the demands of the then societies and the peculiarities of the epoch. Generally they were influenced by certain ideological tendencies and from time to time the displays were changed according to some newly acquired knowledge and certain quantity of fresh museum staff either picked during the field works or purchased or donated by certain persons that always resulted in a new redesign or reconstruction of museum's displays. This is why it is utterly important and very interesting how and with the

use of what materials or artifacts were used in designing of this or that exposition.

Generally it is presumed that museums, as public institutions, existed in Georgia in times immemorial. People used to collected and keep certain objects as commemorative objects, as relics or as aesthetically substantial specimens. Pieces of nature or history and certain examples of cultural heritage were normally kept in the medieval period churches, royal treasuries and even in the nobles' mansions.

The Georgians' public life, political and creative activities acquired an exclusively intensive character in the latter half of the 19th century. The process was developing against the background of the country's brutal colonization by the Tsarist Russia. The imperial authorities almost permanently tried to create various obstacles against all the national activities of each Georgian public figure. With the efforts of certain famed Georgian intellectuals and foreigners living in Tbilisi there had been revived historical researches that resulted in new substantial museums appearing in the country point after point.

The Museum of the Caucasian Department of Russian Imperial Geographic Society was founded in 1852 in Tbilisi and it still remains as one of the oldest scientific and scholarly institution in the Caucasus. Investigation and further study of the Caucasian natural resources in order to cease the opportunity for reaping maximum of benefits for the Empire was the main aim of the Department. The Museum's holdings were stocked by contributors and scholars did their best to arrange them, make their hand lists and study them thoroughly.

The first display was opened at the Museum in 1855. It represented dispersed botanical, zoological, ethnographic and archaeological specimens gathered together within one space. In spite of the fact that the Museum served to the interests of Imperial politics it appeared unable to function for a long period of time. Nevertheless it still managed to remain one of the main cradles of science and culture in the Transcaucasia. Fortunately enough the Museum appeared the very first hearth and home designed for the further activities of many other professional institutions in Georgia.

Russia, pursuing her imperial policy of colonization in the Transcaucasia, had clearly formulated the Museum's main aim- a thorough exploration and meticulous study of the Caucasian natural and human resources. This is why the staff of the Caucasian Museum had to gather, pick, register, fix and systematize all the scholarly and scientific collections of natural history, ethnography and archaeology. The authorities managed to exhibit certain number of Museum pieces not only in Georgia but also in Russia herself and in some of European countries for several times. There were mainly displayed specimens of the Caucasian flora, fauna and ethnography.

These two Museums, like all the other institutions established by Russia in the Caucasus, first of all were in the service of the Metropolis colonial interests and served as their firm footholds in the Transcaucasia. At the same time, in spite of such situation, the fact of their existence and functioning has appeared one of the most important events in the life of Georgia's museum history because they not only fostered, supported and were instrumental in promotion, restoration and salvation of Georgian culture in whole but also stimulated the

formation and further development of different branches of science and scholarship. It's true that the Tsarist regime allowed arranging of only a short term displays of already existing storage pieces and not permanent expositions but at that time it was the only possibility to show the country's monuments of material and spiritual culture, flora and fauna to the public.

Georgian intellectuals and public figures had taken into consideration the already existed extremely hard political reality and after thorough realization of the situation decided to design and arrange a separate museum in Tbilisi city with the aim of collecting, studying and popularizing the pieces of Georgian culture and history that resulted in the networks of professional museum institutions.

"The Society for Propagation of Literacy in Georgia" founded the "Archaeological Museum" in Tbilisi in 1884 that was followed by "The Ecclesiastical Museum" in 1888. Simultaneously there had emerged a private "The Small Caucasian Museum" belonging to a famous amateur collector Alexander Roinishvili. "The Historic-Ethnographic Museum" was launched in 1907.

All the institutions just sited had housed abundant quantities of artifacts that were normally used for installing exhibitions of various characters. The expositions often took part and even succeeded at international exhibitions. It is true that there were displayed separate, isolated specimens without any links among them but still they managed to capture the public's increasing attention and interest.

All of these above mentioned museums had greatly contributed to finding, collecting and popularizing the specimens of the country's material and spiritual culture. They managed to save numbers and numbers of artifacts, housed them securely in their holdings and roused the interest in the country's past and her cultural remains coming from the age gone by. These museums undertook the National mission and did their best to attain new heights of museums' activities in Georgia. They showed the World the old ancient Georgian remains of material and spiritual culture.

A new era in the Museum's life began in 1919 when the Caucasian Museum ceased to function and there emerged the Museum of Georgia instead of the earlier one.

The authorities had determined the functions of the new institution as a multipurpose organization.The first thing to do was to rearrange the Museum's holdings so that it should have been an aptly fitting repository for housing of various collections and isolated artifacts of archaeology, ethnography, history and nature coming not only from Georgian sites but also from neighboringcountries as well. A meticulous scholarly examination, thorough and all embracing study of each artifact in minute details and publishing of the results must have been a crucially important task of the institution.

The Soviet occupation in 1921 was followed not only by unfortunate changes in the life of the entire country. It appeared inevitable to transform the character of the Museum's expositions Completely. Everything was subjugated to the Marxist ideology. From that time forth each of the Museum's displays must have been converted according the principles of the Soviet authorities and acquire a period-specific visualization. The museum's board of scholars was ordered to compose a new exposition "The Pre-class Society in the Transcaucasia" in 1934. It had to demonstrate class formations in the light

of the Marxsist-Lenin theory. The Communist ideology should have been the main focus of this brand new exhibition. It embraced the entire Caucasus and was arranged in the chronological sequence. In the latter half of the 1930s the Soviet authorities decided that there had arrived the moment when the Museum should pay an appropriate attention to the old ancient Georgian culture. They suggested the scholars to include the issue in the nearest order of the day. The suggestion gave start to the process of providing the grounds for close connections of Georgian art factual finds with the local origins. A bit later there followed one more exposition "Shota Rustaveli and the Material Culture of His Epoch". It was dedicated to the 750th anniversary of the greatest Georgian poet's masterpiece "The Knight in the Panther's Skin". The exhibition demonstrated the 11th-13th century artifacts and documents of Georgian culture and history.

A team of Museum scholars arranged a new exhibition "The Old Ancient Cradles of Georgian Culture-Trialeti and Mtskheta" in 1941. It shed enormous light upon the local roots, authenticity and diversity of Georgian culture

that embraced a very long the period of time from the beginning of the Bronze Age up to the 5th-6th centuries of the Common Era. The exposition was composed according to the strict scholarly principles. It has appeared an enterprise so perfectly organized and exclusively important that the authorities appreciated it as a brand new and high standard promotion ever launched in the Museum.

Beginning from the 1950s Soviet authorities started issuing new ideological directives. They put in aclaim to arrange a new exhibition showing not only up-to-then social developments taking place in the life of the country but also Georgia's international relations. This time the scholars had managed to introduce a number of innovations and made an effort to expose an uninterrupted history of Georgian material culture beginning from the old ancient times up to the end of the Late Medieval period. From that time forth there had been arranged a good deal of various exhibitions not only in Georgia but also beyond her borders and all of them used to appear a great success.The National Museum of Georgia was founded in 2004 with the primarily fundamental and

utterly significant intention to expose Georgia's history and culture properly. Thanks to such an all embracing decision it had became possible to offer the public various comprehensive expositions and at the same time make them able to help the local or foreign scholars and societies interested in the problems just mentioned get introduced with the numbers of various and the most important discoveries made in the country.A new exposition "Gold laden Kolkheti – Myth and Reality" of the unique artifacts coming from the 4th century BC site of Vani town was displayed in 2005. Dmanisi town exposition has aroused public's lively and keen interest. There were displayed the artifacts coming from the site that showed a human's evolution. There is one more exposition named "Georgian Archaeolgy-8th Millennium BC-4th Century AD" embracing a 50 year long history of Georgian archaeological excavations and the artifacts coming from numerous sites dating from various periods. It is being permanently updated and displays an unbroken history of Georgian culture between the periods of the Neolithic and the Antiquity. The exhibition is dedicated to the 150th anniversary of the

great scholar, art critic, archaeologist and one of the most eminent Georgians Ekvtime Takaishvili. Unrivaled specimens of local schools of Georgian goldsmiths, uncovered in the country, are displayed at the exposition named "Archaeological Treasures". An exposition "Georgia - the Cradle of Wine Making", dedicated to the history of grape growing and wine making, was performed in France, in a well known centre of wine civilization Bordeaux town amply reflecting an uninterrupted history of Georgian wine making. The title of the exhibition speaks for itself. Georgia is the old ancient home to wine making traditions where the locals first domesticated a vine plant and raised Vitis Vinifera from Vitis Silvestris. The Georgians were the first who made wine eight millennia ago. The National Museum of Georgia took part in the International Book Exhibition in Frankfurt as a guest of honor and demonstrated a display of human evolution between the periods of the Pre-history and the Antiquity. In addition there were arranged educational programs. Such is a short history of the National Museum's century long life of archaeological expositions. Their designs always corresponded to the

peculiarities characteristic to this or that passage of time playing substantially different roles in the country's life and every time they appeared able to acquire a special importance. In the majority of instances the expositions offered by the scholars used to satisfy the public's increasing requirements and their hunger for better cognition of native culture and much efficient education. In spite of huge ideological pressing and the authorities' ruthlessness the scholars of the Museum always tried to do their best and perfectly managed to arrange high standard and exclusively important exhibitions that in their turn made it possible to expose the old ancient Georgian culture to various societies and successfully include the country in the global cultural life.

The Museum's board of scholars firmly follows the principle not to fall behind from the newest scientific achievements, have close contacts with the modernity and at the same time maintain his own identity and traditions

ლიტერატურა

აბულაშვილი თ., 2009, ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია, თბ.

აბულაშვილი თ., 2012, საქართველოს არქეოლოგიის ისტორია, თბ.

აფაქიძე ა., 1961, დარბაზები მოგვითხრობენ ერის წარსულს, გაზეთი „კომუნისტი“ №75 (11988), 31. 03.

აფაქიძე ა., 1972, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა, თბ.

აქტების კრებული 1918-1921., 1990, (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული), თბ.

ახვლედიანი დ., 2008, განძი ვანიდან (ექსპრეს ინფორმაცია), იბერია კოლხეთი №4, გვ. 5-12

ბაქრაძე დ., 1889, ისტორია საქართველოსი, უძველესი დროიდამ Xსაუკუნის დასასრულამდე, ტფ.

ბიბილაშვილი მ., 2009, ახალი აღმოჩენები და ახალი ექსპოზიცია რაბათის ციხეში და სამმილიონიანი პროექტი, ქართული უნივერსიტეტი №28.

ბოლქვაძე ს., 1974, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციები, სსმმ, ტ. XXX-B, გვ. 154-184.

გაგოშიძე ი., 1977, ფ. ბაიერნი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 2, თბ.

დროება, 1878, №191.

დროება, 1879, 29. IX, №29.

დროება, 1881, 4, 10.

დროება, 1884, 26, VIII, №180.

თაყაიშვილი ექ., 1966, მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში, კრებულში: აკად. ექ. თაყაიშვილი, თბ.

თაყაიშვილი ექ., 1968, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ.

ივერია 1877, 21 04, №8.

ივერია, 1883, VIII, №8.

ივერია, 1887, № 101.

ივერია, 1887ა, № 198.

ივერია, 1887ბ, № 38.

ივერია, 1895, 25. 11. №256.

ივერია, 1898, 25. I. №18.

ივერია, 1898ა, №226.

ივერია, 1899, 16 02. №35.

ივერია, 1900, 3. 11. №240.

კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ნ., 2014, საქართველოს არქეოლოგიის განახლებული გამოფენა, ჟურ. მუზეუმი №3, გვ. 32-35.

კვალი, 1895, №47.

ლორთქიფანიძე ნ., 2019, გამოფენა „ოქროდ ქცეული სიბრძნე, ხიდი წარსულსა და მომავალს შორის", ჟურ. მუზეუმი №5, გვ. 6-9.

მახარაძე ზ., მურვანიძე ბ., 2014, ანანაურის №3 დიდი ყორღანი, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №22 გვ. 50-68.

მეტრეველი რ., 1982, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ.

მოამბე შინაგან საქმეთა კომისარიატისა, 1922, №7.

მუმლაძე მ., 1999, უცხოეთში გამართული რამდენიმე გამოფენის შესახებ, ძიებანი №4, გვ. 94-97, თბ.

მუმლაძე მ., 2000, საეკლესიო მუზეუმი თბილისში, ძიებანი №6, გვ. 101-104, თბ.

მუმლაძე მ., 2007, არქეოლოგია ქართულ პერიოდიკაში (XIX ს-ის მეორე ნახევარი XXს-ის დასაწყისი), თბ.

ჟორდანია გ., 1951, კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ.

მწყემსი 1884, №12.

მწყემსი 1886, 11, №34.

მწყემსი 1888, №14-15.

სანიკიძე თ., 1985, ქსე, ტ. 9, თბ.

სლმ არქივი, ფ. 9080-ხ, ან 1. F. 4.

საქართველოს მუზეუმის 1922-1928 წწ საკოლექციო დავთარი.

სმმ, 1928, საქართველოს მუზეუმი 1927, ტ. IV, თბ., გვ 355-384.

სმმ, 1930, ტ. V, გვ. 324-326.
სსმ არქივი, 1864, 11/1, ფ. 22.
სსმ არქივი, 1864ა, 11/1, ფ. 146.
სსმ არქივი, 1873, 17/6 ფ. 18.
სსმ არქივი, 1879, 23/12.
სსმ არქივი, 1883, 27/16, ფ. 56.
სსმ არქივი, 1884, 27/16, ფ. 82.
სსმ არქივი, 1884ა, 28/17, ფ. 8.
სსმ არქივი, 1885, 29/8.
სსმ არქივი, 1904, 40/29, ფ. 106.
სსმ არქივი, 1905, 41/30, ფ. 58.
სსმ არქივი, 1912, №38.
სსმ არქივი, 1914, №71.
სსმ არქივი, 1919, 148/136
სსმ არქივი, 1920, 149/137, ფ. 116.
სსმ არქივი, 1921, 151/19, ფ. 67.
სსმ არქივი, 1921ა, 151/ 139, ფ. 39.
სსმ არქივი, 1921,ბ, 151/139, ფ. 437.
სსმ არქივი, 1923, 153/141, ფ. 110.
სსმ არქივი, 1923ა, 153/141, ფ. 77.
სსმ არქივი, 1928, №38, ფ. 23.

სსმმ 1933, საქართველოს მუზეუმის 1931-32წწ-ის მუშაობის ანგარიში, ტ. VII. ტფ.
სსს-ს წესდება 1910, ტფ.
სცი არქივი, ფ. 1935, ან I, საქ. 900. ფ. 6.
სუი არქივი, ფ. 600, ან I, საქ. 4534, ფ. 69.
სუი არქივი, ფ. 600ა, ან 1, საქ. 47, ფ. 15.
სუი არქივი, ფ. 600ბ, ან 1, საქ. 1758, ფ. 6.
სუი არქივი, ფ. 600გ, ან I, საქმე 1758, ფ. 7.
სუი არქივი, ფ. 281, ან 1, საქ. 201, ფ. 110.
სუი არქივი, ფ. 300, ან 3, საქ. 77, ფ. 1.
სუი არქივი, ფ. 300ა, ან 3, საქ. 77, ფ. 16.
სუი არქივი, ფ. 300ბ, ან 3, საქ. 28, ფ. 11.
საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, №1513.
ტაბიძე გ., 1962, ალექსანდრე როინაშვილი, თბ.
ქ.შ.წ.კ.გ.ს, 1911წ, წლის ანგარიში
ჩხაიძე გ., 2002, სამუზეუმო საქმე საქართველოში (1852-1853წწ.), (ფაქტები პიროვნებები), სსმმ 44, გვ. 297-314.
ჩხაიძე გ., 2003., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ.

ცნობის ფურცლი, 1896, 31. 10. №12.
ცნობის ფურცელი, 1897, 8. 10. №334.
ცნობის ფურცელი, 1902, №1805.
ძმ, 1966, ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების მუზეუმის პირველი ექსპონატი, №8, გვ. 82-86, თბ.
ძიებანი, 2002, ოთარ ლორთქიფანიძე, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭო, № 10, გვ. 3-12.
წესდება 1889, წესდება საქართველოს საეგზარხოსოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძმათა საეკლესიო ძველ ნაშთთა საცავისა, ტფ.
წესდება 1907, წესდება კავკასიის ქ.შ.წ.კ. საზოგადოებისა, ტფ.
ჭილაშვილი ლ., 1984, მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები, (ლექციების კურსი), თბ.
ჭილაშვილი ლ., 1984, მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები, (ლექციების კურსი), თბ.

ჭილაშვილი ლ., 2002, საქართველოს მეისტორიე“ გაზ. თბილისი 25/V, №15.

ჭილაშვილი ლ., 2002ა, საუკუნე ნახევრის გადმოსახედიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 44, გვ. 29-70, თბ.

ჯავახიშვილი ალ., 1953, (ბაქრაძე ა., კაპანაძე დ., შოშიტაიშვილი ი., ჯავახაძე ვ.) XI-XIIIსს საქართველოს მატერიალური კულტურა, გამოფენის გზამკვლევი, თბ.

ჯავახიშვილი ალ., 1989, გიორგი ნიორაძე და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, წიგნში: გიორგი ნიორაძე ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ.

ჯავახიშვილი ივ., 1937, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, გაზ. „კომუნისტი“, №55, 9/III.

ჯავახიშვილი ივ., 1960, პიტიახშ ასფაგურის აკლდამა, წიგნში: ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ.

ჯანელიძე ალ., 1928, საქართველოს მუზეუმის 1927 წლის მუშაობის ანგარიში, სსმმ ტ, IV, თბ.

ჯორბენაძე ს., 1974, ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა, თბ.

ჯანაშია ს., 1937, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალლისტური რევოლუციის 20 წლისთავზე, ენიმკის მოამბე, ტ. I, გვ. XI-XXVII.

Археологический путеводитель по Тифлису 1881, М.

Бакрадзе Д., 1876, Статьи по истории и древностям Грузии, ტფ.

Горгидзе М., 1976, Грузины в Петербурге, Тб.

Джавахишвили А., 1950, Краткий обзор прошлой и будущей деятельности Государственного Музея Грузии им. С.Н. Джанашия, Известия Академии Наук Армянского ССР, №8, с.110-113.

Джанашвили М., 1899, Каталог церковного музея Груз. экзархота.

Доманский Я., 1984, Древная художественная бронза Кавказа, М.

ЗКОИРГО, кн. 6.

ЗКОИРГО, кн. 111.

Кавказ, 1853, №14. 21.02.

Кавказ 1867, №33.

Кавказ 1871, №115.

Кавказский календарь на 1865, 100.

Кавказский календарь на 1867.

Кавказский календарь на 1869.

Кеппен Ф , 1896, Несколько слов о Кавказском музее, СП.

Колекции Кавказского Музея 1912, т. VI ტფ.

Краткий путеводитель Кавказского Музеума, 1875, ტფ.

V Археологический съезд в Тбилиси 1881, ტფ.

Михайловская А. И., 1964, Музейная экспозиция, М.

Непринцев М., 1974, Воспоминания автора проекта и строителя здания Кавказского музея, სსმ მოამბე 000 – А

ОИРГО - 1857, ნაწ. I.

Путеводитель Кавказского Музеума 1881, ტფ.

Радде Г., 1891, Краткий очерк истории развития Кавказского музея, Т.

Ревкомы Грузии, 1963, სოხუმი.

Читаия Г., 1948, Этнографические исследования в Грузинской ССР "Советская Этногрфия», 4.

Brosset M., 1849, Rapports sum un voyage Archeologique dans la Georgie et dans I·Armenie, exacute en 1847-1848, l-eE livraison, St. Peterbourg.

შემოკლებების განმარტებები

ენიმკი – ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

სლმ არქივი - საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის არქივი

სმმ - საქართველოს მუზეუმის მოამბე

სსმ არქივი - საქართველოს სახელმწიფო მუ-ზეუმის არქივი

სსმმ - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე

სსს - საქართველოს საისტორიო და საეთნოგ-რაფიო საზოგადოება

სუი არქივი– საქართვეოს უახლესი ისტორიის არქივი

ქ.ს.ე. - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

ქ.შ.წ.კ..გ.ს - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

ძმ - ძეგლის მეგობარი

ЗКОИРГО – Записки Кавказского Императогского Русского географического общества.

ОИРГО - Отчет Императорского Русского географического общества

შინაარსი

შესავალი – გვ. 4
სამუზეუმო დაწესებულებების პირველი ჩანასახები საქართველოში – გვ. 18
რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი – გვ. 24
ფრიდრიხ ბაიერნის კოლექცია – გვ. 36
კავკასიის მუზეუმი – გვ. 41
სამხედრო ისტორიული მუზეუმი „დიდების ტაძარი“ – გვ. 86
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი – გვ. 89
საეკლესიო სიძველეთა მუზეუმი – გვ. 99
ალექსანდრე როინაშვილის მოძრავი კავკასიის მუზეუმი – გვ. 117
ბარონ ამორ ოგიუსტ დე ბაის არქეოლოგიური კოლექცია – გვ. 125
საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი – გვ. 128

საქართველოს მუზეუმი – გვ. 142
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი – გვ. 155
საქართველოს ეროვნული მუზეუმი – გვ. 244
ეროვნულ მუზეუმში შემავალი მუზეუმები – გვ. 269
დასკვნა – გვ. 280
1855-2019 წლებში მოწყობილი მნიშვნელოვანი გამოფენები – გვ. 298
რეზიუმე – გვ. 305
გამოყენებული ლიტერატურა – გვ. 317
შემოკლებათა განმარტება – გვ. 328



ილია ჭავჭავაძის ყოფილი ბინა. ალექსიოს ბულეტოფლიანის შუბერი





ეკლესიის მეზეურმის ზოგადლოკალური გეგმა-ფასადი

ეკლესიის მეზეურმის [illegible]

ქარიოელია "ძირის წყრა ლოთხეის გამბერცელებული ხასიოგალოების მუზეუმი





საისტორიო მუზეუმის ექსპოზიცია



საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პროექტი



1934 წლის გამოფენა. ფეოფანეს მაკეტი



ზემოაჭალის ხიდარხი

1937 Figeoh gallerygfer







1961 წლის ვნოსანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპედიცია



1967 წლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია